გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი



ეროვნული ბიბლიოთეკა

E-mail: roland_jalagania@yahoo.com

№144 (203) 8-15 ნოემბერი 2011 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

## საქართველოს მწერალთა საგანგებო მიმართვა ქართველი ერისადმი

### ძვირფასო თანამემამულენო!

საქართველოსთვის უკიდურესად მძიმე ჟამმა გვაიძულა ხმა მოგვეწვდინა თქვენთვის, რადგან თითოეული დაგვიანებული წუთი შეიძლება დასასრულად იქცეს ჩვენი მრავალგზის გაწამებული და გატანჯული მამულისთვის.

რაღა უნდა იყოს იმაზე საშინელი, როცა საკუთარი უძღები შვილი ასე დაუნდობლად გასწირავს თავის მშობელს, ქვეყანას, მთელ ხალხს...

რაღა უნდა იყოს იმაზე საზარელი, როცა დღესაც უგნურთა სიბრიყვითა თუ მიზანმიმართული ქმედებით იფლითება ქართული მიწა ისედაც მრავალგზის იავარქმნილი და დაჩეხილი.

რაღა უნდა იყოს იმაზე უფრო მტკივნეული, როცა სხვათა ენაზე მოტიკტიკე უმეცარ ყრმათა ხელში დაწუნებულია და დამცრობილია ქართული ენა, ქართული წიგნი, ქართული ხელოვნება, ყველაფერი ქართული... კვდება ის უძველესი ენა, რომელსაც ცნობილმა უნგრელმა ლინგვისტმა ძებიშმა **„ღმერთების ენა“** უწოდა... საბოლოო ჯამში კი ეცემა და ნადგურდება ქართული სული!

ასეთი განსაცდელის ჟამს არა გვაქვს დუმილის უფლება, რამეთუ დღეს დუმილი სიკვდილის ტოლფასია.

თუ ჩვენში დუღს სისხლი წინაპართა, სწორედ რომ ქუდზე კაცის გამოსვლის დროა! თორემ აღსრულდება მანქურთთა მარადისი ოცნება: – საქართველო ქართველების გარეშე!

გვინდა მოვიყვანოთ ნაწყვეტები იმ ღია ბარათიდან, რომელიც 1917 წელს ქართველ მწერლებს გაუგზავნა პოეტმა ტიციან ტაბიძემ:

*„მამულიშვილნო და მოქალაქენო!*

*დღევანდელი დღე და ორივე ეს სიტყვა გვავალებს, სხვა დროს არ გვქონია საშუალება არც შეერთებისათვის და არც ხმის ამოღებისათვის.*

*დღეს ეს შესაძლებელიცაა და აუცილებელიც...*

*ერის სული მწერლობაში ლაპარაკობს.*

*არავის არა აქვს მეტი უფლება ერის სახელით გამოსვლის, ეს მწერლების საღვთო მოვალეობაა.*

*თქვენ,*

*ვისაც გაწვალებთ საქართველოზე ფიქრი, ვინც იტანჯოდით მისი სიწმინდის შესანახად და გიყვარდათ საქართველო უფროის ყველაფრისა, რაც წარმავალია და არამარადი, თქვენ ხალხი დაგიჯერებთ, რადგან თქვენი უწინაც სჯეროდა.*

*ეს ნდობა არის ერთადერთი და უდიდესი საჩუქარი უანგარობისა და სიწმინდისათვის, ქართველი ხალხისგან...*

*მონობაში დაბადებულ და გაზრდილ ქართველებს გვეძლევა დღეს საშუალება გავიმეოროთ წინათქმა, რომლითაც მემატიანე იწყებს „ქართლის ცხოვრებას“ და, რომელსაც, გრძელ ისტორიულ ცხოვრებაში, ამართლებდა ქართველი ერი:*

*– არავის ვეყმოთ, არცა ვემონოთ გარეშე ღვთისა დამდებლისა.*

*– თავისუფალი და ბედნიერი საქართველო – ჩვენ შეგვაერთებს.*

*დღეს, როცა ქალაქიდან ქალაქად, სოფლიდან სოფლად დადიან, ალბათ, სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები და ერის ნებისყოფას ანელებენ კერძო ჯგუფურ თუ სხვა მოთხოვნათა შერევით, საჭიროა მათ წინ უსწრებდეს ქართველი მწერლების შეერთებული ხმა, რომელშიც ყოველ ჯგუფობაზე მაღლა მდგარი ქართული აზრი გამოითქმება“...* (გაზ. „საქართველო“, 1917, 6 აპრილი, № 74).

ტიციანის ამ მიმართვაში, თითქოსდა, დღევანდელი დღეა დახატული.

დღესაც იგივე თავსატკივარი გაგვჩენია.

დალუქული და დაპატიმრებულია საქართველოს მწერალთა კავშირის ის შენობა, რომელიც დიდმა მეცენატმა, აკაკი ხოშტარიამ XX საუკუნის დასაწყისში სრულიად უანგაროდ გადასცა ქართველ მწერლებს.

სულს ღაფავს ჟურნალი **„ცისკარი“**, რომელიც რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა ქართველებს XIX საუკუნეში დაუარსა, XXI საუკუნის საქართველოში კი ქართველთავე ხელით რომ კვდება.

უარეს დღეშია უძველესი ჟურნალი **„მნათობი“**, ასევე ჟურნალი **„საუნჯე“**.

დახურულია ალმანახი **„კრიტიკა“** და საბავშვო ჟურნალი **„დილა“**.

უფუნქციოდაა ერთადერთი საბავშვო გამომცემლობა **„ნაკადული“** და გაიყიდა გამომცემლობა **„მერანი“** (რისი თანხაც სულ რამდენიმე არამზადამ ჩაიჯიბა, რაც უნდა იქცეს გამოძიების დაწყების მიზეზად), თუმცა ამ საქმეში, სხვებთან ერთად, ქართველ ვაი-მწერლების ხელიც ურევია, ასევე გაიყიდა გამომცემლობა **„სამშობლო“**.

სასკოლო და უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოებში იგნორირებულია საქართველოს ისტორიის და ლიტერატურის სწავლება! ცდილობენ ქართული ენის სხვათა ენით ჩანაცვლებას.

დიდი მამულიშვილი და მკვლევარი მოსე ჯანაშვილი წერდა:

***„...ჩვენი კვლევა-ძიების ობიექტად შეიქმნა ქართველური ენა. ჯერ ისევ 1845 წელს მისულ ვიყავით ხედვამდე, რომ ქართველური ენა არისო ქართველთა მოდგმის გონება, ხოლო გონება – მისი ენა და ისტორია...“*** (ხაზგასმა ჩვენია).

ამით პირდაპირაა თქმული, რომ ენასთან ბრძოლა და მისი მოკვდინება ერის გონებასთან და ისტორიასთან ბრძოლაა, მათი მოკვდინებაა!

ასე, რომ ჰკლავენ და ძირკვავენ ქართულ კულტურას!

ებრძვიან და ცდილობენ მოაშთონ ყოველივე ქართული!

დაუნდობელი ომი გამოუცხადეს ქართულ წიგნს; დაიხურა ბიბლიოთეკები, გაიბნა უნიკალური ძვირფასი გამოცემები. კაფეებად, ყავახანებად და მარკეტებად გაიყიდა წიგნის მაღაზიები, გამომცემლობები – სასტუმროებად და საროსკიპოებად.

რატომ ებრძვიან ასე გააფთრებით ქართულ წიგნს?

პასუხი ამ კითხვაზე ერთადერთია: ეს პირდაპირი, თუმცა ფარული ომია ქართული გონებისა და სულის წინააღმდეგ. წიგნი განათლების, ცოდნის, სიბრძნის წყაროა. თუკი ამ წყაროს გადავუკეტავთ ადამიანებს, მათგან მივიღებთ **„ცერებრალურად ღია საზოგადოებებს“**. ამგვარი




საზოგადოება, ხალხი თუ ერი ადვილად სამართავი და ზომბირებადია. განათლებული ადამიანების, ხალხისა თუ ერის გონებაზე კი ხელისუფლება ველარ ზემოქმედებს, რადგან ამგვარი ადამიანების ტვინი მათთვის დახშულია. თანამედროვე ფსიქოლოგია ასეთებს **„ცერებრალურად დახურულ საზოგადოებებს“** უწოდებს და ერთობ ძნელდება მათი ზონდირებაც და ზომბირებაც...

ასეთები კი, ცხადია, ჩვენს ხელისუფალთ და მათ უცხოელ პატრონებს, აღარ აძლევთ ხელს...

ტკივილსა და ნაღველში ჩაძირულა დაქანცული ქართული სული!

შელახულია ქართული მწერლობა – ოდესღაც ერის სინდისის ძარღვი!

შელახულია უწმინდეს ქართველთა სახელები!

ებრძვიან მართმადიდებლობას, რამეთუ უღმერთოთა სახელით არიან მოსულნი!

ამიტომაც, როცა დღეს გაჩნდა იმედი ქართული სულიერებისა და ერის ფიზიკური გადარჩენისა, ამ იმედის მოშთობას ცდილობენ ყოველგვარი სატანური ხრიკებით...

ჩვენთვის, ქართველ მწერალთათვის და სრულიად საქართველოსთვის მიუღებელი და უკიდურესად აღმაშფოთებელია ის ფაქტი, რომ ქართველებს საკუთარი სამშობლოდან აძევებენ იმ ხიზანთა შთამომავლები, რომლებიც ქართული შემწყნარებლობით სარგებლობდნენ და სარგებლობენ, გულში კი მუდამ ავი ზრახვები ედოთ – ჩაეკლათ ქართული სული, დაენგრიათ ქართული სახელმწიფო და კაცობრიობის ისტორიიდან გაექროთ უდიდესი ფენომენი – ქართველი ერი!

და როცა:

ქართველ კაცს საქართველოში ცხოვრების უფლებას ართმევენ ის ადამიანები, რომლებიც, როგორც უკვე ავღნიშნეთ, ფრიად საეჭვო და უგუნური ქართველები არიან, ხმა უნდა აღვიმაღლოთ; საქართველოს მოქალაქეობას ართმევენ იმ ადამიანს, რომელიც უკვე შესულია საქართველოს ისტორიაში თავისი უდიდესი მამულიშვილობით, ქველმოქმედებით და ჭეშმარიტი ქართული სისხლითა და გონით.

ფრთხილად! ცეცხლს ნუ ეთამაშებით, უძღებნო შვილნო, თორემ დედა საქართველო დედინაცვლად გექცევათ!

გონს მოდით, ვიდრე დრო გაქვთ, ვიდრე ერი სამსჯავროზე გაგიყვანდეთ და თქვენს დანაშაულობათა გამო საკადრისს მოგიზღავდეთ!

მიეცით ქართველ ხალხს თავისუფალი არჩევანის უფლება – დაე, თავადვე განსაჯონ შავი და თეთრი, ბოროტი და კეთილი; თავადვე აირჩიონ გზა სატანისკენ თუ უფლისკენ.

და თუ ქართველი ერი უფლის გზას დააგდებს და სატანისას დაადგება, იგი დასაღუპი ყოფილა და, დაე, აღსრულდეს ღვთის ნება!

ერთ რამეს კი დარწმუნებით ვიტყვით: ქართველები ახლა ვადგავართ წყვდიადის, უფსკრულისა და ეშმაკის გზას და ვიდრე დავიღუპებოდეთ, უპირველესად, ჩვენვე უნდა მოვეგოთ გონს – გავარკვიოთ:

**ვინა ვართ?!**

**საიდან მოვსულვართ?!**

**სადა ვართ?!**

**საით მივდივართ?**

ღმერთი ჰფარავდეს სრულიად საქართველოს და ქართველობას!

ამინ!

**ქართველ მწერალთა ერთი ჯგუფი**

## ზუგდიდელი დევნილები შველას ითხოვენ

ზუგდიდის კომბინატის დასახლებაში, ელექტროქვესადგური **„ზუგდიდი I“**-ის ადმინისტრაციულ შენობაში მცხოვრები 13 დევნილი ოჯახი დევნილთა ადგილობრივ სამმართველოს საკუთარი უფლებების დარღვევაში ადანაშაულებს. აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის დევნილთა სამმართველოს უფროსის მოადგილე გოჩა ელერჯიამ მიმდინარე წლის 17 აგვისტოს დევნილებს ფოთის ჩასახლებაში გადაყვანის შეთანხმებაზე ხელი მოაწერინა და ახალ რაიონში გადასაყვანად ბარგის შეკვრა სთხოვა, თუმცა ამ დასახლებიდან არცერთი დევნილი ოჯახი არ წაუყვანიათ.

**„პირუტყვი გვყავდა და თავს იმით ვირჩენდით, რომ გვითხრეს, ბარგი შეკარითო, გავყიდეთ და ახლა გვეუბნებიან, თქვენი ადგილი ფოთში არ არის და 2012 წლის ბოლომდე აქ დარჩებითო“**, – აცხადებს საქინფორმთან საუბრისას დევნილი ტრისტან გვაგვალია.

ამასთან, დევნილების თქმით, ელექტროქვესადგურს გამოსხივება აქვს, რის გამოც მობინადრეებს სხვადასხვა დაავადება განუვითარდათ.

აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის დევნილთა სამმართველოს უფროს ლევან მიქავას თქმით, **„აღნიშნულ ობიექტთან დაკავშირებით ცვლილებები და ამ ობიექტში მცხოვრები დევნილების ფოთში ჩასახლება ახლო მომავალში არ იგეგმება“**.

**საქინფორმი**

## ნანა კაკაბაძის 10 კითხვა ჟურნალისტებს

არასამთავრობო ორგანიზაციის – **„ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“** – ერთ-ერთი ლიდერი ნანა კაკაბაძე ჟურნალისტებს ათი კითხვით მიმართავს, რომელთაც საქინფორმი უცვლელად გთავაზობთ:

**„1. იცით თუ არა, რომ ჟურნალისტის უპირველესი მოვალეობა ობიექტურობაა?**

**2. 230 ჟურნალისტიდან რამდენს გქონიათ საშუალება, შეხვედროდით და მწვავე კითხვები დაგესვათ ამ ქვეყნის რომელიმე რეალური მმართველისადმი – მიხეილ სააკაშვილის, გიგა ბოკერიას, ვანო მერაბიშვილის ან ზურაბ ადეიშვილისთვის?**

**3. გაქვთ თუ არა აღნიშნულ პირებთან ისეთ ღია პრესკონფერენციაზე შეხვედრისა და კითხვების დასმის მოთხოვნილება, როგორც ეს მოხდა ბიძინა ივანიშვილთან?**

**4. პრეზიდენტის პრესმდივნის ან რომელიმე მინისტრის მიერ მოწყობილი პრესკონფერენციისას გაქვთ თუ არა მათთან კითხვების დასმისას „ჩაკითხვის“ ან კითხვის დასმის შემდეგ „გასაუბრების“ გაგრძელების უფლება ან ამაზე პრეტენზია?**

**5. ოდესმე გაგჩენიათ (ან, მით უმეტეს, გამოგითქვამთ) პროტესტი რომელიმე სამთავრობო დაწესებულებაში შესვლისას თქვენი პირადი ჩხრეკის გამო?**

**6. 2007 წელს ტელეკომპანია „იმედის“ დარბევასთან დაკავშირებით თუ გქონდათ ისეთი უკიდურესი და თავგანწირულობამდე მისული პროტესტი, როგორც ამას აკეთებდით ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენციაზე მიკროფონის მოსაპოვებლად?**

**8. ოდესმე გაგჩენიათ სურვილი, მიხეილ სააკაშვილისათვის გეკითხათ, არის თუ არა ის რუსეთის პოლიტიკის გამტარებელი საქართველოში? ნებით ჩააბარა თუ არა ქვეყნის ტერიტორიის 20% რუსეთს? რატომ გადასცა მტრულად გამოცხადებულ ქვეყანას ქვეყნის ეკონომიკის ყველაზე მომგებიანი სფეროები?**

**9. ოდესმე დაგისვამთ შეკითხვა ქვეყნის პირველი პირისადმი, ვინ იყო 2007 წლის 7 ნოემბერს და 2011 წლის 26 მაისს ქართველი როდიონოვი, ან როდის დაისჯებიან ჩადენილი დანაშაულის ადეკვატურად სანდრო გირგვლიანის, ბუტა რობაქიძის, ზურაბ ვაზაგაშვილის, გიორგი გამცემლიძის და ქუჩაში უდანაშაულოდ ჩახოცილი სხვა ბიჭების მკვლელები?**

**10. როგორც საქართველოს მოქალაქეებს, გაგჩენიათ თუ არა კითხვა, რატომ არიან ხელისუფლებაში და პრეზიდენტთან მეგობრულ ურთიერთობებში გირგვლიანის, ჟვანიასა და სხვათა მკვლელები, ან რატომ არიან ხელისუფლებაში წაგებული ომის „მთავარსარდალი“ და „გენერლები“?“.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ნაციონალური“ ტერორი ანუ განწირულთა როკვა

ბიძინა ივანიშვილის ქართულ პოლიტიკაში გამოჩენა მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა, რომელმაც სტაგნაციის პროცესში მყოფი ქართული პოლიტიკური ცხოვრება ელვისებურად გამოაცოცხლა და ქართველ ერს ისევ მომავლის და ხელისუფლების ცვლილების იმედი ჩაუსახა.

ივანიშვილის პოლიტიკური გააქტიურება მაღალი მიხეილისთვის ნამდვილი შოკი იყო, ვინაიდან ერთ დროს ჩრდილში მყოფმა პიროვნებამ, რომელსაც უდიდესი ფინანსური რესურსები გააჩნია მისი რეჟიმის დემონტაჟისთვის რეალური კონტურები მოხაზა.

სააკაშვილი კარგად ხვდება რომ ივანიშვილისთვის კონკურენციის გაწევა გაუჭირდება და მისთვის ჩვეული მეთოდებით ვერ გადაღუნავს. უფრო მეტიც მაღალ მიხეილს ბიძინას მსგავსი კონკურენტი ჯერ არ ჰყოლია, რადგან მას გარდა მძლავრი ფინანსური რესურსებისა პიროვნული რესურსი გაცილებით მეტი აქვს ვიდრე ერთად აღებული მთელ **„ნაციონალურ მოძრაობას“**. გარდა ამისა, რაც ყველაზე მეტად უშლის ნერვებს სააკაშვილს ის არის, რომ ივანიშვილი არ არის ორიენტირებული ქუჩისკენ და რადიკალური მეთოდებით ხელისუფლების ცვლილებისკენ. მან მკაფიოდ განაცხადა, რომ რევოლუციის გზით პოლიტიკურ პროცესებს არ წაიყვანს: **„ძალიან მეშინია, ქუჩის აქციები არ დაიწყოს, რაც ამათ აწყობთ. არ უნდა ვითამაშოთ მათი თამაში. როგორმე არჩევნებამდე უნდა მივიდეთ... სიტყვა „რევოლუციის“ გაგონებაც არ მინდა და არც სიტყვა „ქუჩის“ ხსენება მინდა. ხელისუფლების არჩევნებით შეცვლის პირველი პრეცედენტი უნდა შევქმნათ. ეს ერთ-ერთი დიდი წარმატება იქნება“.**

დღეს სააკაშვილის რეჟიმი აგონიაშია, რომელმაც პოლიტიკური პროცესებისადმი ადეკვატური დამოკიდებულების უნარი სრულიად დაკარგა და მხოლოდ რეპრესიული მეთოდებით აგრძელებს **„მოღვაწეობას“**. ვინაიდან სააკაშვილის ყველაზე დიდი საფრთხე ამ ეტაპზე ივანიშვილია მის მიმართ რეპრესიული მანქანა უკვე მთელი სიმძლავრით ამოქმედდა: პოლიცია ყაჩაღურად თავს დაესხა ბიზნესმენის კუთვნილ ბანკი **„ქართუს“** საინკასაციო მანქანას და ხუთ მილიონამდე უცხოური ვალუტა **„დააპატიმრა“,** მოქალაქეობა ჩამოართვეს ივანიშვილს და მის მეუღლეს, აეროპორტში დააკავეს მისი მოსკოვის ოფისის წარმომადგენელი ვალერი ლევინი და ა.შ. ეს ყოველივე უკანონო და არაგონივრული გადაწყვეტილებაა, რომელიც უფრო მეტად შეუწყობს ხელს სააკაშვილის ხელისუფლების აღსასრულის მოახლოებას.

ივანიშვილის მიერ დეკლარირებული პოლიტიკური ბრძოლის სტრატეგია სწორი და გამართლებულია. თუმცა სააკაშვილისთვის არახელსაყრელი, რადგან ივანიშვილის ქუჩაში გაყვანას თუ ვერ შეძლებს დასავლელ პარტნიორებს ვერ ეტყვის რომ ის მარგინალი, კონსტიტუციური წესწყობილების წინააღმდეგ მებრძოლი **„რუსეთის აგენტია“** და მის მიმართ მკაცრი ზომების გატარებას სახელმწიფო ინტერესების დაცვა მოითხოვს. მაგრამ თუ ამას მიაღწევს მაშინ შეეცდება მის დაპატიმრებას ან ქვეყნიდან გაძევებას, როგორც ოქრუაშვილის შემთხვევაში მოხდა. ამიტომაც ხელისუფლების მიერ განხორციელებული ზეწოლის და რეპრესიების მიზანს წარმოადგენს ივანიშვილის რაციონალური პოლიტიკიდან ქუჩის პოლიტიკაში გადაყვანა, რისი მიღწევაც დიდი ალბათობით მაღალ მიხეილს გაუჭირდება.

საქართველოში პოლიტიკური პროცესების **„კადაფიზაციის“** თავიდან არიდების მიზნით მოსახლეობის აქტიურობაზე არანაკლები მნიშვნელობა აქვს **„გარე თვალს“** და მათ ობიექტურ პოზიციას. ამ ეტაპზე ვითარება უკეთესობისკენ იცვლება, რადგან საერთაშორისო საზოგადოება თანდათან უფრო დიდ ინტერეს გამოხატავს პოლიტიკოსი ივანიშვილისადმი, რაც სააკაშვილისთვის ფეხიდან მიწის გამოცლის ტოლფასია. როგორც ჩანს სააკაშვილის **„ძალისუფლება“** კართაგენის ბედს არც ისე შორეულ მომავალში გაიზიარებს.

უკვე ყველასათვის თვალშისაცემია ის ფაქტი, რომ ივანიშვილის პოლიტიკური გააქტიურების შემდეგ სააკაშვილის მხარდამჭერთა წრე ვიწროვდება, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამაზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ აშშ-ს ელჩი ჯონ ბასი, რომელსაც ქართულმა საზოგადოებამ სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმის მფარველობის და 26 მაისის მომიტინგეთა დასარბევად **„სანქციის გაცემის“** გამო **„მწვანე ჯონი“** შეარქვა, დღეს სულ სხვანაირად დაიწყო **„ჭიკჭიკი“: „მნიშვნელოვანია, რომ შემდეგი არჩევნების ციკლი იყოს ლეგიტიმური და დემოკრატიული“** (ანუ აქამდე რაც ჩატარდა დემოკრატიული არ იყოო). მიშა კრიტიკას მისი გულმხურვალე პროპაგანდისტების– ვ.ნოვოდვორსკაიას და კ.ბარავოის მხრიდანაც ვერ ასცდა, რომლებმაც სააკაშვილი პუტინის მსგავსად ავტორიტარული მმართველობის დამყარების მცდელობაში დაადანაშაულეს. არც ის უნდა დარჩეს ყურადღების მიღმა, რაც საქართველოში ვიზიტად მყოფმა ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილე უილიამ ბერნსმა, რომ დაგვიბარა (ჩვენ რა... მიშას დაუბარა!): **„მოვუწოდებთ საქრთველოს ხელისუფლებას, განახორციელოს საარჩევნო კოდექსის და პოლიტიკური გარემოს რეფორმა, რათა უზრუნველყოფილი იქნას მომავალი ორი წლის განმავლობაში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები, რისი შედეგიც იქნება 2013 წელს ხელისუფლების სრულად დემოკრატიული გადაცემა“.**

საერთაშორისო საზოგადოების და ქართველი ერის აზრის გათვალისწინებით სააკაშვილი იძულებული გახდება მიანიჭოს მოქალაქეობა ივანიშვილს და მისცეს შესაძლებლობა პოლიტიკურ პროცესებში სრულფასოვანი მონაწილეობის, წინააღმდეგ შემთხვევაში პოლიტიკური პროცესები ქვეყანაში უმართავი გახდება, რომლის გაკონტროლებას სააკაშვილის რეჟიმი ვერ შეძლებს, თუნდაც **„კუდიანებზე“** ნადირობის საბაბით, რადგან **„რუსეთის აგენტის“** იარლიყის მიკერების მუქარა აზვირთებული ხალხის ძალას წინ ვეღარ დაუდგება.

როგორც ჩანს სააკაშვილი რთული არჩევანის წინაშე დადგა: ან საკუთარი მოსახლეობის ტერორს გააგრძელებს, რის შემდეგაც კადაფის ბედის გაზიარებისთვისაც მზად უნდა იყოს, ან სერიოზული დაპირისპირების გარეშე დათმობს ხელისუფლებას და ძალაუფლებას მის **„კანონიერ“** მფლობელს – ხალხს დაუბრუნებს.

**ზურაბ ჯამბურია**

*პოლიტოლოგი*

## ყოფილი პოლიციელის საქმე სკანდალებით გრძელდება

სამეგრელოში ზედა-ეწერის პოლიციის ყოფილი უფროსის – ლაშა ექონიას, საქმესთან დაკავშირებით სკანდალები არ ცხრება. ამჯერად პოლიციელების მიერ ჯგუფურად ნაწამები ალექსანდრე სართანიას ოჯახი ლაშა ექონიას გარემოცვას მოწმეების მოსყიდვასა და დაშინებაში ადანაშაულებს.

გამოძიების მასალების მიხედვით დადგინდა, რომ ალექსანდრე სართანია ზედაეწერის პოლიციის ყოფილმა უფროსმა ლაშა ექონიამ ორ პოლიციელთან ერთად მიმდინარე წლის 25 ივნისს დილით სახლიდან გაიყვანა, ეჭვიანობის ნიადაგზე სასტიკად სცემა, დააბა და არაადამიანურად აწამა. ამ შემზარავ სისხლის სამართლის საქმეში არსებული ორი პოლიციელის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია.

გამხეცებული პოლიციელების მიერ ნაცემი და უგონო მდგომარეობაში მიგდებული ალექსანდრე სართანია მოგვიანებით გონზე მოდის და ტყიდან გზაზე გამოსვლას სასწაულით ახერხებს. მას სამარშრუტო ტაქსი უჩერებს, რომელსაც ნაცემი ახალგაზრდა სახლში მიჰყავს. სწორედ ამ სამარშრუტო ტაქსის მძღოლს და მგზავრს შეაცვლევინეს ძალითა და მუქარით ჩვენება ყოფილი პოლიციელის ახლობლებმა და **„გულშემატკივრებმა“.** ისინი სასამართლოსთვის მიცემულ ჩვენებებში ამბობენ, რომ სართანია მთვრალი იყო და ამიტომ დაზიანდა, არადა, ექსპერტიზა ადასტურებს, რომ დაზარალებული ნასვამი არ ყოფილა.

ალექსანდრე სართანიას ოჯახი დაუნდობელი პოლიციელის სათანადოდ დასჯას და საქმეში დაფიქსირებული კიდევ ორი პოლიციელის დაკავებას ითხოვს.

შეგახსენებთ, რომ ბრალდებულის წინააღმდეგ ზუგდიდის რაიონულმა პროკურატურამ საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე 1 პრიმა მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით აღძრა, რაც თანამდებობის პირის მიერ წამების ჯგუფურად ჩადენას და ადამიანის სიკვდილის პირამდე მიყვანას გულისხმობს. დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში პოლიციელს თავისუფლების 9-დან 15 წლამდე აღკვეთა ემუქრება.

გირგვლიანი, ვაზაგაშვილის, რობაქიძის, კვინტრაძის და სხვა უდანაშაულო ადამიანების მკვლელი პოლიციელები სათანადოდ რომ დასჯილიყვნენ, არა გვგონია, რომ სხვა პოლიციელებს ჩაედინათ ანალოგიური მძიმე დანაშაული, მაგრამ რა უნდა მოსთხოვო იმ ფორმიან არამზადებს და მათ მაღალ მფარველებს, რომელთაც ცა ქუდად არ მიაჩნიათ და დედამიწა ქალამნად!

## “შინ”-ი, შინ

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მუსიკალური კულტურის აღორძინება დიდად არის დამოკიდებული სწორ აღზრდაზე. ასეთი აღზრდა კი გულისხმობს აღსაზრდელთათვის როგორც ეროვნული, ასევე მსოფლიო მუსიკალური კულტურის შედევრების დროულ მიწოდებას. ამისთვის, უპირველეს ყოვლისა, საშურია, შემთავაზებელს გააჩნდეს სათანადო ესთეტიკური ალღო. მუდამ უნდა გვახსოვდეს დიდი გოეთეს შეგონება, რომ **“მშვენიერების შეგრძნების გამომუშავება ადამიანში მხოლოდ მშვენიერი საგნებისა და მაგალითების მეოხებით უნდა მოხდეს.”**

2011 წლის სექტემბერში ქალაქ ზუგდიდს ეწვია ჯგუფი **“შინ”.** მჯერა, რომ ჰიპერბოლისტობას არ დამწამებთ თუ ვიტყვი რომ ჯგუფი **“შინ”** მუსიკალური კულტურის მწვერვალია, სადაც ტრადიციულ ქართულ კულტურასთან თანამედროვე ევროპული ჰანგებია გაერთიანებული...

კონცერტზე მეგობრებთან ერთად ვიყავი. შესავალში აღზრდის მნიშვნელობაზე ამდენი იმიტომ ვისაუბრე, რომ მიმაჩნია – ჩემი და შედარებით უმცროსი თაობაც მსგავსი ესთეტიკური სილამაზის მეოხებით უნდა აღიზარდოს.

მინდა გავიხსენო გ. ჰენდელის სიტყვები: **“ძალიან დამენანებოდა, ჩემი მუსიკა რომ მხოლოდ ართობდეს ჩემს მსმენელს; მე ვცდილობ, ისინი უკეთესნი გავხადო.”** ასევეა **“შინ”**-იც, რომელიც არამარტო ესთეთიკური სილამაზით გამოირჩევა, არამედ, იგი უკეთესს ხდის მსმენელს...

**“შინ”**-ი არა მარტო ქართული მუსიკალური ჯგუფია საზღვარგარეთ, არამედ იგი შეიძლება ჩაითვალოს ქართული კულტურის ელჩად ევროპაში. მიმაჩნია, რომ ისეთ რთულ ორგანიზმში, რასაც ქართული მუსიკა ქვია, რაიმე განსაკუთრებულის თქმა უკვე გმირობისა და გენიალურობის ნიშანია. **“შინ”**-მა ეს მოახერხა...

საღამოს ნაკლოვანებად ორი რამ შეიძლება ჩაითვალოს, პირველი – საზოგადოების უმრავლესი ნაწილის ინფორმაციულ ვაკუუმში ყოფნა, მათ არ იცოდნენ კონცერტის შესახებ და მეორე – წვიმა... მაგრამ, უნდა გენახათ მხატვარი ვალერი ქობალია, ქალაქის ბულვარში, როგორი აღფრთოვანებით მოუწოდებდა ხალხს საღამოს 8 საათზე კონცერტზე მოსულიყვნენ... მისი აღფრთოვანება გადამდები გამოდგა რადგან **“შინ”**-ის ხსენებაზე ყველას დადებითი ემოციით ემუხტებოდა სახე... ხოლო, რაც შეეხება წვიმას, მან, რათქმა უნდა, მაყურებელს ცოტა დისკომფორტი შეუქმნა, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ უფრო მეტი რომანტიკა შესძინა საღამოს. ასევე, უამინდობის მიუხედავად ხალხის არდაშლა, შეიძლება ჩაითვალოს მოწოდებად **“შინ”**-ისთვის, რომ რაც შეიძლება მეტჯერ ეწვიოს საქართველოს და შემდეგ ზუგდიდს.

თავს ბედნიერად ვთვლი, რომ მომეცა შანსი დავსწრებოდი კონცერტს... ქართულ ელემენტებში გაზავებული ჯაზი არაჩვეულებრივს ქმნიდა წვიმიან საღამოს. ყველაფერი უფრო ლამაზი ჩანდა, ვეება ნაძვებიც, რომლებსაც ერთი სული ჰქონდათ აყოლოდნენ რიტმს... არაჩვეულებრივი იყო ჩემთან მყოფი ის გოგონაც, რომელიც შინაგანად ცეკვავდა თითქოს...

**“შინ”**-ი ქართული სულის როკვაა... ქართული კულტურის დესპანი უცხოეთში..

დაუკებელი სურვილი გამაჩნია ისევ ვიხილო **“შინ”**-ი შინ...

**გიო გობეჩია**

## საქართველოს მოსახლეობამ ივანიშვილი, როგორც გადარჩენის შანსი, ხელიდან არ უნდა გაუშვას

**(ნაწყვეტები ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილის ინტერვიუდან)**

...ეს ხელისუფლება ებღაუჭება სკამებს და ამ ბღაუჭში უბედურებას უბედურებაზე სჩადის... ვერც ერთი ქართველის მეხსიერებიდან ვერ ამოშლიან სისხლიან 26 მაისს, სხვა დანარჩენზე რომ აღარაფერი ვთქვათ. 26 მაისს უამრავი ადამიანი დაიღუპა, მაგრამ მათი ოჯახები დაშინებული არიან და დუმან.

...26 მაისის შემდეგ ხელისუფლებამ კანონები დაამძიმა, რომ მანიფესტაციები ნაკლები იყოს, საპატრიარქოსაც შეუტიეს. გარემოვაჭრეებს ებრძვიან, ლუკმაპურის საშოვნელი ჯიხურები წაართვეს და მას შემდეგ, რაც ივანიშვილი პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა, ხალხს ეუბნებიან, ჯიხურებს დაგიდგამთ, ოღონდ წინასწარ გადაიხადეთ ფულიო. 5-ლარიანი სამგზავრო ვაუჩერები ხომ ანეკდოტია. და, აი, როდესაც ხალხი სასოწარკვეთილი იყო, გამოჩნდა ივანიშვილი. უკეთესზე ვერც ვიოცნებებდით.

იგი წლების განმავლობაში სახელმწიფოს ცვლის, იმდენ კარგ საქმეს აკეთებს. უამრავ ქართულ ოჯახს ეხმარება, ეკლესიები ააგო, ამდენი თეატრისა და მუზეუმის რემონტი და ის ყველაფერი, რასაც სააკაშვილი წითელი ლენტის გაჭრით ხსნიდა, რეალურად ივანიშვილის გაკეთებულია. ივანიშვილის გამოჩენამ დაბეჩავებულ ხალხს დიდი იმედი ჩაუსახა...

...რაც შეეხება არჩევნებს, ამ რეჟიმის ხელში არჩევნების ახლაც არ მწამს. მაგრამ დღეს საქართველოში გამოჩნდა ადამიანი, რომელიც გარდა იმისა, რომ ძალიან მდიდარია, ამავდროულად არის პოპულარული და დიდი ქველმოქმედი. ბოლო წლებში იმდენი სიკეთე აკეთა, რომ რაც უნდა შავი პიარი აუგორონ, ვერაფერს დააკლებენ. პოლიტიკაში ივანიშვილის გამოჩენა ხელისუფლებისთვის მეხის გავარდნა იყო მოწმენდილ ცაზე. გაოგნებული არიან და სკამების დაკარგვის შიშით, რას სჩადიან, თვითონაც არ იციან.

ყველამ კარგად იცის, რომ ივანიშვილი, პირველ რიგში, საქართველოში აღადგენს სამართალს და კანონს. თუ დამოუკიდებელი სასამართლო არ გვექნა, რაც უნდა კეთილი საქმე აკეთო, შედეგს არ გამოიღებს. **"სახალხო კრების"** წევრებმა გადავწყვიტეთ, საქართველოში ბოლო ხანს განვითარებული მოვლენების ამსახველი ფაქტები აღვწეროთ, შევკრიბოთ და ერთ დიდ დოკუმენტად ვაქციოთ, რომელსაც **"შიშიდან თავისუფლებამდე"** დავარქმევთ...

...ფაქტია, რომ ივანიშვილს ბევრი ბარიერი აღუმართეს. მაგრამ, ივანიშვილს ყველაფერზე ნაფიქრი და გააზრებული აქვს. ჩემი ღრმა რწმენით, ივანიშვილმა ეს ნაბიჯი იმიტომ კი არ გადადგა, რომ პოლიტიკაში მოსვლის ამბიცია ჰქონდა, არამედ მას ქვეყნის გადარჩენა სურს. ის ადამიანებიც კი, ვინც ბიძინა ივანიშვილმა გააკრიტიკა, მასთან შეხვედრის შემდეგ გაოცებული და აღფრთოვანებული არიან. ასევე გამოჩნდა, რომ არაჩვეულებრივი ოჯახი ჰყოლია. ბერას კლიპიც მომეწონა, ნიშანდობლივი იყო...



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი დროის მამლის ყივილი

დღეს დილით, გაზეთების ჯიხურთან მდგარნი, ერთი ჩვეულებრივი **"კარენოი"** თბილისელის (გაურკვეველი ეროვნების) მენტორული ტონით ნათქვამს ვისმენდით: **"რა უნდა, ტო, ივანიშვილს? ფული იშოვეეე, შეირგე რა! რას ეჩრები პოლიტიკაში. ფული გაააქ? წადი, რა! დრო ატარე, იქეიფე, რაღა..."**

არ გეგონოთ, რომ იგი ბიძინა ივანიშვილის გულშემატკივარია და წუხს, პოლიტიკაში მისულს, ემანდ ცუდი არაფერი შეემთხვეს, თავი არ გაიფუჭოსო...

არა, პატივცემულო მკითხველო! ეს სიტყვები დიდმა შიშმა, ზოგისთვის გაცნობიერებულმა, ზოგისთვის გაუცნობიერებულმა დიდმა შიშმა ათქმევინა.

ამ სიტყვებს იმეორებენ არა მხოლოდ პროსომხური ორიენტაციის მქონე ხელისუფლება და გვარგადაკეთებული პოლიტიკოსები, არამედ ე.წ. ოპოზიციაში დასაქმებული მოტანტალე ხვლიკები, ნარცისი მლიქვნელები, ქვებუდარნი... **"პადოშაში"** აკუმულირებული მათი ზნეობრივი და გონებრივი ბრწყინვალება სეზონური წვიმებივით მოსულ და მერე გამოდარებულ ქუჩის მიტინგებზე წარმოთქმულ სიტყვებში იელვებს და კვლავ **"პადოშაში"** ან თუნდაც **"დელფინაში"** ჩაინავლებს მომავალი აფეთქება-გაელვებისათვის.

გაზეთების ჯიხურთან მდგარი **"კარენოის"** სიტყვებს იმეორებენ თვითმარქვია პოლიტოლოგები, ექსპერტები, მრჩევლები, ჟურნალისტების ლეგიონი... ერთი სიტყვით, ყველა, ვისაც ევალება, ან ავალებენ ბიძინა ივანიშვილის განქიქებით მოიპოვონ პური არსობისა.

დიდი ილია ჭავჭავაძე წერდა: **"ეხლა ხმალი თაროზე უნდა შევდვათ, არაფრის მაქნისია; ეხლა ან ადლი უნდა გვეჭიროს ხელში, ან გუთანი, ან ჩარხი ქარხნისა..."**

ჩვენს სნობ პოლიტიკოსებს ადლის, გუთნისა და ჩარხის გაგონება არ უნდათ! ადლი, გუთანი და მისთანაები ფეოდალიზმის გადმონაშთია, ჩამორჩენილობის ნიშანია; ეხლა კომპიუტერი უნდა გვეჭიროს ხელში, ან ფლეთჩერის ტურბო-ფალოსი და ინგლისურს ვსწავლობდეთ!

ამგვარად მოაზროვნენი, რა თქმა უნდა, იტყვიან: ბიძინა ივანიშვილის ადგილი პოლიტიკაში კი არა, ქარვასლაშიაო!

ქვეგამხედვარებმა ამ სიტყვებით, თავიანთი ჭკუით, ბიძინა ივანიშვილს ცხოვრებაში ადგილი მიუჩინეს, მაგრამ ამასვე გაუბედავდნენ დიდ ილიას მისი საქმიანობის გამო (ბანკის დაარსება) და იმის გამო, რომ ერის მამა ქვეყნის სიძლიერეს ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის, წარმოების განვითარებაში ხედავდა (ადლი, გუთანი, ჩარხი).

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ილია ჭავჭავაძე ბიძინა ივანიშვილის საქმიანობას დადებითად შეაფასებდა და სხვებსაც მოუწოდებდა მისთვის მიებაძათ.

ქართველი სოციალ-დემოკრატები ხომ ებრძოდნენ ილიას და ფიზიკურად მოჰკლეს, მაგრამ დღეს რა ღმერთი უწყრებათ ამ ჩვენ ლიბერალ-დემოკრატ რესპუბლიკელებს ილია ჭავჭავაძეზე მწყრალად რომ არიან და არც აკაკი მოსწონთ?

რესპუბლიკელ დავით ზურაბიშვილს ქართველი ერის ფსიქიკის სიჯანსაღეში ეჭვი ეპარება, უფრო მართებული იქნება, ვთქვა, დიაგნოზი დასვა. ქართველ ერს **"ფეოდალისტური" ანუ "მონური" ცნობიერება აქვსო. უმჯობესია წავიკითხოთ მისი ნაცოდვილარი: "თანამედროვე ქართველი კვლავ ფეოდალისტური ფსიქიკის ტყვეობაში რჩება. ეროვნული დამოუკიდებლობის იდეაც ქართველი ერის ფეოდალისტური ფსიქიკის ფესვებიდანაა ამოზრდილი, რომელიც თავისი არსით ფუნდამენტალისტური ცნობიერებაა, ხოლო დღეისათვის ყოველგვარი ფუნდამენტალიზმი გამარტივებული სქემატური აზროვნების სათავეა. ასეთი ფუნდამენტალიზმი განსაზღვრავს ეროვნული მოძრაობის სახესაც"** (ამონარიდი გ. ყიფიანის წიგნიდან **"ეროვნული ხასიათი და განვითარება",** თბ. 2002 წელი, გვ. 80-81).

ამ მობჟუტურე ოპოზიციონერის ლოგიკიდან გამომდინარე **"ვეფხისტყაოსანი" "ფეოდალისტური"** ცნობიერების ნაყოფია, და არა მხოლოდ **"ვეფხისტყაოსანი",** არამედ მთლიანად ქართული ქრისტიანული კულტურა, საქართველოს ისტორია.

აგვისხსნას ბატონმა დ. ზურაბიშვილმა, **"მონური ცნობნიერების"** ქართველი ერი თავისი არსებობის მანძილზე თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დღემდე ზღვა სისხლს როგორღა ღვრიდა?

დარწმუნებული ვარ იტყვის: **"მწარედ შევცდი მოვლენების შეფასებაში!"**

2006 წელს ხელისუფლების მიერ 12 უდანაშაულო ადამიანის დაპატიმრებას ოპოზიციონერი ზურაბიშვილი მხურვალედ მიესალმა, სახელმწიფო ღალატში ბრალს დებდა, რუსეთის აგენტებს ეძახდა. დღეს კი თავს იმართლებს, **"ვაღიარებ, რომ შეცდომა დავუშვი, როცა დამნაშავეებად მიგიჩნიეთ"** (გაზ. **"ასავალ-დასავალი",** №43, 24-30 ოქტომბერი, 2011 წელი. ზაზა დავითაიას საუბარი დ. ზურაბიშვილთან).

მე არ მიკვირს, რომ ეს ცინიკოსი ვაჟბატონი ეროვნული დამოუკიდებლობის იდეას 90-იანი წლებიდან ებრძვის.

როგორც ჩანს, ბატონი ბიძინა ივანიშვილი ცუდად არის ინფორმირებული რესპუბლიკელთა საგმირო საქმეებში.

ბატონმა ბიძინამ თანამებრძოლები უნდა მონახოს დამხობილი ეროვნული ხელისუფლების მომხრეთა წიაღში, რომლებიც, ღვთის მადლით, ზომბირებულები არ არიან (თითო-ოროლა მედროვის გარდა) და ქართველ მილიარდერს უყურებენ არა როგორც პირადი კეთილდღეობის უშრეტ წყაროს, არამედ იმ ძალას, რომელსაც შეუძლია სამშობლო გადაარჩინოს!

დიდი ილია წერდა: **"რამდენი მაგალითია, რომ უცხო-ქვეყნელი, ვინ იცის საიდამ მოსული და ჩვენში შემოხიზნული, არამც თუ ლუკმა-პურსა ჰშოულობს, მდიდრდება, კეთდება ჩვენს შორის და ჩვენ-კი, ჩვენს საკუთარ სახლსა და ქვეყანაში, საკუთარი მამა-პაპის ბინაზედ, გვენატრება სარჩო და საგზალი ცხოვრებისა. ჩვენ მუდამ იმასა ვჩივით და ვტირით, რომ ღარიბნი ვართ, ლუკმა-პურის ილაჯს ვერ გამხდარვართ, და ის-კი აღარ გვახსოვს, ის-კი აღარ გვაგონდება — სად და რაშია სათავე და მიზეზი ჩვენის სიღარიბისა".**

მეცხრამეტე საუკუნეში ნათქვამი ეს სიტყვები, დღეს, XXI საუკუნეში შემზარავი ობიექტურობით ჩვენს თვალწინ დგას: უცხოქვეყნელნი, ვის იცის საიდან მოსული, ინდო, არაბი, ჩინელი, მულღაზანზარელი, ოსმალო თუ ვენეციელი ჩვენთან მდიდრდება და კეთდება, ჩვენ კი ლუკმა-პურის ილაჯს უცხო ქვეყანაში მოჯამაგირეობითა და მეძავობით ვშოულობთ.

უპირატესობა მეცხრამეტე საუკუნის ქართველისა ის არის, რომ პატიოსანი შრომით აქვე, ფოთში ორიოდე კაპიკს (გამრჯე, გერგილიანი — დიდ ფულსაც) იშოვიდა. უცხო ქვეყანაში გადახვეწა არ დასჭირდებოდა.

ჩვენი ხელისუფლება კი იმით ამაყობს თუ ფოთის პორტს არაბი იყიდის, მიწა-წყალს — ჩინელი, ტყეს — ინდოელი... სოფლის მეურნეობას კი აფრიკელი ბუშმენები და ბურები ააყვავებენ!

ძვირფასო მკითხველო! ჩემს და თქვენს ემოციებს ყველაზე უკეთ ბატონ ელიზბარ ჯაველიძის სიტყვები გამოხატავს: **"ავაჰმე, ჩემო მამულო, ვის ხელთაა შენი ბედი?!"**

ჩემს ბროშურაში (**"ისტორია პირუთვნელის ხელში",** თბ. 2006 წ.) ვწერდი, რომ ეროვნული ხელისუფლების დამხობის და შევარდნაძის რეჟიმის გამარჯვების ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ საქართველოში არ არსებობდა ეროვნული ბურჟუაზია. ხალხის მიერ არჩეულმა კანონიერმა ხელისუფლებამ ვერ შესძლო ძალაუფლების შენარჩუნება იმის გამო, რომ მხარში ეროვნული ბურჟუაზია არ ედგა, რომელიც ყოველნაირად უზრუნველყოფდა ეროვნული დამოუკიდებლობის იდეის გამარჯვებას (მკითხველს ნუ შეაკრთობს სიტყვა ბურჟუაზია. დღეს იგი ბიზნესმენებია).

ანექსირებულ, კოლონიურ და ნახევრადკოლონიურ ქვეყნებში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა იმარჯვებდა იქ, სადაც ამ მოძრაობას მხარს უჭერდა ეროვნული ბურჟუაზია, ანუ ეროვნული ბიზნესმენები.

იაპონელთა ცხოვრების წესის, მათი სულიერი მოთხოვნილებებისა და ტრადიციების მკვლევარები ვ. პრონიკოვი და ი. ლადანოვი აანალიზებენ რა ფეოდალურ იაპონიაში კაპიტალიზმის განვითარების შედეგებს, აღნიშნავენ იმას, რომ ახალმა საზოგადოებრივმა ფორმაციამ ვერ მოსპო ეროვნული ტრადიციები, ვერ შეცვალა იაპონელთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ცხოვრების წესი და ეთნოფსიქოლოგია. ყოველივე ამაში კი უდიდესი დამსახურება ფეოდალიზმის პირმშოს — სამურაის მიუძღვის. **"როდესაც იაპონიაში XIX საუკუნემ დააკაკუნა ტექნიკური პროგრესით, სამურაები სათავეში ჩაუდგნენ სავაჭრო-სამრეწველო საწარმოებს, გახდნენ პოლიტიკოსები... სამურაები შეპყრობილნი ივნენ ეროვნული პატივმოყვარეობით, მუდამ ისწრაფვოდნენ — იაპონია ყველაზე წინ დაეყენებინათ"** (ვ. პრონიკოვი, ი. ლადანოვი, **"იაპონელები",** თბილისი, 1991 წელი, გვ. 127).

იაპონიაში (არც სხვაგან) არავის მოსვლია აზრად სამურაებისათვის **"ფეოდალისტური ცნობიერება", "მონური ცნობიერება"** დაებრალებინათ, ანდა მათი მისწრაფებისათვის — იაპონია ძლიერი და პირველი ყოფილიყო, **"პროვინციული ფაშიზმი"** ეწოდებინათ!

მხოლოდ ჩვენთან, საქართველოში უწოდებენ ეროვნულ-განმანთავისუფლებელ **"ფეოდალისტური ფსიქიკის ფესვებიდან ამოზრდილს", "მონური ცნობიერების ნაყოფს"!** მხოლოდ ჩვენთან, საქართველოში უწოდებენ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას **"პროვინციულ ფაშიზმს"!**

დღესაც ეს ჭკუანაღრძობი პოლიტიკოსები ყელყელაობენ!

**ავაჰმე, ჩემო მამულო, ვის ხელთაა შენი ბედი?!**

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც სამურაები მასობრივად ჩაებნენ კაპიტალიზმის ფერხულში და ჩამოყალიბდნენ როგორც ეროვნული ბურჟუაზიის კლასი, საქართველოში გამოჩნდნენ ნიჭიერი მეწარმეები, რომლებმაც არაქართველ (ძირითადად სომეხ) ბურჟუაზიასთან მძაფრი კონკურენციის პირობებში შესძლეს თვალსაჩინო წარმატებების მოპოვება. საუბედუროდ, ამ პროცესს ბოლო მოუღო ბოლშევიკთა გამარჯვებამ.

**"იყო დრო, როცა ქალაქ ფოთის ნავსადგურში პირველად იწივლა ცეცხლის გემმა, და მისმა წივილმა პირველად განუფრთხო ძილი მტრისგან მოუძლურებულ საქართველოს ერს. ეს იყო ახალი დროის მამლის ყივილი...". მაშინ მეგრელისათვის რომ გეკითხა: "სო მეურქო", გეტყოდა — "ფოთიშა მეურქ, პატონი, ეგება ჟირიოდე ფარა ივშუა".** (გიორგი წერეთელი, **"პირველი ნაბიჯი"**).

დიახ, მაშინდელი ქართველი **"ჟირიოდე ფარისათვის"** უცხო ქვეყნებში არ იკარგებოდა!

დროის მამალმა კვლავ იყივლა და ხელისუფლება-ოპოზიციას დიდმა შიშმა ადექვატური რეაგირების უნარი დააკარგვინა.

ჰქონდათ კი საერთოდ იგი?

ეშინიათ ბიძინა ივანიშვილის იმიტომ, რომ კარგად იციან თუ რა დიდი ძალა აქვს მილიარდებს, რომელიც მოხმარდება თავისუფალი ბიზნესის განვითარებას, ეროვნული ბიზნესის განვითარებას, ქვეყნის გამთლიანებას, სოფლის მეურნეობის აღორძინებას, სახელმწიფო ინტერესების დაცვას და არა პოლიტიკოსებად წოდებული ვიგინდარების გასტრონომიული მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

ეშინიათ ბიძინა ივანიშვილის იმიტომ, რომ თავისი ქველმოქმედებით იგი აგრძელებს ერის სასიქადულო შვილების, საქართველოში ეროვნული ბიზნესის პიონერების ნიკოლაძის, სარაჯიშვილის, ლაღიძის ტრადიციებს.

**თენგიზ კუბლაშვილი**



# მაშ ასე, მუამარ კადაფი მოკლულია!

მკვდარია სატრაპი, რომელიც კისრამდე საკუთარი უდანაშაულო ხალხის სისხლში იყო გასვრილი! მასვე ბრალდებოდა ტერორისტული აქტი, რომლის შედეგად შოტლანდიის დასახლება ლოკერბისთან ჩამოვარდა თვითმფრინავი, რომლითაც სირაკუზის უნივერსიტეტის სტუდენტებიც მგზავრობდნენ. სხვა უამრავ უბედურებასაც აბრალებდნენ...

როგორც ამ შემთხვევაში ამბობენ: **"სამართალმა პური ჭამა!"** და სატრაპმა თავისი 42-წლიანი სისხლიან-ცრემლიანი დიქტატურა ტყვიით შუბლში დაასრულა!

ისე კი, სიმართლეს თუ ვიტყვით, მთელი მსოფლიო რომ არ წამოსეოდა იმ, ჩვენთვის **"სანუკვარ"** ოცნებად ქცეულ **"ნატო"**-ს ჯარების სახით, ნაღდად ფეხებს ვერ მოსჭამდნენ კადაფის. მართლაც ძალიან დიდია დიქტატურის ძალა, განსაკუთრებით ბნელ ხალხში, მაგრამ ქართველებიც თუ ასეთი ბნელები აღმოვჩნდებოდით, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, რადგან სწორედ ჩვენ ვუკაფავთ გზას დიქტატურისკენ **"ნაციონალთა" "ნეტარდიმილიან"** ბელადს და მის დანაშაულებრივ გარემოცვას. თუმცა, მოდით კვლავ **"წესაგებულ"** კადაფს დავუბრუნდეთ.

ნურც უგო ჩავესობას დამაბრალებს ნურავინ და ნურც **"დიქტატურისადმი ტრფიალს",** მაგრამ, გულახდილი თუ ვიქნები, ერთმა რამემ მაინც დამწყვიტა გული. მართლაც უშიშარი ვაჟკაცი ყოფილა მუამარ კადაფი, რომელმაც ლიბიაში სახალხო აჯანყების დაწყებისას დაიფიცა: **"მე ჩემს სამშობლოდან არსად წავალ და, თუ სიკვდილი მიწერია, სჯობს აქ მოვკვდეო!"**

მოკვდა კიდეც, მაგრამ იარაღით ხელში, ვაჟკაცურად დაეცა მომხვდურებთან უთანასწორო ბრძოლაში, განსაკუთრებული სისასტიკით რომ მოუღეს ბოლო დაჭრილ ადამიანს, რაც უმაგალითო ბარბაროსობად იყო აღიარებული შუა საუკუნეებშიც კი!

მოკვდა, მაგრამ ნაბიჯით არ დაუხევია უკან და არც **"ნატო"**-ს თვითმფრინავებიდან გადმოყრილი **„დემოკრატიული"** ბომბების შიშით უხვნია ცხვირით მიწა!

ოდითგან ყველა ვაჟკაცის ოცნება იყო ამგვარად სიკვდილი!

ვაჟკაცი ადამიანის, თუნდაც მტრის გმირული აღსასრული რომ სამწუხარო და სამაგალითოა, ეს დიდ ვაჟაზე კარგად არავინ იცოდა!

საბედნიერო, ჩვენ ვაჟას ჩამომავლები ვართ!..

ჩვენ, და არა ისინი, რომლებმაც 2008 წლის აგვისტოში, თბილისიდან ჯერ კიდევ შორს მდგარი რუსული ტანკების შიშით **"წითელი ხიდისაკენ"** მოცოცხეს ავკაცობით ნაშოვნი თანხებით და თან დაგვიბარეს: **"აიღეთ ტაშტები, ქვაბები, ჯოხები და მტერი მოიგერიეთო!"**

არც მუამარ კადაფს დაუბარებია მსგავსი რამ. თურმე ვაჟკაცი იყო და ვაჟკაცურად დაიღუპა. სათანადო პატივი მივაგოთ თუნდაც ჩვენი მტრის ამგვარ აღსასრულს!

თუმცა, როგორ შეიძლება, იმათზე მეტ მტრად მივიჩნიოთ ჩვენგან ძალზე შორს მყოფი ლიბიელი დიქტატორი, როცა საკუთარი გონებაშეზღუდული მმართველები გვიმზადებენ დიქტატორულ ქვეყანაში ცხოვრების მრუმე პერსპექტივას. თუ, რა თქმა უნდა, ყველანი ერთად წინ არ აღვუდგებით ამ უმსგავსოებას!

ისიც ნათელია, თუ როგორი **„დემოკრატიული"** ძალები მოვიდნენ ახლა ლიბიაში!

რაც შეეხება მუამარ კადაფის, მისი მწარე მაგალითი იმ ჯერ კიდევ ცოცხალმა დიქტატორებმა და სატრაპებმაც უნდა გაითვალისწინონ, საკუთარი ხალხის დანდობა რომ არა აქვთ და თავხედურად გვიმტკიცებენ საკუთარ განუმეორებლობას!

**როლანდ ჯალაღანია,**
**"ფაზისის" აკადემიის ნამდვილი წევრი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



სერგეი კრემლიოვი

# ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

ამ მცნების ქვეშ გაერთიანდა რამდენიმე სასამართლო პროცესი, რომელიც მოეწყო 1950 წელს – ლენინგრადის საოლქო კომიტეტის ყოფილი პირველი მდივნის და სკკპ ცეკას მდივან ა.ა. კუზნეცოვის საქმე, სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა და სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის ნ.ა. ვოზნესენსკის საქმე, ლენინგრადის საოლქო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარისა და საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის პ.ს. პოპკოვის საქმე, რსფსრ მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის მ.ი. როდიონოვის საქმე და სხვა საქმეები. სულ, ამ საქმეთა **"ორბიტაზე"** მოხვდა ქალაქ ლენინგრადისა და მისი ოლქის ათასხუთასამდე პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკი.

**"დემოკრატიული"** წყაროები ორი ათასამდე **"ზერავენ"** ამ ციფრს, მაგრამ სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრის კრუგლოვის მიერ ნიკიტა ხრუშჩოვისადმი წარდგენილ ვრცელ მოხსენებით ბარათში ჩაწერილია შემდეგი ციფრები: 23 ადამიანს სამხედრო კოლეგიამ მიუსაჯა დახვრეტა, 85 ადამიანს მიესაჯა 5-დან 25 წლამდე პატიმრობა, 105 ადამიანი გადაასახლეს 5-8 წლის ვადით. საერთო სიიდან 36 ადამიანი მუშაობდა ლენინგრადის ქალაქკომსა და საოლქო კომიტეტში, ასევე ქალაქის საბჭოსა და საოლქო საბჭოში, 11 ადამიანი მუშაობდა სხვადასხვა საოლქო კომიტეტებსა და საოლქო საბჭოებში, 9 ადამიანი კი მუშაობდა ლენინგრადის ოლქის რაიკომებსა და რაიაღმასკომებში.

**"რეპრესიათა"** მეტი წილი კი შემოიფარგლა დამნაშავეთა სამსახურიდან განთავისუფლებით.

ბერიას ამ საქმეებთან არავითარი კავშირი არ გააჩნდა, რადგან მას არ შეეძლო მითითებები მიეცა აბაკუმოვის უწყებისათვის, თუმცა ხრუშჩოვმა სრულიად უსაფუძვლოდ დასდო ბრალი ბერიას, კომპარტიის მეოცე ყრილობაზე, **"ლენინგრადის საქმის"** ორგანიზებაში. მაგრამ 1956 წელს ნებისმიერ მსურველს შეეძლო დაედანაშაულებინა ლავრენტი ბერია ყველა ამქვეყნიურ სასიკვდილო შეცოდებაში, რასაც ნიკიტა ხრუშჩოვი **"წარმატებით"** აკეთებდა კიდეც.

მით უმეტეს, არ შემიძლია, რამდენიმე სიტყვა არ ვთქვა **"ლენინგრადის საქმეზე"**... კუზნეცოვს, ვოზნესენსკის, პოპკოვს და როდიონოვს, სხვა დანაშაულთან ერთად, დაბრალდათ საბჭოთა კავშირისაგან რუსეთის გამოყოფის სურვილი, და ამ ახალი სახელმწიფოს დედაქალაქი ლენინგრადი გახდებოდა. არ შევუდგები ამ მოვლენათა დაწვრილებით ანალიზს, მაგრამ ჩემს მიერ ჩატარებული კვლევა მაძლევს იმის განცხადების უფლებას, რომ **"ლენინგრადის საქმის"** მონაწილე პირებმა აშკარად უღალატეს სტალინს და სტალინის საქმეს, ესე იგი – საბჭოთა ხელისუფლებას, ესე იგი – საბჭოთა კავშირს.

უღალატეს მათაც, ვინც სტალინის პარტიიდან თანდათან გადავიდა პარტოკრატთა პარტიაში. უბრალოდ არ მომხდარა ის ამბავი, რომ სტალინის სიკვდილის შემდგომ შედგენილ პირველ სარეაბილიტაციო სიაში არცერთი **"ლენინგრადელი"** არ მოხვედრილა. მათი **"რეაბილიტაციის"** საკითხი მხოლოდ მაშინ იქნა დაყენებული, როცა ხრუშჩოვი და ხრუშჩოველები უკვე მყარად იდგნენ ფეხზე.

1905 წელს დაბადებული კუზნეცოვის მოქალაქეობრივი ფორმირება მოხდა საბჭოთა პერიოდში და 19 წლის ყმაწვილი მედგრად შეუყვა კომკავშირულ-პარტიული აპარატის იერარქიის საფეხურებს. თუ ვინმე იყო გამორჩეული **"აპარატის ჭია"**, ეს სწორედ კუზნეცოვი გახლდათ. მალენკოვმა თუმცა ძლივს დაამთავრა მოსკოვის ტექნიკური სასწავლებელი, სამოქალაქო ომის დროს იყო ესკადრონის, შემდეგ კი პოლკის კომისარი... ჟდანოვმა იმსახურა ძველ არმიაში, იბრძოდა სამოქალაქო ომში, იყო სამაზრო საბჭოს მიწათმოქმედების კომისარი, საოლქო გაზეთის რედაქტორი. კუზნეცოვი კი, როგორც გახდა 1924 წელს ორეხოვოს კომკავშირის რაიკომის მდივანი, ასე **"მდივნობდა"** დაპატიმრების დღემდე, როცა იგი სკკპ ცეკას მდივნის კაბინეტიდან გამოიყვანეს ხელბორკილდადებული.

მას, ისევე, როგორც ნიკოლოზ ვოზნესენსკის, გვისახავენ **"გვიანდელი სტალინური რეპრესიების"** ყველაზე დიდ და ყველაზე უსამართლო მსხვერპლად, მაგრამ მათ საკმაოდ ბნელი ნატურა გააჩნდათ და გადამეტებულად დიდი წარმოდგენა ჰქონდათ საკუთარ თავზე. ფსიქოლოგიურად, მე, მათ გენერალ გორდოვს შევადარებდი – ისინიც დარწმუნებული იყვნენ, რომ სტალინზე უკეთესად შესძლებდნენ ყველაფრის გაკეთებას. და ფიქრობდნენ არა იმაზე, თუ როგორ სამსახურს გაუწევდნენ ისინი სამშობლოს სტალინის შემდეგ, არამედ თუ როგორ უნდა ემართათ იგი. კი არ მოემსახურებოდნენ სამშობლოს ინტერესებს, არამედ ხელს მოკიდებდნენ მართვას და ამით დაიკმაყოფილებდნენ საკუთარ ამბიციებს.

არ შევუდგები რა **"ლენინგრადის საქმის"** დაწვრილებით განხილვას, მე მხოლოდ წარმოგიდგენთ რამდენიმე, ჩემი აზრით, საინტერესო წვრილმანს. და გავაკეთებ ამას იმიტომ, რომ სწორედ ლავრენტი ბერიას მიაწერენ სტალინის სიკვდილის შემდეგ **"ექიმების საქმისა"** და **"ლენინგრადის საქმის"** გადახედვას, რაშიც მე საფუძვლიანი ეჭვი მეპარება.

მაშ ასე, შეპირებული წვრილმანები...

1946 წელს, სკკპ ცეკას კომისიამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ალექსეი კუზნეცოვი, განიხილა სსრკ უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელობა და ლამის სასაცილო ბრალი დასდო მინისტრ მერკულოვს იმაში, რომ თითქოს დიდი სამამულო ომის წლებში მან შეასუსტა ტროცკისტებთან ბრძოლა. მერკულოვი გაანთავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან, თუმცა, იგი ბევრად უფრო იყო მორგებული ამ თანამდებობას, ვიდრე მისი შემცვლელი აბაკუმოვი.

შემდეგ... პროფესორი ეგოროვი 1947 წლის გაზაფხულამდე იყო **ლენინგრადის** სამხედრო ოლქის მთავარი თერაპევტი, ხოლო კრემლის სამკურნალო-სანატორიული სამმართველოს უფროსად დაინიშნა ალექსეი კუზნეცოვის რეკომენდაციით.

და, აი, კიდევ... 1946 წლის 7 ოქტომბერს ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგემ მ.ი. შჩერბაკოვმა (ა.ს. შჩერბაკოვის მოგვარე) სკკპ ცეკას მდივანს ალექსეი კუზნეცოვს გაუგზავნა ვრცელი ბარათი **"ნაციონალისტური და რელიგიურ-მისტიკური ტენდენციების შესახებ მაღალი წრეების ებრაულ ლიტერატურაში"**. კუზნეცოვს ამ ბარათზე რეაგირება არ მოუხდენია.

მე არ გადავღლი მკითხველს სტატისტიკური ციფრების გამომზიურებით, ებრაელთა ხვედრითი წონის თაობაზე, ომისშემდგომი პერიოდის ცხოვრებაში – მსურველებს ვურჩევ გაეცნონ რუსეთის ებრაელთა კონგრესის სახსრებით გამოცემულ გ. კოსტრიჩენკოს წიგნს **"სტალინის პოლიტიკის საიდუმლოება"**. ეს ნაშრომი შეიქმნა **"ტირანის სტალინისა"** და **"სხვა ანტისემიტთა"** ბნელი საქმეების გამოსააშკარავებლად, მაგრამ წიგნი გადავსებულია ისეთი ციფრებით, რომელიც ააშკარავებს თვით ამ **"გამომააშკარავებლებს"**. ვიტყვი მხოლოდ ერთს: როგორც ა.ს. შჩერბაკოვი, ასევე ი.მ. შჩერბაკოვი სავსებით სამართლიანად იჩენდნენ სიფრთხილეს და გამოსთქვამდნენ შიშს. და რამდენიმე თვის შემდეგ ი.მ. შჩერბაკოვი კვლავ მიმართავს ალექსეი კუზნეცოვს, რათა საკითხი გატანილი იქნეს ცეკას სამდივნოზე (ესე იგი, სტალინის მიერ განსახილველად).

და კუზნეცოვი კვლავ არ ჩქარობს.

დრო კი მიდის.

1947 წელს, ამერიკელებისადმი საბჭოთა ატომური სამუშაოთა პროექტის გადაცემის ეჭვის საფუძველზე აპატიმრებენ უცხოეთის ლიტერატურის გამომცემლობის შემქნელსა და დირექტორს ბ.ლ. სუჩკოვს. 1955 წელს სუჩკოვი გაანთავისუფლეს, მაგრამ მე ვთვლი, რომ იგი მთლად უსაფუძვლოდ არ დაუპატიმრებიათ. სუჩკოვი კარგად იცნობდა საბჭოთა ფიზიკოსებს, კერძოდ, მ. ლეონტიევს, რომელსაც შეეძლო რაღაც მართლაც წამოეროშა სუჩკოვთან, მას კი, თავისი ინტელიგენტური ენაშეუკავებლობის მიზეზით, ნამდვილად შეეძლო რაღაცრაღაცეების **"დაფქვა"** ამერიკელებისათვის.

ვიღაც, თითქოსდა სტალინის ქორწინების გარეშე შვილის (ალბათ, ასევე, ლეიტენანტ შმიდტის შვილი) კ.ს. კუზაკოვი 1995 წლის სექტემბრის №39 **"არგუმენტსა და ფაქტებში"** ამტკიცებდა, რომ სუჩკოვის დაპატიმრების ნამდვილი მიზეზი გახლდათ ჟდანოვსა და ბერიას შორის გაჩაღებული **"ფარული ომი"**, მაგრამ, ბერიას მეტი საქმე არაფერი ჰქონდა, რომ სუჩკოვის წინააღმდეგ ინტრიგები ეხლართა. მაგრამ სუჩკოვის დაპატიმრება, რომელსაც პროტექტირებას ჟდანოვი უწევდა, იმითაც არის საინტერესო. რომ ალექსეი კუზნეცოვის გააქტიურება გამოიწვია. 1947 წლის 23 სექტემბერს პოლიტბიურომ მიიღო დადგენილება ცეკაში **"ღირსების სასამართლოს"** შექმნის თაობაზე, 23-24 სექტემბერს კი, ალექსეი კუზნეცოვის ინიციატივით, ამ სასამართლოს წინაშე წარდგნენ ცეკას აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების უფროსის მოადგილე კ.ს. კუზაკოვი... ცეკას კადრების განყოფილების და ბეჭდვითი სიტყვის სამმართველოს უფროსი მ.ი. შჩერბაკოვი... მათ გამოეცხადათ **"საზოგადოებრივი საყვედური"** და გაირიცხნენ პარტიის რიგებიდან. ეს იყო დარტყმა, რომელიც ჟდანოვსაც მიადგა და მალენკოვსაც. ეს იყო დარტყმა გვერდიდან – ალექსეი კუზნეცოვის მხრიდან.

დიახ, 40-იანი წლების დასასრულს სსრკ უმაღლეს ხელმძღვანელობაში იწყებოდა ინტრიგების ხლართვა, მაგრამ არა ბერიას მონაწილეობით. მაშინ, როცა ბერია კისრამდე იყო ჩაფლული ატომურ, სარაკეტო და საერთო-ეკონომიკურ პრობლემებში, უმაღლეს ხელმძღვანელობაში მართლაც იწყებდა ჩამოყალიბებას სააპარატო ინტრიგა, რომლის ფორმალურად პირველი ფიგურები იყვნენ სწორედ აპარატის მუშაკები ჟდანოვი, მალენკოვი და კუზნეცოვი, ასევე **"მეურნე"** ვოზნესენსკი. ინტრიგების ფაქტიურ მამოძრავებელ ძალას კი წარმოადგენდნენ აპარატის სხვადასხვა ფენები, ასევე საბჭოთა ებრაელური ელიტის ის ნაწილი, რომელთაც აშკარად აძლევდათ ხელს არაფრის მაქნისი პატროკრატიული აპარატის ზრდა და გაძლიერება.

ახლა კი, ზოგადი განხილვიდან, მე მოგითხრობთ სსრკ საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ვოზნესენსკისთან დაკავშირებულ ერთ უცნაურ ფაქტს, რომელიც ადრე დავპირდი მკითხველს.

წინასწარ, მცირე რამ ქრონოლოგიიდან...

1949 წლის 1 მარტს, სსრკ მინისტრთა საბჭოს ბიურომ ბერიას, მალენკოვის, ვოზნესენსკის (ნებით თუ ძალით მან ხელი მოაწერა ამ ფოკუმენტს), მიქოიანის, კაგანოვიჩის, საბუროვის, ბულგანინის, ვოროშილოვის, კოსიგინისა და მალიშევის ხელმოწერით სტალინს გაუგზავნა მოხსენება სსრკ მთავარმომარაგების სამმართველოს მოხსენებითი ბარათის განხილვის შედეგების ანალიზით, რომელიც ეხებოდა 1949 წლის პირველი კვარტლის გეგმის შესრულებას სამრეწველო პროდუქციის წარმოების ხაზით. ბარათის ავტორი გახლდათ მ.ტ. პომაზნიოვი (მაშინ სსრკ მთავარმომარაგების სამმართველოს უფროსის კაგანოვიჩის მოადგილე). პომაზნიოვის ბარათშიც და ბიუროს მიერ მომზადებულ მასალებში აშკარად გამოსჭვივოდა დედააზრი – სსრკ საგეგმო კომისია, რბილად რომ ვთქვათ, მუშაობდა სუსტად და არაკომპეტენტურად.

ამის შედეგად, 1949 წლის 5 მარტს პოლიტბიურომ მიიღო დადგენილება სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილების **"სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის შესახებ"**, რომლის მთავარ საკადრო მომენტს წარმოადგენდა ვოზნესენსკის განთავისუფლება სსრკ საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან და მის ადგილზე საბუროვის დანიშვნა.

7 მარტს პოლიტბიურომ **"დააკმაყოფილა"** ვოზნესენსკის თხოვნა მისთვის ერთთვიანი შვებულების მიცემის თაობაზე, რათა ბარვიხაში ემკურნალა. მაგრამ, **"შვებულება"** დიდი ხნით გაგრძელდა... 4 ივლისს ცენტრალური კომიტეტის მდივანი სუსლოვი ჟურნალ **"ბოლშევიკში"** (ცეკას მთავარი თეორიული ორგანო) გამოქვეყნებული წერილის მესამედს უძღვნის მათ კრიტიკას, ვინც გადაამეტა ვოზნესენსკის წიგნ **"სსრკ სამხედრო ეკონომიკა დიდი სამამულო ომის დროს"** ქება-დიდებაში 17 აგვისტოს კი ვოზნესენსკი წერილობითი თხოვნით მიმართავს სტალინს – მისცეს მას ნებისმიერი სამუშაო, რადგან **"ძნელია იყო გვერდზე გამდგარი პარტიასა და ამხანაგებისაგან..."**.

მაგრამ 1949 წლის 22 აგვისტოს ცენტრალური კომიტეტის რწმუნებული კადრების ხაზით, სსრკ საგეგმო კომისიაში, ე.ე. ანდრეევი წერილს უგზავნის ცეკას მდივან პონომარენკოს. სწორედ აქ მთავრდება ქრონოლოგია და იწყება ის ფანტასტიკური დოკუმენტური მტკიცებულება, რომელსაც მთელი ეს საქმე გადაჰყავს კრიმინალურ ჭრილში.

ანდრეევი მოახსენებს:

**"სსრკ საგეგმო კომიტეტში თავმოყრილია საბუთების დიდი რაოდენობა, რომელიც მოიცავენ სახელმწიფო მნიშვნელობის საიდუმლო და მკაცრად საიდუმლო მონაცემებს, მაგრამ ამ საბუთების შენახვა ხდება არადამაკმაყოფილებლად...**

**საბუთებისადმი ამგვარმა არასერიოზულმა დამოკიდებულებამ გამოიწვია ის, რომ 1944 წელს საგეგმო კომიტეტში დაიკარგა 35 საიდუმლო და მკაცრად საიდუმლო დოკუმენტი, 1945 წელს – 76 საბუთი, 1946 წელს – 61 საბუთი, 1947 წელს – 23 საბუთი, 1948 წელს კი 21 დოკუმენტი. სულ ხუთი წლის განმავლობაში დაიკარგა 236 საიდუმლო საბუთი..."** და ა.შ. წერილი შვიდ გვერდს მოიცავდა.

მე მოვიყვან ვოზნესენსკის უწყებაში **"დაკარგულ"** სულ რამდენიმე დოკუმენტს, რომელიც მოხსენიებული აქვს ანდრეევს:

1945 წელს, სახალხო მეურნეობის აღდგენის გეგმა, 209 გვერდზე;

აშშ-ში ნაღდ ფულზე შესაძენი მოწყობილობების ნუსხა, რომელიც არ ჩამოუტვირთავთ ამერიკელებს, 15 გვერდზე;

რადიოსალოკაციო სადგურების წარმოების ორგანიზაცია, 6 გვერდზე;

ავიაციის სამინსტროს მოთხოვნა დონეცკის, კუზნეცკის და ჩელიაბინსკის ქვანახშირზე, 1947 წელს, ხარისხის მიხედვით, 1 გვერდზე და ა.შ.

და სად წავიდა ეს **"დაკარგული"** დოკუმენტები, საგეგმო კომიტეტში ვერავინ ახსნა. მართლაც საოცარი ფაქტია ყველა იმ ადამიანისათვის, ვინც ყურმოკვრით მაინც იცის, თუ როგორი სიფრთხილით უნდა მოეპყრონ ნებისმიერ დოკუმენტს სახელმწიფო უწყებაში...

მაგრამ – ფაქტია!

და ეს მონაცემები აბსოლუტურად სწორია, რადგან აღებულია დოკუმენტების კრებულიდან **"სსრკ პოლიტბიურო და მინისტრთა საბჭო. 1945-1953 წლები"**, რომელიც 2002 წელს გამოიცა ათასხუთასიანი ტირაჟით, სერიით **"საბჭოთა ისტორიის დოკუმენტები"**. ეს რომ სრული ჭეშმარიტება არ იყოს, არა მგონია, რომელიმე გამომცემელს გამოემზიურებინა ის საბუთები, რომელიც კიდევ ერთხელ დაადასტურებდა **"ტირან"** სტალინის მიერ რეპრესირებული ადამიანების დანაშაულს!

ვოზნესენსკის სიტყვახვავიანი აღიარება და თავის მართლება, რომელიც მან წერილობით გაუგზავნა სტალინს 1949 წლის 1 სექტემბერს, საცოდავ ადამიანად უფრო წარმოგვიდგენს ვოზნესენსკის, ვიდრე გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწედ.

ვუბრუნდები რა ქრონოლოგიას, გაცნობებთ, რომ 1949 წლის 11 სექტემბერს პოლიტბიურომ დაამტკიცა სკკპ (ბ)-სთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის წარდგინება **"სსრკ საგეგმო კომიტეტში საიდუმლო დოკუმენტების დაკარგვის შესახებ"**.

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უფლის რჩეული



მას ომი არ უნახავს. არც მშობლიური ქალაქი – სოხუმი.

ოცნებებში, მხოლოდ კეთილი მეზღაპრე ამოგზაურებდა **"იმ დალოცვილ მხარეში"**.

ნუგზარ მილორავა 1994 წლის 23 თებერვალს სვანეთში, სოფელ ჭუბერში დაიბადა. ომში უგზო-უკვლოდ დაკარგული ბიძის სახელი დაარქვეს მშობლებმა: **"მინდა, რომ ღირსეული ადამიანის სახელი ღირსეულად ვატარო"** – დაწერს მე-6 კლასელი ნუგზარი, დაწერს განა მარტო ამ ფრაზას... სამყაროს შეცნობას ადრეული ასაკიდან დაიწყებს, სიკეთისა და ბოროტების ჭიდილი ადრევე დააფიქრებს: **"სიკეთე ღვთისგან მოდის და ადამიანებში სახლდება, შემოივლის მთელ დედამიწას და მადლით სავსე კვლავ უბრუნდება უფალს"** ("მაინც **რა არის სიკეთე?"**).

ქართულ ენას ღვთის საჩუქრად და უფალთან სასაუბრო ენად შეიცნობს: **"ღვთივკურთხეულ ქართულ ენას ლაზარეს ეძახიან. იოანე ზოსიმეს გაგებით: ქართული ენა ლაზარეა, ყველა ენათა შორის პირველია, მთავარი ენაა, ისე, როგორც ლაზარე-იოანე იყო პირველი მოციქული ქრისტესი"** (**"ვინც მშობლიურ ენას დაივიწყებს"**).

წიგნი **"სიკეთის საგალობელი"**, სამწუხაროდ, მისი ავტორის ამქვეყნად არყოფნის შემდეგ უნდა გაიცნოს მკითხველმა. ჩანახატების, შეგონებების, მხატვრული ესსეების ავტორის ასაკი (9-12 წელი) შეუსაბამოა მის შემოქმედებით სიმწიფესთან.

ნუგზარ მილორავა ადრე დაბრძენებული ბავშვია, რომელმაც უსწრაფესად გაიარა სულიერების საფეხურები. მან ადამიანის მიწიერად არსებობის მიზანი ჭეშმარიტ ცხოვრებაში დაინახა.

...17 წლის ასაკში, მძიმე ავადმყოფს ნუგზარ მილორავას, საავადმყოფოში აღკვეცავენ ბერად და მოციქულ ანდრია პირველწოდებულის პატივსაცემად ანდრიას უწოდებენ.

2011 წლის აპრილის დასაწყისში ბერად აღკვეცილი, მხოლოდ რამდენიმე თვე დაჰყოფს ამ წუთისოფელში. ივლისის მიწურულს, ენით აუწერელი ტკივილების დათმენით, ბერი ანდრია უფალს შეავედრებს სულს და თავისი სურვილისამებრ წმინდა ანტონ მარტყოფელის **"ღვთაების"** სავანეში დაიკრძალება (იქ, სადაც ცხუმ-აფხაზეთის დროებითი რეზიდენციაა). მისი მხატვრული ნააზრევი სიკეთის საგალობელია, რომელმაც ჩვენ, აქ დარჩენილები უნდა ჩაგვაფიქროს.

**სვეტლანა კვიკვინია,**
**ჟურნალისტი**

## ნუგზარ მილორავა,
### წიგნიდან "სიკეთის საგალობელი"

### ჩემი ტკივილი

ნისლიანი, მრუმე, ნაღვლიანი დღე. ... ქუჩებში შეჭრილი ორღობეები... სევდის ბურუსი... ყოველი ქუჩის, ყოველი შესახვევის ბოლოს მსხდომნი უმწეონი... მათი უხერხულად გამოწვდილი ხელი და ბრჯგუ სიტყვა დახეთქილი ბაგედან გადმომავალი... უმწეო მოხუცთა გამშრალი პირნი... ეს ყველაფერი საქართველოში ხდება, რადგანაც გაყიდულია ის, გაყიდული ვართ ჩვენ, ქართველები – გაყიდული ვართ რამდენიმე ვერცხლის მონეტად, გაყიდული ვართ და ვერავინ ახერხებს ჩვენს განთავისუფლებას, გადარჩენას. თუმცა, რას დაგვეხმარება სხვა, როდესაც ჩვენ თვითონ არ ვიღვწით ჩვენი განთავისუფლებისათვის.

ნეტავ ერთი ნატვრის თვალი მქონდეს, რათა მენატრა მთლიანი საქართველო, მენატრა ის აყვავებული, ამწვანებული, გაძლიერებული, როგორც დავითისა და თამარისდროინდელი იყო. ვინატრებდი უმწეოთა დახმარებას, ცოდვილთა განწმენდას არა ხორციელად, არამედ სულიერად; ვინატრებდი ცოდვის გუბეში დგომის ლოცვით, მადლის წყაროთი დარწყლულებას, დაპკურებას, სხვის ბედნიერებას, სხვის კეთილად ცხოვრებას, რადგანაც ეს სიცოცხლე ხელგაშლილობისა და სიუხვის უწყვეტი ჯაჭვია.

გავა დრო და გავიზრდები, გავიზრდები და აუცილებლად დავეხმარები ღატაკთ, დავეხმარები უსავანოთ, დავეხმარები უბედურთ.

იქნებ მართლა შევძლო ეს, იქნებ... და დავიამო ჩემი ტკივილი.

### ჩემი ნატვრის ხე

შორს, სადღაც შორს, მზვაობარ კლდეკბოდეთა მიღმა ერთი ზღვა ლაპლაპებს კლდეთა შუა, კამკამებს და ირეკლავს სიცოცხლისნიშატიანი, კამკამა მზის სხივებს, სარკესავით პრიალაა და იტევს მსოფლიოს სიკეთეს. მის შუა ნაწილში ნაპირია და მასზე მრგვალი ციხე-სიმაგრე დგას, ცამდე ავარდნილი, ცამდე აშოლტილი, რომელსაც კარი აღარ აქვს. შიგ დგას ნატვრის ხე, რომელიც ნატვრის თვლებს ისხამს. მასთან მიახლოება მხოლოდ განწმენდილი სულის მქონე ადამიანს შეუძლია. ის ხე მხოლოდ ჭეშმარიტ და კეთილ სურვილებს ასრულებს.

ნეტავ შემეძლოს შეხება ნატვრის ხისა! ვინატრებდი, ჭეშმარიტად ვინატრებდი, მთელი გულითა და სულით, საოცნებო დაკარგული მხარის დაბრუნებას, ვინატრებდი აფხაზებისა და ქართველების განუყრელად ჩაკირვას ერთმანეთში, ვინატრებდი ჩემი მხარის მიწაზე სანთლად ჩანავლებას, სანთლად ჩაწივლებას, სანთლად ჩაღვენთებას, ვინატრებდი ჩემი სილამაზით, სიწმინდით შეზარხოშებული მხარის შეფაკლულ ღაწვებზე მოლამუნებას, მის ჭაღარა წვერზე ხელის გადასმას, ვინატრებდი მის კალთებზე თვლემას.

– იქნებ როდესმე შევძლო ამ ნატვრის ხის პოვნა და მასთან მიახლოება, იქნებ მართლაც არსებობს ის?! – ვფიქრობ ზოგჯერ, მაგრამ როცა რელობას ვუბრუნდები, ნატვრის ხე არსად ჩნდება.

– ო, რა მწარეა ეს რეალობა, რა სასტიკი!

მართალია, ჩემი ნატვრის ხე არ არსებობს, მაგრამ უფალი ხომ სუფევს ყველგან! ის ჩვენს ლოცვა-ვედრებას ისმენს და თუ ლოცვა ჭეშმარიტი, წმინდა სულითა და გულით მოდის, მაშინ მე მჯერა შეგვისრულებს კიდეც.

ქართველნო! ვევედროთ უფალს!

– გააერთიანე, ყოვლისშემძლე ღმერთო, ეს ჩვენი საქართველო და ქართველთა არტერიაში აჩქარე, სამუდამოდ აჩქეფე ქართველთა დაუმორჩილებელი და მოუდრეკელი სისხლი!

### ცა რომ სარკე იყოს

ამქვეყნიური ცხოვრება ხომ სამზადისია და ვინც ამ გამოცანას ჭეშმარიტად დაძლევს, ის დაიმკვიდრებს თავის ადგილს ზეცათა სასუფეველში.

ჭეშმარიტად ცხოვრება ხომ მხოლოდ სიკეთის თესვით, სიყვარულითა და გულითადი მეგობრობით შეიძლება.

საუბედუროდ, ზოგი ადამიანი ვერ არჩევს ერთმანეთისგან ცუდსა და კარგს, სიკეთესა და ბოროტებას და ნებსით თუ უნებლიეთ დიდ ცოდვებს სჩადის და როცა მიხვდება, მაინც არ ცდილობს მის გამოსწორებას.

**"ცუდი საქმით მოპოვებული, ანუ მონაპარი პური გემრიელია"** – ამბობენ ურწმუნონი. ეს ხომ ასე არ არის. ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ მთავარი ამქვეყნიური სიამე კი არ არის, არამედ რთულად დასაძლევი განსაცდელების ჭეშმარიტად გავლაა. ამჟამად იმდენად დაეცა ხალხი, რომ ვერ ხვდებიან თავიანთ შეცდომებს, ვერ აცნობიერებენ რომ დამნაშავენი არიან.

ცა რომ სარკე იყოს, აირეკლავდა ადამიანთა ცოდვილ ბუნებასა და ქცევებს. როდესაც ცოდვილი ადამიანი აიხედავდა, დაინახავდა თავის ბოროტებას, ის შეძრწუნდებოდა თავისი ქცევით და შეეცდებოდა გამოესწორებინა დანაშაული. თუმცა, ცა რომ სარკე იყოს, სად დაიტევდა ადამიანთა ცოდვას, დაიმსხვრეოდა და დაკარგავდა თავის სილამაზეს. ცა რომ სარკე იყოს, სადღა იქნებოდა ამდენი სიმუხთლე და ბოროტება!

ცა რომ სარკე იყოს, განიწმინდებოდნენ ადამიანები ცოდვებისაგან და ადგილს ზეცათა სასუფეველში ჰპოვებდნენ.

### "ვაჟკაც იგია..."

ვაჟკაც იგია, ვინც არა მარტო სხეულში, არამედ სულშიც ეძებს ვაჟკაცობას.

ვაჟკაც იგია, ვინც არა მარტო თავის სულს დააპურებს მადლით, არამედ სხვის სულსაც მოარგებს სიკეთეს.

ვაჟკაც იგია, ვინც აუხელს ცოდვილ მოკვდავს ლიბრით დაფარულ გონების თვალს.

ვაჟკაცობა ხომ მოყვასის სიყვარულში, პატივისცემასა და დაფასებაში გამოიხატება. მამაცმა ბოროტის მდომს სიკეთე ფარად უნდა დაუხვედროს. მადლის წყაროთი უნდა დაპკუროს ცოდვის მორევში



მდგომი. იმ ხალხს, რომელიც თითქმის ყოველი ქუჩის ბოლოს დგას და შველას ითხოვს, ხელი უნდა გაუწოდოს და ტკივილის, სიმწრის ცრემლი მოსწმინდოს.

ვაჟკაცობა ხომ მხოლოდ სამართლიანი ცხოვრებით მოიპოვება. ნამდვილი ვაჟკაცი არ ელოდება ხალხისაგან დაფასებას და მადლიერებას, იგი მთელი სულით და გულით აკეთებს სიკეთეს.

ვაჟკაც იგია, ვისთვისაც სიკეთის ქმნა და სამშობლოსათვის, ხალხისათვის თავგანწირვა მოწოდებაა.

### მოგონება ჩემი სიყრმიდან

ჩემი სიყრმის ყველაზე ნათელი მოგონება იყო კვირიკობა სვანეთში. ამ დღესასწაულს უამრავი ხალხი ესწრება. თითქმის საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოდიან და უფლის სიყვარულით სავსე გულით ინანიებენ ცოდვებს, ევედრებიან ყოვლისშემძლე ღმერთს თავიანთ და სამშობლოს კეთილდღეობას.

მე და ჩემი ოჯახი წმინდა კვირიკეს ეკლესიაში მივდიოდით. ბილიკს მაღლა და მაღლა ავყავდით და დანისლულ ტყეში შევყავდით.

იქ წელში მოხრილი ხეები მონარნარე წყაროს იმედით ცოცხლობენ, რადგანაც საკვები არა აქვთ და სიკეთის მთესველი წყარო აპკურებს მათ. გოროზი კლდიდან შლეგი ჩანჩქერები ნაპრალებზე ხტიან და კისრისტეხით ჩაედინებიან აშარ ენგურში.

არსებობს ლეგენდა, რომ ბუმბერაზმა დევმა კლდიდან გოროზი ქვა გადმოაგდო და ენგურში ჩააგდო. ამ კლდის ნაფლეთზე ხალხმა კოშკი ააგო. ძალიან ლამაზი სანახავი იყო, თითქოს შუბლშეკრულ ენგურს აძლევდა მისი განადგურების საშუალებას. ასე ზვერავდა, იცავდა აშარი მდინარე ქვაზე ამხედრებულ კოშკს საუკუნეების მანძილზე.

აქვე იყო აღმართული ჯვარი. კიბით შეგვეძლო მასთან მიახლოება, მე ავედი და რამდენიმე წუთი ვიდექი. ეს ჯვარი მიგვანიშნებდა იმას, რომ გზის პირას მდგარ კლდის თავზე იდგა კვირიკეს ეკლესია.

ეს ტაძარი წმინდა სალოცავია, ამიტომაც იქ შესვლა აკრძალულია. თვალნათლივ მახსოვს ის დრო, როცა კედლებზე სანთლებს ანთებდნენ.

ახლაც თვალწინ მიდგას ის წუთები, როცა ჯვართან ვიდექი, როცა სანთლები ციალებდნენ და იღვენთებოდნენ, ახლაც მახსოვს ის დამატყვევებელი სურნელი, რომელიც ჰაერში იფრქვეოდა. ჩემი მოგონება, ალბათ, ღვთის ნება იყო, რადგანაც ის წუთები წმიდათაწმიდა გახლდათ.

### "განვიწმინდოთ სულები თავისუფლებისათვის"

**ზვიად გამსახურდია**

ტოროლა ცაში ნავარდობს, შეჰხარის და უგალობს მას. ის მაღლად მზეს აღუპყრობს ხელს. ბუნება მადლს სწირავს უფალს, რითაც შეუძლია.

ჩვენ ადამიანებმა კი უნდა განვიწმინდოთ გული თავისუფლებისათვის, უნდა ვიბრძოლოთ ეშმაკის დასამარცხებლად და სული უნდა გავუჟღინთოთ იმ უნაპირო ზღვით, რომელსაც სიყვარული უწოდეს, რომლითაც სულდგმულობს მთელი სამყარო, რომლითაც სასოებს ჭეშმარიტი ქრისტიანი.

ჩვენ რომ ზეცათა სასუფეველი დავიმკვიდროთ, უნდა შევცვალოთ სიყვარულით ყველა ცოდვილი გრძნობა და სული ღაბუა ჩიტის ბუმბულზე მსუბუქი გახდება, გაფაქიზდება, გალამაზდება, კაშკაშა მადლთა მთოვარე მზეს დაემსგავსება.

თავისუფლება ხომ სწრაფვაა სრულყოფილებისაკენ, ამიტომაც უნდა გავათავისუფლოთ მძიმე სული ცოდვებისაგან და სიყვარულის ფრთები უნდა შევისხათ ზეცად ასაფრენად, რათა **"ვიქმნეთ სრულ, ვითარცა მამაი ჩუენი ზეცათაი სრულ არს"**, რამეთუ ზეცად დამკვიდრება მხოლოდ თავისუფალ, განწმენდილ გულს შეუძლია, იქ არის მისი ადგილი.

**2006 წელი.**




**დაუოჯახებელი წავიდა ამ ქვეყნიდან, მაგრამ მისმა დედამ მაინც მოახერხა, რომ, თუნდაც რამდენიმეჯერ, საკუთარი პირმშოსათვის სიტყვა "მამაო"-თი მიემართა. დიახ, იგი მამა იყო, სულიერი მამა იმ დიდი ოჯახისა, რასაც მრევლი ჰქვია.**

**ზებუნებრივად სასიამოვნოა, როცა სამოცდაათი წლის კაცი 17 წლის ყმაწვილს სიტყვა "მამა"-თი მივმართავ!**

**მაგრამ ასევე ზებუნებრივად არასასიამოვნოა, რომ მე, სამოცდაათი წლის კაცი 17 წლის ყმაწვილის სულის მოსახსენიებელ სიტყვებს ვამბობ!**

**საუბედუროდ, ესეც ჩვენი ცხოვრების დიალექტია!**

**გზანათელი ჰქონოდეს შენს სულს, შვილო "მამაო"!**

**როლანდ ჯალაღანია**

**მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებში საქართველოს ერთ-ერთი რაიონის კომუნისტთა ლიდერი, რომელსაც საზოგადოებაში ჰომოსექსუალის სახელი ჰქონდა გავარდნილი, ამ ხმების უარსაყოფად ადგილობრივ მეძავებს ფულს უხდიდა მხოლოდ იმაში, რომ ხმები გაევრცელებინათ: "გუშინდელი ღამე ამ კაცთან გავატარე და ასეთი ძლიერი მამაკაცი ჯერ არ შემხვედრიაო".**

**ასეა, როცა რეალურ საქმეში კასტრატი ხარ, მაშინ აუცილებელია ხმები მაინც დაყარო შენი პიროვნების ზეადმატებულებისა და უძლეველობის თაობაზე. ამ მითოლოგიურ ფენომენს ახლა "pr"-ს ეძახიან და ამა თუ იმ ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწეები არც თუ იშვიათად მიმართავენ ხალხისათვის თვალში ნაცრის შეყრის ამ ევრო-ამერიკულ ტექნოლოგიას, რომელიც ჭეშმარიტებისაგან ძალზე შორს დგას. სწორედ ამგვარი "pr"-ი გამოავლინა გაზეთმა "ახალი თაობა", და რუბრიკით: "ჟურნალისტური გამოძიების სკანდალური შედეგები", გამოაქვეყნა წერილი სათაურით:**

# სააკაშვილს ამერიკელი ჟურნალისტების მოსყიდვაში ადანაშაულებენ

**"საქართველოს მთავრობასა და შპს "ორიონ სტრატეჯის" შორის გასაფორმებელ ხელშეკრულებათა პირობების უზრუნველსაყოფად ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საგარეო საქმეთა სამინისტროს გამოუყოს 400.000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებით",** – მთავრობის ასეთი ტიპის განკარგულებები რამდენიც გინდათ, იმდენი მტკიცდება სახელმწიფო კანცელარიაში. თანხებს რაც შეეხება, არც აქ არის რაიმე შეზღუდვა. ჩვენს ხელისუფლებას საკუთარი თავის გასაპიარებლად თანხა არასოდეს ენანება. დიახ, გასაპიარებლად, რადგან **"ორიონ სტრატეჯი"** ცნობილი ლობისტური ფირმაა. ახლახან ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარდა და გამოქვეყნდა ჟურნალისტური გამოძიება, რომლითაც დასტურდება, რომ ამ ფირმის მეშვეობით სააკაშვილის ხელისუფლება ვაშინგტონელ ჟურნალისტებს შეკვეთილ სტატიებს აწერინებს.

ცნობილი ფაქტია, რომ ჩვენი ხელისუფლება საკუთარი თავის გასაპიარებლად ათასგვარ ხერხს მიმართავს. ირკვევა, რომ ასე არა მხოლოდ საკუთარ ქცეყანაში იქცევა, არამედ დასავლეთშიც, რომლის წინაშეც გამუდმებით თავს იწონებს და დემოკრატიულობის იმიჯს იქმნის. თუ რა წარმოდგენა ექნებათ ადგილობრივ პოლიტიკოსებს ჩვენს ხელისუფლებაზე და ამერიკული გავლენიანი გაზეთების კეთილგანწყობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ეს მიხეილ სააკაშვილისთვის კარგადაა ცნობილი. ამიტომაცაა, რომ ისეთი გავლენიანი ჟურნალისტების მოსყიდვაზეც კი არ ამბობს უარს, როგორიც **"ვაშინგტონ პოსტი"** და **"ვაშინგტონ თაიმსია"**.

ამერიკელმა პუბლიცისტმა და რამდენიმე წიგნის ავტორმა კენ სილვერსტაინმა თავისი ჟურნალისტური გამოძიებისას საინტერესო სქემას ახადა ფარდა. აღსანიშნავია, რომ სილვერსტაინის წიგნები სწორედ პრესისა და ლობისტების ურთიერთობებს ეხება.

ბოლო ჟურნალისტურ გამოძიებაში კენ სილვერსტაინმა დეტალურად აღწერა, თუ როგორ გადაიბირა ვაშინგტონელი ჟურნალისტები ქართველების მიერ დაქირავებულმა ლობისტურმა ფირმამ **"ორიონ სტრატეჯი"**-მა.

**"ორიონ სტრატეჯი"**-ი ორგანიზებას უწევს ჟურნალისტების ექსკლუზიურ შეხვედრებს ქართველ ჩინოვნიკებთან, თვით მიხეილ სააკაშვილთანაც კი. ეს ფირმა ანაზღაურებს მათ ვიზიტებს საქართველოში, გამუდმებით ეპატიჟება მათ მეგობრულ ატმოსფეროში დროის გასატარებლად. ასეთი ტიპის შეხვედრები ვაშინგტონის საკმაოდ ძვირადღირებულ რესტორნებში იმართება და მასში ჟურნალისტებთან ერთად ჩვენი მთავრობის წარმომადგენლებიც იღებენ მონაწილეობას.

სილვერსტაინი განმარტავს, რომ **"ორიონი"** რენდი შეინემანის ფირმაა, რომელიც დონალდ რამსფელდისა და ჯონ მაკკეინის ყოფილი მრჩეველია. ეს ადამიანი მჭიდროდაა დაკავშირებული ამერიკის სხვა მაღალჩინოსნებთანაც.

პრესასთან უშუალო კონტაქტს მაკკეინის წინასაარჩევნო შტაბის ყოფილი ოფიციალური წარმომადგენელი მაიკლ გოლდფარბი აწარმოებს. ის ჟურნალისტებს აკავშირებს სახელმწიფო ჩინოვნიკებთან, რომელთაც მედიის ეს წარმომადგენლები საკუთარ წყაროებად მოიხსენიებენ. ცხადია, ეს პოლიტიკოსებიც **"ორიონთან"** თანამშრომლობენ და, ამ შემთხვევაში, საქართველოსთან მიმართებაში დადებით განწყობებს ამჟღავნებენ. ასეთ შემთხვევაში, როგორ იქცევიან სააკაშვილი, მისი მთავრობა და სახელისუფლებო ტელეარხები? სასურველი პუბლიკაციის გამოქვეყნებისთანავე, ქართველი პოლიტიკოსები ამ სტატიას აიტაცებენ ხოლმე და ტელეეთერში ყურებს გვიჭედავენ სტატიიდან ციტატების მოშველიებით.

როგორც ხედავთ, ლობისტებისათვის გადახდილი ფული ფუჭად არ იყრება, სააკაშვილი ერთი გასროლით ორ კურდღელს კლავს – საკუთარ ხალხსაც კვებავს სიცრუით და იმ მკითხველსაც, რომელიც გავლენიანი გაზეთების სტატიებს ორიგინალში ეცნობა.

**"დაკვეთილი სტატიები შეიცავს არა მარტო საქართველოს მხარდამჭერ შინაარსს, არამედ ანტირუსულ განწყობასაც. უარყოფით კონტექსტში ექცევა ამერიკა-რუსეთის გადატვირთვის პოლიტიკაც... არ ვამტკიცებ, რომ ჟურნალისტები, რომლებიც "ორიონთან" თანამშრომლობენ, მხოლოდ იმას წერენ, რასაც თავად არ ეთანხმებიან. არც იმას ვამბობ, რომ გოლდფარბმა ისინი იყიდა, მაგრამ იმ ჟურნალისტებს, ვინც საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციასა და ანალიზს ამზადებს, მეტი პრინციპულობა მოეთხოვებათ",** – აღნიშნულია ჟურნალისტურ გამოძიებაში.

სილვერსტაინის წერილზე კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორის, ალექსანდრ კულის კომენტარი ქვეყნდება. სწორედ მას ეკუთვნის ნაშრომი **"აშშ-ის ახალი სტრატეგია საქართველოში აგვისტოს ომის შემდეგ"**. ექსპერტის განცხადებით, პროქართული ლობისტური კამპანია **აშშ**-ში **"ვარდების რევოლუციის"** შემდეგ, 2004 წლის გაზაფხულიდან გაჩაღდა.

**"ლობიზმში საოცარი არაფერია, აშშ-ში ბევრი ქვეყანა ჰყავს მსგავსი ლობისტური კომპანიები. უცნაური ის არის, რომ თბილისი, მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის პოლიტიკურ წრეებთან კარგი ურთიერთობა აქვს, თანამშრომლობს მხოლოდ ერთ კონკრეტულ იდეოლოგიურ ჯგუფთან – ნეოკონსერვატორებთან.**

**საინტერესო ისაა, რომ საქართველოს ხელისუფლება და ამერიკელი ნეოკონსერვატორები ერთსა და იმავე იდეოლოგიას იზიარებენ, ანუ საქართველო წარმატებით აღმოჩნდა ჩართული ფართო იდეოლოგიურ პროექტში",** – ამბობს ალექსანდრ კული.

მისივე თქმით, დაკვეთილ სტატიებში ქართული მხარე თავს **"საფრთხის ქვეშ მყოფ დემოკრატიად"** ასაღებს, მაგრამ **აშშ**-ში ამის უკვე აღარა სჯერა.

**"ბევრი ორგანიზაციისა და ექსპერტის შეფასებით, ეს ნახევრად ავტორიტარული სახელმწიფოა. ამაზე მეტყველებს ერთ-ერთი ბიზნესმენის ირგვლივ ატეხილი სკანდალიც, რომელსაც პოლიტიკური განცხადებების გამო ხელისუფლებამ მოქალაქეობა ჩამოართვა",**– აცხადებს ექსპერტი.

შალვა ჯოხაძე

# პოლიციელი თუ მოლაპარაკე რობოტი

ყური მქონდა მოკრული, რომ საპატრულო პოლიციაში თათბირებზე აქტუალურია დავალება **"ზევიდან"** – რაც შეიძლება მეტი გადასახადი ამოიღონ მძღოლებისგან, გამოვლინდეს მოძრაობის წესების დარღვევის მრავალი შემთხვევა, რათა საპატრულო პოლიციამ ბიუჯეტში შესატანი "წილი" მოაგროვოს. დავალების ჩამგდებს საყვედური არ ასცდება და შესაძლოა, სამსახურიც დაკარგოს... ამბობენ, ამ გასაჭირის გამო პოლიციამ თავად დაიწყო დარღვევით მუშაობა და ჯარიმებს ფაქტების გარეშეც წერენო. ამის მოწმე ორიოდე დღის წინ თავად გახლდით.

რამდენიმე ჟურნალისტი ერთ-ერთ რაიონში მივდიოდით დაქირავებული მიკროავტობუსით. უკან დაბრუნებულებს გორთან საპატრულო პოლიციამ გვანიშნა, შევჩერებულიყავით. პოლიციელმა, რომელიც ასე 25 წლისა იქნებოდა, აგდებული ტონით ჰკითხა მძღოლს, გეჩქარებაო? დიახ, ღამეა და გვეჩქარებაო, ღიმილით უპასუხა მძღოლმა. ჰოდა, ახლა 50-ლარიან ჯარიმას რომ მოგართყამ, მერეც იჩქარეო.

– რა დავაშავეთ? – ვკითხეთ მძღოლს, რადგან ვერ მივხვდით, რომელი წესი დავარღვიეთ. მძღოლმაც მხრები აიჩეჩა, თქვენც ხომ ხედავთ, როგორ მოვდივაროო. შევეცადეთ, გაგვერკვია, რა მოხდა და მძღოლს პოლიციელების გასაგონად ვკითხეთ:

– რა დააშავე?

პასუხი კი პოლიციელმა გაგვცა: – მთელი გზა დარღვევებით მოდიოდით, უკან მოგდევდით და გაკვირდებოდით. ბოლოს კი გორში, ხიდზე **"ფორდის"** მარკის ავტომობილს გადაუსწარით და ღერძულა ხაზი გადაკვეთეთ. ხიდზე გადასწრება არ შეიძლება, ღერძულა ხაზის გადაკვეთაზე კი რუსეთში სამთვიანი **"ლიშენიაა"**.

მძღოლმა გაოცებისგან ხმა ვერ ამოიღო, მერე ხელი ჩაიქნია და ბურდღუნით მიუჯდა საჭეს, აქაოდა, კიდევ არ დამიმძიმონ დაუმსახურებელი სასჯელიო. არადა, პოლიცია მთელი გზა – ტყიბულიდან გორამდე – ვერ დაგვედევნებოდა, რადგან ყველა ეკიპაჟს თავისი საპატრულო კვადრატი აქვს. ამასთან, ჩვენ რუსეთში არ ვართ. სწორედ ეს შევახსენე დემოკრატიული პრინციპების ერთგულ ქართველ პოლიციელს და ვთხოვე, აეხსნა, როგორ შეეძლო დარღვევის ფაქტის დადასტურება, რომელსაც ჩვენ – ათი კაცი ვერ ვიხსენებდით და როგორ დაგვისაბუთებდა თავის ბრალდებას – იმ ადგილზე, სადაც გაგვაჩერეს, ხომ ვიდეოკამერები არ იყო?! პოლიციელმა ამაყად მიპასუხა, მე ვამბობ, მეტი რაღა მტკიცებულება უნდა წარმოვადგინო(?!) და საერთოდ, ვალდებული არ ვარ, თქვენ გელაპარაკოთო. განვუმარტე, რომ მე, საქართველოს მოქალაქეს, კონსტიტუციით მაქვს უფლება, კითხვა დავსვა და პასუხი მივიღო, ის კი ვალდებულია, მიპასუხოს, დამარწმუნოს, რომ მძღოლი ჩვენს უსაფრთხოებას არ იცავს... თქვენ უფლება არ გაქვთ, ხელი შემიშალოთ, თორემ 400-ლარიან ჯარიმას გამოგიწერთო... მძღოლს ქვითარი შეაჩეჩა, მანქანაში ჩაჯდა და გაიქცა.

ხუთ წუთში სხვა ეკიპაჟმა გაგვაჩერა და – საბუთები წარმოადგინეთო, უთხრა მძღოლს. გონივრული ეჭვი მაქვს, რომ წინა ეკიპაჟთან უსიამოვნო საუბრის გამო შეგნებულად გაგვაჩერეთ და იქნებ გვითხრათ, კიდევ რამდენ დროს დაგვაკარგვინებთ-მეთქი, ვუთხარი პოლიციელს, რომელმაც მკვახედ მომახალა, შენ მგზავრი ხარ და კითხვის დასმის უფლება არ გაქვს, რომელი ქვეყნის მოქალაქეც უნდა იყოო.

პოლიციელებს, რომელთაც არ იციან, რომ მოქალაქეებს ასე არ უნდა ელაპარაკონ, პოლიციელები არ უნდა ერქვათ. ჩემი ეჭვი, რომ წინა ინციდენტის გამო გაგვაჩერეს, მალევე დადასტურდა. თურმე მძღოლსაც უსაყვედურეს, სხვებს რატომ ალაპარაკებ შენს საქმეზეო... ჩვენი მძღოლი უსიტყვოდ დაემორჩილა (ალბათ, მძღოლების უმრავლესობის მსგავსად) პოლიციას, თუმცა ჩვენთან დარღვევის ფაქტს კატეგორიულად უარობდა.

ვცადეთ, გაგვერკვია, რისი უფლება და რა ვალდებულებები აქვთ პოლიციასა და მოქალაქეებს.

**კახა კოჟორაძე,** ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურიდიული დახმარების ცენტრის დირექტორი: **"კანონის თანახმად, პოლიციელს ავტომობილის გაჩერების უფლება აქვს იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი და ეჭვი, რომ ამ მანქანით სამართალდარღვევა მოხდა, ან მას გადაჰყავს ძებნილი. ნებისმიერ შემთხვევაში გაჩერების უფლება არ აქვს. ასევე აქვს დაჯარიმების უფლება, თუ ჩადენილი დანაშაული აშკარაა. მძღოლს შეუძლია, ადმინისტრაციულ საქმეთა დარღვევის აქტი სასამართლოში გაასაჩივროს და მოსთხოვოს მას მოწმედ იმ ხალხის დაკითხვა, ვინც დაჯარიმების პროცესში მასთან ერთად მგზავრობდა. როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო, რას უნდა დაეყრდნოს – პოლიციელის ჩვენებას თუ მოწმეთა ჩვენებებს? კანონმდებლობის თანახმად, ზოგადი პრინციპი ასეთია: მას, ვინც უკეთესად დაასაბუთებს თავის პოზიციას. მძღოლი არ არის ვალდებული, უდანაშაულობის მამტკიცებელი ფაქტები წარმოადგინოს, მტკიცებულების წარმოდგენა პოლიციელის ვალდებულებაა. ეს, შესაძლოა, იყოს მაკონტროლებელი ვიდეოკამერების ჩანაწერები და სხვა, თუმცა, კამერების მონაცემებს პოლიცია, ძირითადად, არ იყენებს და სასამართლოც ასეთი მასალების 90%-ს არ ითვალისწინებს. გვქონდა შემთხვევა, წარვადგინეთ ვიდეომასალა, რომლის მიხედვითაც არანაირ სამართალდარღვევას არ ჰქონია ადგილი, სასამართლომ კი საქმეს ეს მასალა საერთოდ არ დაურთო. ეს არის ძალიან ცუდი პრაქტიკა, რადგან ასე შეიძლება ადამიანს ნებისმიერი დანაშაული დააბრალო. პოლიციამ თქვა და კანონია! აი, ასე მუშაობს სასამართლო.**

**ზოგადი პრინციპების თანახმად, პოლიციელი ვალდებულია, დაადასტუროს, რომ დაჯარიმებულმა ნამდვილად ჩაიდინა სამართალდარღვევა. თუ სამართალდამრღვევისა და მასთან მყოფი პირებისთვის გაუგებარია პოლიციელის მოქმედება, ის ვალდებულია, ახსნას, რა და როგორ დაარღვია მოქალაქემ. ამასთან, უნდა შეეცადოს, არ დაძაბოს სიტუაცია უხეში გამონათქვამებით და მოპყრობით".**

კარგად ვიცით, რომ კანონის თანახმად, პოლიციელი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას არის ხელისუფლების წარმომადგენელი და მას იცავს სახელმწიფო. მისი კანონიერი მოთხოვნის შესრულება სავალდებულოა ყველა მოქალაქისა და თანამდებობის პირისათვის. დიახ, მისი კანონიერი მოთხოვნები და არა – უცერემონიო და აგდებული ტონი. კანონის თანახმად, არავის აქვს უფლება, ჩაერიოს პოლიციელის სამსახურებრივ საქმიანობაში, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. არც ჩავრეულვართ, მხოლოდ განმარტებას ვითხოვდით. კმაყოფილი ვართ, როდესაც დანაშაულისგან გვიცავს პოლიცია, მაგრამ უფრო კმაყოფილი ვიქნებით, თუ კულტურული და კანონის მცოდნე პოლიციელი დაგვიცავს და არა – მოძალადე რობოტი, რომელსაც რასაც ავალებენ, მხოლოდ იმას აკეთებს და უვიცობის დასაფარად ძალადობასაც არ ერიდება.

***P.S.* ადმინისტრაციულ სახდელებთან დაკავშირებით, კანონის თანახმად, პოლიციელმა დამრღვევი პირველ ჯერზე უნდა გააფრთხილოს და მისი გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში გამოუწეროს ჯარიმა. როდესაც საპატრულო პოლიციელი პირველივე შემთხვევისას წერს ჯარიმას, ეს ამყარებს ეჭვს, რომ საპატრულო პოლიციაში ბიუჯეტის შესავსებად თათბირები მართლაც ტარდება და ხელმძღვანელები პატრულს დანაშაულისკენ უბიძგებენ.**

ეკა ლომიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღია წერილი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს ბატონ ვანო მერაბიშვილს

ბატონო ვანო!

თუ ატყობთ, რომ დღეს, მისი არსებობის უმძიმეს პერიოდშიც კი, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, ყველასაგან მოძულებული **"ნაციონალების"** მთავრობის წევრებს შორის, მხოლოდ თქვენ მოგიხსენიებთ, მეტ-ნაკლებად, დადებით კონტექსტში.

დამერწმუნეთ, ქართველ ხალხს უკვე აღარაფრის აღარ ეშინია, რადგან იციან, რომ ამაზე უარეს დღეში ვეღარ აღმოჩნდებიან! არც მე მეშინია, ამიტომაც, ღიად მოგახსენებთ ყველაფერს და არც ზურგს უკან ვმალავ ქვას!

ნუთუ ვერ ხვდებით, რომ **"ნაციონალებსა"** და მათ გადიქტატორებულ ბელადს დიდად არ ეპიტნავება თქვენი ესოდენ შთამბეჭდავი რეიტინგი და, ამიტომაც, პოლიციას ბიუჯეტში შესატანი გეგმა დაუწესეს – 90 მილიონი ლარი, რაც, პატრულის თანამშრომლებს აიძულებს, რომ ხშირად შარი მოსდონ სრულიად უდანაშაულო მოქალაქეებს და ამ გზით მათთვის დაწესებული საჯარიმო ლიმიტის გეგმა შეასრულონ!

ეს კეთდება არა მხოლოდ საქართველოს **"ჩამოსაშლელად"** განწირული ბიუჯეტის შესავსებად, არამედ იმიტომაც, რომ ხალხმა შეგიძულოთ.

აღარაფერს ვამბობ იმ ამაზრზენ **"დრაკონულ"** პრაქტიკაზე, როცა ელემენტარული გადაცდომისთვისაც კი უსახსრობით გაწამებულ ადამიანებს ათასობით ლარს უღებენ ჯიბიდან სხვადასხვა **"საპროცესო"** გარიგებებით! ანალოგიურ სიტუაციაში აღმოჩნდა უამრავი მრავალშვილიანი ხელმოკლე ქართული ოჯახი, როცა მათი ოჯახის წევრს შარი მოსდეს ხოლმე და სრულიად უდანაშაულო ადამიანებს ათასობით ლარის საპროცესო გარიგების განაჩენი გამოუტანეს. (ზოგიერთი ამგვარი ფაქტის თაობაზე წერილებს მოგვიანებით გამოვაქვეყნებთ).

ეს ხომ ყაჩაღობის ამაზრზენი ფორმაა, რომლის მიმართ აშკარა ზიზღსა და სიძულვილს გამოხატავს საქართველოს მთელი მოსახლეობა.

ბატონო ვანო, თქვენ სახელმწიფოს ხერხემლად მიგიჩნევენ და თუ ამ ყველასაგან მოძულებულ ხალხთან კვლავაც გააგრძელებთ ურთიერთობას, თქვენი უწყება მალე შეიძლება საქართველოს ხერხემალში გაჭედილ იმ სარად აქციონ, რითაც დამნაშავეებს სჯიდნენ ძველ საქართველოში.

საქართველო კი ამგვარ სასჯელს ნამდვილად არ იმსახურებს!

ქართული პრესა უკვე დაუფარავად აღნიშნავს, რომ ნამდვილად თავშეუკავებელი სექსუალური მანიაკი და უსაქციელო პიროვნებაა მიხეილ სააკაშვილი – ნუთუ თქვენ ვერ ხედავთ ამას?

როდის მომხდარა, რომ ქვეყნიდან მხოლოდ აეროპორტის დირექტორს გაეცილებინოს ევროპაში ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფოს პირველი პირი, ზუსტად ისე, როგორც ამას წინათ საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი გააცილეს თბილისიდან?

იმიტომ, რომ სარკოზიმ სააკაშვილს პირდაპირ განუცხადა, შენ მომავალ ხელისუფლებაში ვეღარ იქნებიო.

ამბობენ, დარდისაგან გადამთვრალ სააკაშვილს დუჟი მოერია, ყველაფერი მილეწმოლეწა და რომ ვერ დააშოშმინეს, დედამისი ამოიყვანეს მის დასაწყნარებლადო! ალბათ, სწორედ მისი განკარგულებით იყო, რომ სარკოზი ყოველგვარი გაცილების **"პროტოკოლური"** წესის დარღვევით **"გაისტუმრეს"** თბილისიდან, ისე, რომ პრესასაც კი არ გაუშუქებია ეს მოვლენა.

როგორ გგონიათ, ამას ვინმე აპატიებს მიხეილ სააკაშვილს, ან თქვენს ღირსებას რამეს შემატებს ასეთი ადამიანის გვერდით დგომა?

სტუმრისადმი ასეთი აგდებული დამოკიდებულება, უპირველესად, ქართველი ერის სირცხვილია, და არა თუნდაც პრეზიდენტ სააკაშვილის, ამიტომაც არ შეიძლება მისთვის ამგვარი არაქართული საქციელის პატიება!

საწყენია, როცა ჭკვიანი ადამიანი ახირებული კარიერტისტის იშკილებს გადაჰყვება!

თქვენ მართლაც დაუჯერებელი რამ გააკეთეთ – ვის იფიქრებდა, რომ სულიანხორციანად გამომპალი ქართული მილიციაპოლიცია როდისმე უმწიკვლოდ იმუშავებდა?

არავინ!

თუ ვიღაცეები პოლიციელთა სიმკაცრეს აპროტესტებენ, ბოლომდე ვერც მათ დავეთანხმები – ნუ დაარღვევ და არავინ დაგსჯის!

ვიმეორებ, პირადად მე სულ ორჯერ დავისაჯე, მაგრამ არა პოლიციელის, არამედ ვიდეოთვალის გამოისობით და სავსებით სამართლიანად დავისაჯე, იმიტომ, რომ დავარღვიე მოძრაობის წესები. მაგრამ, სამწუხაროდ, იგივეს ვერ იტყვის ის უამრავი პოლიტიკური თუ სხვა მოტივით უსამართლოდ დასჯილი ადამიანი, რომელიც პოლიციელთა მიერ იარაღის ან ნარკოტიკების **"ჩაგდებით"** მოხვდნენ ციხეში. თქვენ კარგად იცით, რომ ყველაფერს აქვს თავისი დასასრული, ნაციონალთა პარპაშიც მალე დასრულდება და ხალხი აუცილებლად მოკითხავს ყველა ავისმქნელს და აღარ გაითვალისწინებს მათ აღიარებას: გვაიძულებდნენ და იმიტომაც ჩავდიოდით უკანონობასო!

თქვენ ქართველი ხალხი ამასაც გაპატიებთ. თქვენ არ უნდა გეშინოდეთ გაწონასწორებული ივანიშვილის, თქვენ გაუწონასწორებელი და საკუთარ სავარძელს მანიაკალურად ჩაჭიდებული სააკაშვილის უფრო უნდა გეშინოდეთ. იგი ხომ იმ შევარდნაძის აღზრდილი და **"მონათლულია",** რომელიც საკუთარ მეგობარ-ნათესავებსაც კი არ ინდობდა კარიერული წინსვლისათვის. როგორც კი უსაქმური, მექალთანე და ტრაბახა სააკაშვილი თქვენს ჩრდილში აღმოჩნდება (არა და, დიდი ხანია, სწორედ თქვენს ზურგს ამოფარებული მიდის ყოველგვარ უკანონობაზე), მას ხელიც კი არ აუკანკალდება, რომ თქვენც ზურაბ ჟვანიას გზას გაგიყენოთ (ღმერთმა გაშოროთ)!

ჯერ კიდევ გაქვთ დრო, რომ ბოლო მოუღოთ სააკაშვილისა და მის თანამზრახველთა აღვირახსნილობას, მათგან გამიჯვნით, რადგან სწორედ თქვენი **"იმედით"** მიდიან ისინი ყოველგვარ საძრახის საქციელზე.

მიუხედავად ფიზიკური ძალადობისა, ხალხი მაინც იმედის თვალით შესცქერის პოლიციას, რადგან კარგად იციან, რომ ეს ძალადობა, მათი უბის წიგნაკად ქცეული საქართველოს კონსტიტუციის ტანზე თავხედურად მორგებით, საზოგადოებისათვის თავზე მოხვეული აქვთ **"ნაციონალ"** ბანდიტებს, რათა დააშინონ და დაიმონონ ქართველი ერი. თქვენ რომ მეტი ობიექტურობა და პრინციპულობა გამოიჩინოთ, მაშინ საზოგადოებას კი არ დაუპირისპირდებით, არამედ მის გვერდით დადგებით.

იფიქრეთ ამაზე!

ბატონო ვანო, მიუღებელია საზოგადოებისათვის, რომ თქვენ, უდავოდ ნიჭიერი მენეჯერი და საქმიანი ადამიანი იდგეთ **"ნაციონალებთან"** და ასოცირდებოდეთ კუბლაშვილებთან, გაბაშვილებთან, ოჩიაურებთან, ხერხეულიძეებთან, წიკლაურებთან, კირკიტაძეებთან და სხვა უმეცარ-უკულტურო-უსაქმურ არსებებთან, რომელთაც არად მიაჩნიათ ქართველი ერის გასაჭირი და ყველა საძრახისი მეთოდით ცდილობენ ხელისუფლებაში თავიანთი უბადრუკი არსებობის გახანგრძლივებას.

ნამდვილად გულსატკენია!

თქვენ ჯავახეთის ულამაზეს სოფელ უდედან ხართ წარმოშობით, ჯავახეთი კი სომხებთან ასოცირდება, მაგრამ არავის არასდროს არ დაუყენებია ეჭვის ქვეშ თქვენი საგვარეულოს ქართული წარმომავლობა. ალბათ ამიტომაც, მთელი მონდომებით გააკეთეთ ქართული საქმე და, ვიმეორებ, შესძელით ლამის შეუძლებელი – საიმედოდ მოსპეთ კორუფცია იმ პოლიციაში, რომელიც მექრთამეობისა და ყველა სიბინძურის ბუდედ იყო ქცეული. ნამდვილად საამაყოა ეს მთელი ქართველი ერისათვის, და რომ არა თქვენ, საინტერესოა რითი იამაყებდნენ სააკაშვილი და მისი ბანდის წევრები: საქართველოს ეკონომიკის დაქცევით, უდანაშაულო ხალხის მკვლელობებით, დემონსტრანტთა დაწიოკებით, ქართველი ერის გამათხოვრებით, მონოპოლიური სისტემების დამკვიდრებით მილიარდობით **"შავი"** ფულის შოვნით თუ საქართველოს ძირძველი ტერიტორიების დაკარგვით?

თქვენ, როგორც ტრადიციების დამცველ ქართველ ადამიანს პირველად უნდა ამოგეღოთ ხმა იმ უსამართლობის წინააღმდეგ, რომ სომეხმა მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს მოქალაქეობა ჩამოართვა ქართველ ბიძინა ივანიშვილს.

მართლაც რომ დიდი სირცხვილია, ივანიშვილი აღარ იყოს საქართველოს მოქალაქე და საქართველოს მოქალაქეებად რჩებოდნენ მართლაც **"ნეხვმზიდი"** (როგორც მას ერთმა ცნობილმა ქართველმა პოეტმა უწოდა) ბენდუქიძე და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ვაშაძე!

დამაფიქრებელია ისიც, რომ სამეგრელოში ხელისუფლება ქმნის რაღაც გაუგებარ სამხედრო ფორმირებებს. ხომ არ კეთდება ეს მორიგი პროვოკაციის მოსაწყობად, რათა საქმეში ჩაერიონ გარე ძალები და საბოლოოდ გახლიჩონ საქართველო, რაც სომეხთა მრავალსაუკუნოვან ოცნებას წარმოადგენს!

ნუთუ თქვენ, გამჭრიახი გონების ადამიანი, ჯერ კიდევ ვერ დარწმუნდით, რომ სააკაშვილი ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან მხოლოდ სომხურ საქმეს აკეთებს?

მე ასაკით თითქმის მამათქვენის ტოლი ვარ და მაქვს იმის მორალური უფლება, რომ მამობრივი მზრუნველობით დავარიგო ნებისმიერი ახალგაზრდა ადამიანი. ყავლგასულ **"ნაციონალებთან"** და შეურაცხად, და როგორც ამბობენ, ნარკომან, უკვე პოლიტიკურ ლეშად ქცეული სააკაშვილის გვერდით თქვენი ყოფნა კი იმაზე მიანიშნებს, რომ თქვენ მართლაც აგრევიათ ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი გზა!

თქვენზე კარგად ვინ იცის, რომ სააკაშვილი ხელისუფლებაში მოვიდა არა იმ ავადსახსენებელი **"ვარდების რევოლუციით"**, არამედ სომხური წარმოშობის ამერიკელი მულტიმილიონერის კერკ კერკორიანის მიერ შევარდნაძესთან დადებული ბინძური სავაჭრო გარიგებით და, ამის გამო, სააკაშვილი მუდამ ვალში რჩება კერკორიანთან. ამიტომაც ებღაუჭება პოლიტიკურად უკვე განწირული ადამიანი საკუთარ თანამდებობას და, როგორც უკვე მოგახსენეთ, თუ თავისი პოლიტიკური გზის გამკვალავი ჟვანია არ დაინდო და მოაკვლევინა (თუ მოკლა), ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ იოლად გაგწირავთ თქვენ, როცა წყალი შეუდგება?

წყალი კი უკვე შეუდგა სააკაშვილს, მაგრამ ეს წყალი საშინლადაა გაწითლებული მის მიერ უდანაშაულოდ დახოცილი ხალხის სისხლით.

თქვენმა გუნდმა წააგო და უკვე ბედს შერიგებულებიც მოჩანხართ, რაოდენ არასასიამოვნო და მომაკვდინებელიც არ უნდა იყოს თქვეთვის ეს მოვლენა! სააკაშვილს ვეღარც თეატრალიზებული სამთავრობო **"გასტროლები"** უშველის და ვეღარც უცხოური ანგაჟირებული საზოგადოებების მიერ ხელოვნურად შეკოწიწებული რეიტინგები. სააკაშვილს საბოლოოდ ჩამოუვარდა სახიდან კეთილისმყოფელის ნიღაბი, იგი წამსვე გააშიშვლა ქართულ პოლიტიკურ სცენაზე ჭეშმარიტი ქართული ძალის გამოჩენამ, გააშიშვლა პოლიტიკურადაც, თორემ სულიერად და ზნეობრივად იგი თავისი პოლიტიკური კარიერის დასაწყისშივე იყო გაშიშვლებული, როცა, შევარდნაძის ხელისუფლებაში ყოფნის დროს, სამთავრობო სხდომებზე კლინიკურ გიჟს უძახდნენ და ურჩევდნენ ასათიანის ქუჩაზე არსებულ საავადმყოფოში ემკურნალა. სწორედ რომ სიგიჟის გამოვლენა დახლდათ ტელეარხ **"იმედზე"** სააკაშვილის შეკვეთით ასევე პათოლოგ არველაძის მიერ გაშვებული მოდელირებული ქრონიკა, სადაც გამოაცხადეს, რომ სააკაშვილი ბუნკერში მოკლესო. მართალია, მცირე დროით, მაგრამ მაინც გაიხარა საქართველომ ამ ინფორმაციის მოსმენით, რომელიც შეიძლება მართლაც აუხდეს სააკაშვილს, თუ დროზე არ გაანთავისუფლა საქართველო თავისი თანამზრახველების თარეშისაგან!

ხომ ხედავთ, როგორი ხალხის გვერდით დარჩით, ბატონო ვანო!

**"ნაციონალთა"** აგონია უკვე დაწყებულია, მიწა ეწვით ფეხქვეშ და ვიდრე ქართველი ხალხის რისხვა დაატყდებათ, შეიძლება მანამდე გაიქცნენ საქართველოდან. ნუ გაჰყვებით მათ. თქვენ საქმიანი ადამიანი ხართ და საქართველოს ყოველთვის დასჭირდება რეალური საქმის მკეთებელი და არა სააკაშვილივით მოქაქანე ადამიანები!

ნუ დაუჯერებთ **"რუსთავი-2"-ს, "იმედს", საზოგადოებრივ მაუწყებელს** და სხვა სახელისუფლებო მედიასაშუალებებს, რადგან ისინი სწორედ **„ნაციონალთა"** მიერ შეკოწიწებულ ტექსტებს აჟღერებენ ქართველი ხალხის **"ბედნიერი"** ყოფისა და ხელისუფლებისადმი ერის სიყვარულის თაობაზე.

**„ნაციონალები"** უკვე თითქმის ყველას ეზიზღება და იმ ხალხის რიცხვიც მცირდება, რომელთაც მათი აგრესიის ეშინიათ, რადგან იციან, რომ ყველას მართლაც ვერ დაიჭერენ, კიდევაც რომ ბრძანოს ეს სააკაშვილმა!

თქვენი მხარდაჭერით ნუ გაახანგრძლივებთ სააკაშვილისა და მისი თანამზრახველების აგონიას. მიეცით **"ნაციონალებს"** საშუალება, რომ მშვიდად მიიცვალონ და გადაბარგდნენ პოლიტიკურ სანაგვეზე.

პატივისცემით,

**როლანდ ჯალაღანია,**
**"ფაზისის"** აკადემიის
ნამდვილი წევრი

## პოეზიის კუთხე

**გულნარა ყოლბაია**

### სამარგალოს

არწოქ ჯგირი სიტყვა თქუას,
მა სი ქორთხინქ, სამარგალო,
ქიმეუფერე სქანი სკუას,
ქიმეფერე დიდი ცალო.
გნმაზარენქ შორ შარაშა,
დოფხვადუქი ოროფათი,
ჩქიმ ვალი რე ღურა დღაშა
სამრგალოს ქოფცე პატი.
ოღონდ მა სი ვადმოკორდა,
სქანო მინჯანს თოლ ცაშფერი,
სამარგალო, ხვამილ ორდა,
ირო ქორდა ბედინერი.
მუშენ მოკო თეცალ რინა,
მუჟამს ვახიოლენს გური.
მუჟამს ვამარჩქილე ნინა,
ნინა, გემიან, მარგალური.
სქან წესეფიშ, ობირაშიშ
მეორეფე ვორექ ირო,
სქან შარეფიშ, სქნ გვალეფიშ
ტიბ ხელეფიშ გოლუაფირო.

### აფხაზეთის

აფხაზეთიშ ბჟა დო თუთა,
მა თქვა ქგგალეთი,
ჩქიმი დიდებული ხალხი,
ქომიწით, მუჭო რეთი,
მუთ შემლებუ მიგეხვარათ, –
გემუან სიტყვათ, ლექსით,
ასე ხოლო, გაჭირებას,
ვაჟკაცურო რეთი.
ოროფა დო პატივცემა
გურით გილამიღუ,
სქან გემუან დიდალობა,
აფხაზეთი მიღუ.
სიზმარებს სქანდე ვორწყუექუ,
პილუნს ფიქრეფ სქანდე,
სასახელო ქინაპრეფიშ
იწმაძირე ლანდეფ.
სქან უჯგუშ დო უსკვამაში
დიხა ჩქიმო ვარე,
გურის ქდოლუაფუდა,
ჩე მურიცხიშ მხარე.

### სერგეი ესენინი

ბინდმა დაჰკრა, დღეს ეყრება დამე
ყვავილები ეფინება ფერდობს,
საყვარელო, გთხოვ, მიმღერე რამე,
ხაიამი რომ მღეროდა ერთ დროს.
ყვავილები ეფინება ფერდობს.
შირაზს შუქს ფენს მთვარე ნებანება,
ვერ ვაშორებ ამ ვარსკვლავეთს თვალებს,
მე არ მომწონს სპარსთა ჩვეულება, –
სახეს ჩადრით რომ უბურვენ ქალებს,
მე არ მომწონს სპარსთა ჩვეულება.
შეიძლება, თუმცა აღარ ამხელს,
მიტომ ხმარობს ჩადრს სპარსელი ქალი,
სურს დაიცვას მზით დაწვისგან სახე,
რომ ზედ დაგვრჩეს მის ნახვაზე თვალი.
მიტომ ხმარობს ჩადრს სპარსელი ქალი.
კარგო, ჩადრი აიხადო უნდა
და გახსოვდეს ეს მარტივი მცნება:
არ იქნება ქვეყანაზე მუდამ
სიცოცხლის და სიყვარულის ნება.
დაიხსომე ეს მარტივი მცნება.
ჩემო კარგო, ნუღარ რიდობ ამდენს,
თვალსაჩინოდ დაანახვე ყველას,
შენი ლოყა რანაირად ელავს.
ნუ იფარებ, მაშ, სახეზე ბადეს,
შენებრ ტურფას ხომ ბუნება ბადებს.
გულს სხვა მხარე მოენატრა უკვე,
ყვავილები ეფინება ფერდობს
მე გიმღერებ ახლა მასზე უკეთ,
ხაიამი რომ მღეროდა ერთ დროს.
ყვავილები ეფინება ფერდობს.

თარგმნა ფაუსტ ნადარაიამ

# ბიძინა ივანიშვილი: სააკაშვილს დღეს საკუთარი დედაც კი არ მისცემს ხმას!

როგორც სააკაშვილს უყვარს ხოლმე თქმა, ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენციაზე ჯერ არნახული ვითარება სუფევდა. ჟურნალისტები ისე გლეჯდნენ ერთმანეთს ხელიდან მიკროფონს, როგორც არასდროს და არავისთან. ყველაზე მეტად **«ნაციონალური»** არხების ჟურნალისტები აქტიურობდნენ. წინასწარ მომზადებული **"ჩამჭრელი"** კითხვები ერთი ხელით ნაწერს ჰგავდა, სახის მიმიკა და ინტონაციაც – ერთი სარკის წინ ნავარჯიშევს.

ბიძინა ივანიშვილი იმაზე უფრო მშვიდი და მობილიზებული ჩანდა, ვიდრე ამას **"პოლიტიკოსობაზე"** თავგამოდებული **"ნაციონალი"** დეპუტატები ახერხებენ ხოლმე. მათი ბანაკის წევრი ჟურნალისტები თავისივე დეზინფორმაციების შესახებ უსვამდნენ კითხვებს ივანიშვილს, ის კი ღიმილით ურჩევდა, დამშვიდებულიყვნენ, ერთმანეთისთვის ესმინათ და საკუთარი პროფესიისთვის ეცათ პატივი. მისი პასუხებიდან გაირკვა, რომ იგი კარგად არის ინფორმირებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებში, იცნობს **"მეინ-სტრიმს"** და მისი **"წამოკიდება"** არც ისე იოლი ყოფილა. ერთი სიტყვით, მათ, ვისაც იმედი ჰქონდა, რომ მილიარდერი პოლიტიკაში დილეტანტია, მძიმე დარტყმა მიიღეს. ივანიშვილი იმდენად ეფექტიანად იგერიებდა ჟურნალისტთა თავდასხმებს (სწორედ თავდასხმებს, რადგან ეს, მისივე სიტყვებით, **"ზემოდან დავალებული კითხვები იყო და არა ის, რაც ჟურნალისტს უნდა აინტერესებდეთ"**), რომ ვერავინ იფიქრებდა, თუ ეს მისი პირველი და თანაც ასეთი მასშტაბური პრესკონფერენცია იყო.

ბიძინა ივანიშვილმა პრესკონფერენციაზე ფარისევლური პოლიტკორექტულობის გარეშე მოუწოდა ჟურნალისტებს, იყვნენ გულწრფელები და ბრძანებებისგან გათავისუფლდნენ. პირველი შეკითხვა, შეთანხმებისამებრ, **"საზოგადოებრივი მაუწყებლის"** წარმომადგენელმა დასვა, უფრო სწორად, საყვედურებით აავსო ივანიშვილი **"მედიაზე თავდასხმისთვის"**; უსაყვედურა პრესკონფერენციაზე შესვლისას ჟურნალისტების შემოწმებისთვის, დაინტერესდა, მომავალშიც ხომ არ აპირებს ამ მეთოდით ჟურნალისტებთან ურთიერთობას და არის თუ არა ეს ის დემოკრატია, რითაც ივანიშვილს ევროპის გაოცება სურს.

ბიძინა ივანიშვილმა გოგონას უპასუხა, რომ მისი სურვილია, ჟურნალისტი **"ასე არ დაიძაბოს"**, პრესკონფერენციაზე ასეთი **"მომზადებული"** არ მივიდეს, თავისუფალი იყოს და დასვას ის კითხვები, რაც პირადად მას აინტერესებს და არა – რაც დაუკვეთეს.

**"ჩემი მიზანია ნამდვილი დემოკრატიული გარემოს შექმნა, ნამდვილი მედია და არა ის, რასაც წარმოადგენს "პირველი არხი", "რუსთავი 2" და "იმედი". თავი დავანებოთ ერთმანეთის მოტყუებას, თვალებში შევხედოთ ერთმანეთს, გავუღიმოთ და სიმართლე ვთქვათ",** – განაცხადა მან. ივანიშვილი არც იმას მორიდებია, რომ **"იმედის"** ჟურნალისტისთვის ეთქვა: **"იყავით საქართველოს იმედი და არა – სააკაშვილისა"!**

**"მაესტროსთან"** და **"კავკასიასთან"** დაკავშირებით ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, ისინი ობიექტურები უნდა იყვნენ და არა ნახევრად ობიექტურები. **"მე ვიქნები გულწრფელი თქვენს შეკითხვებზე პასუხისას და თქვენც შეეცადეთ, იქნებ დღეს რაღაც ახალს მივაღწიოთ. მე მოვედი არა ვინმეს დასამარცხებლად, არამედ საქართველოს გასამარჯვებლად. მე მოვალე ვარ, ყველას ვუთხრა, რაც ხდება".**

ჟურნალისტის ტირადაზე (ეს კითხვა კი არა, პოზიციის დაფიქსირება უფრო იყო) იმის შესახებ, რომ ივანიშვილმა 2008 წლის ომის დაწყებაზე პასუხისმგებლობა ქართულ მხარეს დააკისრა, მან ასე უპასუხა: **"მოვიშველიებ ტალიავინის მოხსენებას და სპეციალური რეზოლუციის ტექსტს, რომელშიც წერია, რომ ქართულმა მხარემ დაიწყო საომარი მოქმედება. მე შემიძლია დაგიზუსტოთ იმ ქართველებს, ვისაც ეს საწყენად მიგაჩნიათ და შეგახსენოთ, როგორ ვითარდებოდა პროცესი – როგორ იბომბებოდა ლიახვის ხეობა გაუგებარი ფორმირებების მიერ. იმის ნაცვლად, რომ სააკაშვილს მოსახლეობა გამოეყვანა, საერთაშორისო ორგანიზაციები მოეწვია და დაეფიქსირებინა, რაც ხდებოდა, მან დაიწყო რეგიონის გაუაზრებელი დაბომბვა და ეს ფიქსირდება ყველგან".**

**«სამი ტელევიზია ამ ყველაფერს ისე გადმოგვცემს, თითქოს ომი დაიწყო რუსეთმა და გაიმარჯვა საქართველომ. ნუთუ ქართველი ხალხი ასეთი ბრიყვია?!**

**განა არ გვახსოვს, რის შემდეგ წამოვიდა რუსეთისგან დიდი აგრესია? მსოფლიოში ყველამ ყველაფერი იცის, ნუ ვცდილობთ ხალხის გაბრიყვებას. ასეთი იყო სიტუაცია. ასე გვახსოვს ჩვენ და ამას ვერ წაშლიან მეხსიერებიდან, ვერ მოახდენენ ჩვენს ზომბირებას,"** – აღნიშნა ივანიშვილმა.

უკვე მობეზრებულ შეკითხვაზე, არის თუ არა იგი **"კრემლის უკანასკნელი იმედი"**, ივანიშვილმა მშვიდად განმარტა: **"ის, რომ მე კრემლის პროექტი, აგენტი და უკანასკნელი იმედი ვარ, მოგონილია, რადგან ხელისუფლებას ჩემ წინააღმდეგ ხელჩასაჭიდი არაფერი აქვს. კრემლის პროექტი, აგენტი, იმედი – ჩემზე ძირითადი შეტევა ამ კუთხით ხორციელდება. მუდმივად ამ თემას ატრიალებენ და აჟიტირება ხდება, თითქოს მე საქართველოში მტრული განზრახვით ვარ გამოგზავნილი. ამის საპასუხოდ ვთქვი, რომ, 9 წელია, რუსეთში არ ვყოფილვარ, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს საკმარისი პასუხი არ აღმოჩნდა.**

**ასეთ შემთხვევაში, მინდა მოგმართოთ, ქმედებით შემაფასოთ – 20 წლის წინ საქართველოში 450 ტრაქტორი გამოვგზავნე და იქიდან მოყოლებული სიკეთის მეტი არაფერი მიკეთებია. რა გაძლევთ იმის თქმის საფუძველს, რომ მე შეიძლება საქართველოსთვის საშინელება ჩავიდინო? თუ მტრების გეშინიათ, შეხედეთ სააკაშვილს. განა მასში არ ჩანს ის, რაც გინდათ, რომ მე მომაწეროთ?! განა მტრული არაა ამდენი ძალადობა?! გარდა ამისა, ორ კარგ მაგალითს მოვიყვან – კახა ბენდუქიძეს, რომელიც პირდაპირ რუსეთიდან წამოსული მინისტრად დასვეს, და გრიგოლ ვაშაძეს, რომელიც ასევე რუსეთიდან წამოსული დღეს საგარეო საქმეთა მინისტრია. მათ მიმართ რატომ არ დაისვა ეს შეკითხვები?! მინდა მივმართო საქართველოს მოსახლეობას – ჩემზე, როგორც რუსეთის პროექტზე, აგენტზე თუ იმედზე ლაპარაკობენ იმიტომ, რომ ჩემ საწინააღმდეგოდ არაფერი აქვთ ხელჩასაჭიდი. არ არსებობს ჩემ მიერ ჩადენილი არანაირი კანონდარღვევა".**

ბიძინა ივანიშვილმა რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობის აღდგენაზეც ისაუბრა. მისი თქმით, რუსული ბაზარი უაღრესად საინტერესოა და მისკენ მთელი მსოფლიო ისწრაფვის. **"რუსული ბაზარი ჯერ კიდევ რუსეთ-საქართველოს ომამდელ პერიოდში დაიკარგა. სააკაშვილმა თავისი არადიპლომატიური და გაუაზრებელი განცხადებებით მიაღწია იმას, რომ რუსული ბაზარი მარტო საქართველოსთვის დაიკეტა. ეს მოხდა ომამდე. მისი გაუაზრებელი განცხადებების შედეგად საქართველოს მოსახლეობამ უდიდესი ბაზარი დაკარგა. დღეს მთელი მსოფლიო ახერხებს რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებას და ჩვენც უნდა შევძლოთ ეს,"** – აღნიშნა ივანიშვილმა.

მან **"იუკოსის"** ყოფილი ხელმძღვანელის, მიხეილ ხოდორკოვსკის საქმესთან დაკავშირებით **"გულშემატკივრულ"** კითხვასაც უპასუხა და აღნიშნა, რომ ამ საქმის დეტალებს უშუალოდ იცნობს. **"ცივილიზებულმა სამყარომ გვიან დაიწყო ამ საკითხის განხილვა. მე კარგად ვიცი, რომ აუქციონის გამართვისას, დასაწყისშივე იყო დიდი შეცდომები. თუმცა, ხოდორკოვსკი შერჩევითად დაისაჯა, რაც მართებულად არ მიმაჩნია".**

არაერთი ჟურნალისტი დაინტერესდა ივანიშვილის შემდგომი ნაბიჯებით მოქალაქეობის ჩამორთმევის შემდეგ. **"მოქალაქეობა უკანონოდ ჩამომართვეს, მაგრამ ვერ ჩამომართმევენ ქართველობას და სამშობლოს სიყვარულს, რომელიც ძალიან დიდია,"** – განაცხადა მან.

მისივე თქმით, მიხეილ სააკაშვილის ვერანაირი ქმედება, ვერც კანონიერი და ვერც უკანონო, მას ვერ შეუშლის ხელს, **"მივიდეს არჩევნებამდე". "არჩევნებზე კი, გარწმუნებთ, რომ შევცვლით მთავრობას".**

ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ თანამშრომლობას ყველა ოპოზიციურ პარტიასთან აპირებს, თუმცა თანამშრომლობა არ ნიშნავს გაერთიანებას. იგი საკუთარ გუნდში აქცენტს ახალ სახეებზე აკეთებს. ჟურნალისტები დაინტერესდნენ, ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, ივანიშვილის თანაგუნდელები და ახლობლები ხომ არ ისარგებლებენ ხელშეუხებლობის იმუნიტეტით. ამის იმედი ივანიშვილმა ძირშივე მოსპო: **"არავინ დაიზოგება, არც ერთი ჩემი თანამოაზრე არ მიიღებს ინდულგენციას. ვიქნები დაუნდობელი ელიტურ კორუფციასთან ბრძოლაში. არ დავუშვებ არავითარ კორუფციას და მასთან ბრძოლა უმაღლესი ეშელონებიდან დაიწყება. უპირველეს ყოვლისა, ელიტური კორუფცია უნდა აღმოიფხვრას,"** – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

მმართველი გუნდის სიხარულს ნამდვილად ვერ გამოიწვევდა ივანიშვილის განცხადება იმის შესახებ, რომ პარლამენტში უმრავლესობით მოსვლის შემთხვევაში იგი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის იმპიჩმენტის საკითხის დაუყოვნებლივ დაყენებას აპირებს: **"მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილმა კონსტიტუცია მაქსიმალურად მოირგო საკუთარ თავზე, პარლამენტში უმრავლესობით მოსვლით მყისიერად დავიწყებთ მისი იმპიჩმენტის საკითხის განხილვას, თუ თვითონ ვერ მოახერხებს განცხადების დაწერას".**

ამ უპრეცენდენტოდ ხალხმრავალი და მღელვარე პრესკონფერენციის ტრანსლაცია, დაპირებული 40 წუთის ნაცვლად, თითქმის ორ საათს გაგრძელდა. მმართველი პარტიის მაღალ-დაბალი ეშელონები ტელეეკრანებსა და კომპიუტერებს არ მოშორებიან.

საქართველოს საპარლამენტო უმრავლესობის დაზაფრულმა წევრმა ვახტანგ ბალავაძემ ბიძინა ივანიშვილის სახით **"პუტინის მესიჯების ასე ღიად გამხმოვანებელი პირველად ნახა"**.

მისი თქმით, ქართულ საზოგადოებას ბევრი პოლიტიკური ძალა ახსოვს, რომლებიც რუსულ ინტერესებს ემსახურებოდნენ, მაგრამ **"ასეთი ღია"** არ უნახავს.

**"მან არამარტო ომში დაგვადანაშაულა, არამედ ემბარგოშიც. მე ვურჩევდი, დაელაპარაკოს იმ ადამიანებს, ვინც გამოყარეს რუსეთიდან, მაშინ, როდესაც თავად იქ მშვიდად იყო და მილიონებს და მილიარდებს შოულობდა პუტინთან ერთად,"** – განაცხადა ბალავაძემ. მან კიდევ ერთხელ მიმართა ივანიშვილს, რომ **"ქართული საზოგადოება ფულზე, განსაკუთრებით, რუსულ ფულზე არ იყიდება"**.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა პავლე კუბლაშვილმა კი ჟურნალისტებს განუცხადა, რომ თავდაპირველად პრესკონფერენციას თვალყურს ადევნებდა, მაგრამ მისი მოსმენა აღარ გაუგრძელებია მას შემდეგ, რაც ივანიშვილმა თქვა, რომ ომი საქართველომ დაიწყო (რა თქვა სინამდვილეში ივანიშვილმა, შეგიძლიათ ზემოთ წაიკითხოთ). რაც შეეხება ტალიავინის დასკვნას, რომელიც ივანიშვილმა მოიყვანა არგუმენტად და რომელიც, საქართველოს ხელისუფლების მიერაც არის მოწონებული, კუბლაშვილი აცხადებს: **"მან თქვა, ასე წერიაო, სინამდვილეში იქ სხვა რამ წერია. მან ისე თქვა, როგორც თვითონ უნდოდა"**. ამაზეა ნათქვამი, **"ჩემი შენ გითხარიო"**!

ამ ორ **"უმრავლესს"** არც შოთა მალაშხია ჩამორჩა: იგი ბიძინა ივანიშვილში საქართველოს მტერს ხედავს, ოღონდ რატომ აიგივებს საკუთარ თავს საქართველოსთან, უცნობია.

მისი აზრით, მხოლოდ საბჭოთა მენტალიტეტის ადამიანს შეუძლია თქვას, რომ საქართველომ დააწესა ემბარგო და რომ ხოდორკოვსკისთან დაკავშირებით საქმე არც ისეა, როგორც მსოფლიო ლაპარაკობს.

**"არაფერზე პასუხი არ აქვს. არ იცის, როგორი იქნება საგადასახადო სისტემა. არ იცის, როგორ მოხდება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. არ იცის, ავღანეთში გაუშვებს თუ არა ჯარს, ნატოსთან როგორ ითანამშრომლოს და ა.შ.,"** – განაცხადა მალაშხიამ და დასძინა, რომ ივანიშვილი შეკითხვებს ვერ იტანს და სურს, ისეთი კითხვები დაუსვან, რაც თავად აწყობს. მალაშხია დარწმუნებულია, რომ ბიძინა ივანიშვილს ხელისუფლებაში მოსვლის თეორიული შანსიც არ აქვს.

ეჰ, ისტორიულ ძნელბედობას რა ვუთხრათ, თორემ მალაშხია პირველია იმ სიაში, რომლის წარმომადგენლებსაც ქართულ პოლიტიკაში არაფერი ესაქმებათ! თუმცა მას რას ვერჩით, როცა საპარლამენტო უმრავლესობის უმრავლესობა სწორედ ამგვარია!

**P.S.** *პრესკონფერენციის კულმინაცია ის მომენტი აღმოჩნდა, როდესაც ბიძინა ივანიშვილმა სრული სერიოზულობით განაცხადა: «მათ აქვთ მექანიზმები და ემზადებიან ტოტალური გაყალბებისათვის... ნუ აქვთ ილუზია, ნუ აქვს იმის განცდა სააკაშვილსა და მის გარემოცვას, რომ მოხდება რამე მსგავსი. რეალობა მე ასე წარმომიდგენია რომ სააკაშვილს დღეს საკუთარი დედაც კი არ მისცემს ხმას, საკუთარ გარემოცვასაც აღარ სჭირდება დღეს სააკაშვილი!" დარბაზის დიდი ნაწილი ამ სიტყვებს ტაშით შეხვდა, თუმცა კუბლაშვილს, ბალავაძეს, მალაშხიასა და მისთანებს ეს ან არ მოუსმენიათ, ან სააკაშვილისთვის დედის მაგივრობის გაწევას აპირებენ.*



## ბიძინა ივანიშვილის პასუხი „საქართველო და მსოფლიოს“ შეკითხვაზე

ბიძინა ივანიშვილი საქართველოს გეოპოლიტიკურ კურსთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღებას მარტო არ გეგმავს. ამის შესახებ ბიზნესმენმა საკუთარ რეზიდენციაში დღეს გამართულ პირველ პრესკონფერენციაზე განაცხადა. ამ განცხადებით ივანიშვილმა „საქართველო და მსოფლიოს“ შეკითხვას უპასუხა, – თუ როგორ აპირებს ივანიშვილი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კავკასიაში, უფრო კონკრეტულად კი, საქართველოში რუსეთის, თურქეთის და ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესების დაბალანსებას მას შემდეგ, რაც ამერიკამ ძალიან დიდი ფული ჩადო ამ რეგიონში და მისი ინტერესებიც შესაბამისად გაიზარდა.

„დიდი მადლობა ამ მნიშვნელოვანი შეკითხვისთვის. ეს მართლაც არ არის კითხვა ბეღურებზე და პინგვინებზე, თუმცა ვეცდები ვუპასუხო. ჩვენი გუნდი, სადაც აუცილებლად იქნებიან ექსპერტებიც, ამ საკითხზე ერთად ვიმუშავებთ. ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს, როგორც ამას მიჩვეულები ვართ, ჩემგან ნუ ელით. საქართველოში არსებობენ სპეციალისტები კავკასიის დარგში. საბედნიეროდ, გვყავს პოლიტოლოგები და ანალიტიკოსებიც, რომლებიც გეოპოლიტიკაშიც კარგად ერკვევიან. გარწმუნებთ, მეც საკმაოდ კარგად ვერკვევი იმისათვის, რომ ანალიზი გავაკეთო. უნდა მოვახერხოთ, ჩვენი ადგილი ვნახოთ ისეთ რთულ სისტემაში, როგორიცაა კავკასიაში ამერიკის, რუსეთისა და თურქეთის ინტერესების დაბალანსება, საქართველოს პოზიცია და ინტერესები. ეს იოლი ნამდვილად არ იქნება, თუმცა ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ამას შევძლებთ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ვალმოხდილი აღმსარებელი ამბროსი"



**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ამბროსის ცხოვრება და მოღვაწეობა. პუბლიკაცია ხორციელდება საქართველოს საპატრიარქოს ჭყონდიდის ეპარქიის მთავარეპისკოპოსის მეუფე პეტრეს თანადგომით. მიძღვნილი პატრიარქ ამბროსის დაბადების 150 წლისთავისადმი.**

*„1995 წლის 18-19 სექტემბერს სვეტიცხოვლის საპატრიარქოს ტაძარში შედგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებული საეკლესიო კრება, რომელიც გახსნა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ. პატრიარქმა კრების მონაწილეებს ამცნო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის ისტორიული გადაწყვეტილება ერისა და ეკლესიის წინაშე დამსახურებისათვის უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი შერაცხილ იქნა წმინდანთა დასში "ამბროსი აღმსარებლის" სახელით და მისი ხსენების დღედ დაწესდა 16 (29) მარტი".*

როცა ღამემ იმძლავრა, ბნელით შეიმოსა გარემო, როცა მაღალი მთები და ხშირი ტყეები მრუმემ შთანთქა, ვარსკვლავნი ცაზე დასხდნენ. მამა-შვილმა ისევ განაგრძო საუბარი.

ცხადია, შვილებს სურდათ ახლოს ყოლოდათ მზრუნველი მამა. ამბროსის კი არ შეეძლო მათ გვერდით მუდმივად ყოფნა. ასე ხდებოდა ღმრთისმსახურების წესიდან და კანონიდან გამომდინარე. უდაბნოში, ქართველ მართლმადიდებელ მრევლთან, ქართულად უწევდა წირვა-ლოცვის ჩატარება და ეს ხიბლავდა ყველაზე მეტად. დასავლეთ საქართველოს ბევრ ტაძარ-მონასტრებიდან განსხვავებით აქ გალობა და ყოველგვარი ღმრთისმსახურება მშობლიურ ენაზე აღევლინებოდა. ეს გვრიდა კმაყოფილებას და კიდევ ის, რომ მოსახლეობა მადლიერი იყო, გამოექომაგა მის კეთილშობილურ საქმიანობას.

ნინო და ალექსანდრე იმ ასაკში იყვნენ, როცა თვითონ სწყვეტენ საკუთარი ცხოვრების ბედს. თუმცა მშობლიური რჩევა ზედმეტი არასდროსაა. ამ პრინციპით ხელმძღვანელობდა ამბროსი. როცა ნინომ ცხოვრებაზე და ბედისწერაზე ჩამოაგდო საუბარი მამამ ასე მიუგო.

– ღმერთმა ადამიანს თავისუფალი ნება მიანიჭა, მასზეა დამოკიდებული რას მოიმოქმედებს. ცოდვას ჩაიდენს თუ მადლს იქმს.

– ბაბა, ჩემს დედას ბედისწერის უკუღმართობამ უწია ასე მწარედ?

არქიმანდრიტი სავარძელზე შესწორდა და ჩვეული სიდინჯით მიმართა:

– შენ და ალექსანდრეს გახსოვთ დედა, ანის არაფერი მოაგონდება. უბედურებაა ეს ნამდვილად, რომ განვსაზღვროთ თუ რამდენად არის ჩვენი ცხოვრების წარმართვა რაღაც ბედზე თუ ბედისწერაზე დამოკიდებული, უნდა გითხრათ, რომ ეს მთლიანად ღმერთის ნებაა. რადგან თვითეული ჩვენთაგანი ბრმა იარაღი არა ვართ ბედისწერის წინაშე. ღმერთის კაცთმოყვარეობა იმაში გამოიხატება, რომ ადამიანს, როგორც უკვდავი სულის მქონეს და გონიერ არსებას, თავისუფლებას ანიჭებს. წმინდა ეკლესია გვასწავლის, რომ თუ ბედისწერა განაგებს ჩვენს ყოფას მაშინ ადამიანს არც სჭირია შრომა და მოქმედება. წმინდა მამები გვმოძღვრავენ, რომ **„თუკი ცუდს და კარგს ბედი აყოლიებს მაშინ, რატომ არიგებ და აძლევ რჩევას ბავშვებს? თუ ბედი აქცევს კაცს ღარიბად და მდიდრად, ნუ გზავნი შვილს სასწავლებლად ან ნუ აძლევ ფულს. ნუ ცდილობ გამდიდრდე, საქმე ბედს მიანდე".**

ნინო და ალექსანდრე, საფუძვლიანად ერკვეოდნენ ბიბლიაში, ღმრთმსახურების თითქმის წვრილმანებში. მონასტერში ყველაფერი მახლობელი იყო მათთვის. ამიტომ გრძნობდნენ თავს თავისუფლად. მათ იცოდნენ, რომ პიროვნებას სიმშვიდის შენარჩუნება ესაჭიროება და ღირსეულად მოქცევა. ერთი შეხედვით რაც ჩვენს ირგვლივ ხდება, თითქოს ბედისწერით არის განსაზღვრული და ადამიანს არაფრის შეცვლა არ შეუძლია.

ნინო და ალექსანდრე ერთ კვირაზე მეტი დარჩნენ ჭელიშში. მამამ მათ გააცნო და მოუთხრო მონასტერში აღმოჩენილი განძეულობის შესახებ. განუმარტა, რომ წერილებისა და ხელნაწერების შეკინძვა-დამუშავება აუცილებელია, რადგან ისინი შეიცავენ ისტორიული ღირებულების ცნობებს, რომ რაჭაში ბლომადაა საეკლესიო ძვირფასეულობა, რომელთაც მოვლა სჭირიათ.

გამოთქვა სურვილი ჭელიშის მონასტერს დაუბრუნოს ძველი ფუნქცია და იგი აქციოს ისევ სასულიერო განათლების ცენტრად.

მამა ამბროსი მალე დარწმუნდა, რომ მას ხელთ ეპყრა **„ქართლის მოქცევის"** ჭელიშური ვარიანტი ხელნაწერისა. მისი ვარაუდით ქართლის მოქცევის ქრონიკა შედგენილი უნდა ყოფილიყო VII საუკუნეში სხვადასხვა ძველი ხელნაწერების საფუძველზე, ხოლო აღმოჩენილი ხელნაწერი მისი პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით XII-XIV საუკუნეს ეკუთვნოდა, და გადაწერილი იყო დაახლოებით XI საუკუნის დედნიდან.

შეადარა იგი შატბერდულ ვარიანტს და მივიდა დასკვნამდე, რომ ჭელიშური ხელნაწერი უფრო ვრცელია.

არქიმანდრიტმა აღნიშნული ხელნაწერი წარუდგინა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოებას და მათგან მიიღო ნებართვა დაემუშავებინა და საკუთარი წერილობითი დასკვნა წაეკითხა საზოგადოების კრებისათვის.

დავალების შესრულებას მამა ამბროსი ჩვეული მონდომებით შეუდგა. ამასთან იგი კვლავ მოგზაურობდა რაჭის სოფლებში აღწერდა სიძველეებს, ხატებს, კედლებზე წარწერებს და საგანგებო გამოცემისთვის ამზადებდა.

**„ენა აქვს მჭრელი და მეტად განათლებულია, რომ არ ეგონათ იმგვარად აღორძინა ჭელიშის დანგრეული და თითქმის მიტოვებული ტაძარი ღვთისმშობლის სახელობისა. ამ მხარეში მოიპოვა იმნაირი ავტორიტეტი, მასზე ლექსებს თხზავენ და საარაკო ამბებს ყვებიან..."**

ამგვარი ცნობები გროვდებოდა და დედაქალაქშიც იგზავნებოდა, საჭირო იყო რაიმე ზომების მიღება.

ამ დროს, ანუ 1904 წლის **„ცნობის ფურცელი"** იუწყება, **"როგორც მკითხველი უწყის, დაიხურა ქუთაისის სასულიერო სემინარია, საქართველოს დასავლეთ ნაწილის სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებულთა უმრავლესობამ წელს მიატანა ტფილისს".**

როგორც დედაქალაქში, ისე რეგიონებში მძლავრად იკიდებდა ფეხს მოძრაობა ავტოკეფალიის აღდგენისათვის.

1905 წლის 16-22 მარტს ქუთაისში ჩატარდა იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების წარმომადგენელთა კრება, რომელსაც ესწრებოდა ეპისკოპოსი ლეონიდე, სადაც მიიღეს პეტიცია საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ.

როგორც საქართველო-იმერეთის სინოდური კანტორის წევრი, არქიმანდრიტი ამბროსი თვალსა და ყურს არ გამოჰპარვია ამგვარი აქტი.

საეკლესიო დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ნაწილობრივ გააქტიურდა თერგდალეულთა მოღვაწეობის ჟამს. ბოლო დროს ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ შეიძინა ახალი იმპულსი. პრესაში ქვეყნდება ეროვნული სულისკვეთებით გაჟღენთილი წერილები.

ეროვნულ-სარწმუნოებრივი თავისუფლება გახდა ქართველი ხალხის საუკეთესო ნაწილის იდეალი და მთავარი მოწოდება. ამ იდეის ერთგული და აქტიური მონაწილე გახდა არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია, რომელიც ადიდებდა გაბრიელ ქიქოძისა და ალექსანდრე ოქროპირიძის იდეებს.

ალექსანდრე ოქროპირიძემ ყაზანის აკადემია დაამთავრა 1862 წელს, როცა ამბროსი მხოლოდ ერთი წლის იყო, იგი ეპისკოპოსად იქნა ხელდასხმული. 1898 წლიდან გურია-სამეგრელოს მთავარეპისკოპოსია, იგი უკვე ასაკში იყო, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მომხრე იყო ავტოკეფალიის აღდგენისა. თავის დროზე გაილაშქრა მცდარი იდეის წინააღმდეგ, თითქოს მეგრელები ქართველები არ ყოფილიყვნენ. იგი დიდი ხანი არ დარჩენილა ეპისკოპოსად, გაემგზავრა შიო მღვიმის მონასტერში და იქიდან ახერხებდა მოქმედებას.

მისაბაძი იყო გაბრიელ ეპისკოპოსის საქმიანობა. მისი ცხოვრების პრინციპი გახლდათ **„ყველაფერი სარწმუნოებისათვის და არაფერი საკუთარი თავისათვის".** იგი იყო აქტიური მონაწილე ყველა იმ თაოსნობისა, რაც მაშინ საქართველოში მიმდინარეობდა. როცა რუსი ეგზარქოსები აცხადებდნენ, ქართული გალობა სარწმუნოებრივ გრძნობას ხელს უშლისო, გაბრიელმა მათ **„გონებასუსტნი"** უწოდა. ნიკო ნიკოლაძის სიტყვებით **„იგი იყო ჩვენი დროის ერთ-ერთი ღირსეული ფიგურა, მთლიანი და უნაკლო".**

კირიონისა და ამბროსის მრწამსი, საეკლესიო მოღვაწეობა და შინაგანი პათოსი საოცრად გავს ერთურთს.

სწორედ ახალი თაობის მღვდელმთავართა ინიციატივით 1905 წელს თბილისში, სასულიერო სემინარიის ძველ შენობაში ჩატარდა სამღვდელოების წარმომადგენელთა ყრილობა, როცა იმპერიის ხელისუფლებას ეგონა, რომ ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნა არ გასცდებოდა მეცნიერული პოლემიკის ფარგლებს. ყრილობაზე მწვავედ და კატეგორიულად დადგა საკითხი ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენისა.

ეპისკოპოსი კირიონი, ლეონიდე, არქიმანდრიტი ამბროსი, დეკანოზები კალისტრატე, ქრისტეფორე, და ნიკიტა და სხვებმა მოითხოვეს და ყრილობას მიაღებინეს სპეციალური პეტიცია, არქიმანდრიტმა მოითხოვა, რომ მსვლელობა მოეწყოთ მთავარანგელოზის სასახლისაკენ და ამით გამოეხატათ ივერიის ეკლესიას კანონიერი უფლებების აღდგენა.

ყრილობის მოწოდება ასეთი იყო **„მხოლოდ თავისუფალ, თვითმმრთველ ეკლესიას ძალუძს დაიცვას წმინდა რწმენა თავის თავში და მთლიანად ფლობდეს აუცილებელ ხმას თავის მაღალ ღვთაებრივ ცნობასა, რომლისაგანაც აალდება ადამიანთა გულები".**

ყრილობამ იხელმძღვანელა იმით, რომ **„ჯერ ერთი, ივერიის ეკლესია კანონიკურად გახლავთ ავტოკეფალური, ვინაიდან არ ყოფილა კრების დადგენილება მისი გაუქმებისა და არც შეიძლება ყოფილიყო. ამიტომ ივერიის ეკლესიის დაუბრუნდეს ავტოკეფალური უფლებები და თავისი კათალიკოსითურთ აღდგეს მცხეთა-ივერიის საკათალიკოსო ადრინდელ საზღვრებში".**

მესამე და მეოთხე მოთხოვნა იყო: 1. კათალიკოსთან დაფუძნდეს წმინდა სინოდი ხოლო ეპარქიის მღვდელმთავრებთან საბჭოები. წმინდა სინოდის ხელში მოექცეს ყველა ეკლესია-მონასტერი.

იყო ამგვარი მოთხოვნა. ივერიის ეკლესიას დაუბრუნდეს ყველა საეკლესიო მამული. პეტიციას ხელს აწერდა 412 მღვდელმსახური.

ყრილობის მონაწილეები საეკლესიო დროშებითა და ხატებით გაეშურნენ გოლოვანოვის პროსპექტზე მეფისნაცვალის სასახლისაკენ.

ქართველმა ინტელიგენციამ ფართოდ დაუჭირა მხარი სამღვდელოების კანონიერ მოთხოვნებს. დაიწყო გაზეთში პუბლიკაციების ბეჭდვა.

1905 წლის 24 ენკენისთვეს ქართველი მოღვაწეები ი. ჭავჭავაძე, ნ. ცხადაძე, ვ. ყიფიანი, ი. გოგებაშვილი და სხვები წერილს უგზავნიან ფოთში, ქალაქის თავს ნიკო ნიკოლაძეს, რათა სასწრაფოდ ჩამოვიდეს თბილისში და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხებზე დეპუტაცია გაგზავნონ მეფისნაცვალთან.

რაც შესრულდა კიდეც. ზემოთ ხსენებულმა პირებმა შეადგინეს წერილი ხელმოწერებით.

**„მოწყალეო ხელმწიფე ნიკოლოზ იაკობის-ძევ!**

**მოგახსენებთ, რომ საქართველოს სამღვდელოებამ და ინტელიგენციამ წარუდგინა მთავრობას პეტიციები, რომ ჩვენს ეკლესიას დაუბრუნდეს ავტოკეფალია..."** – წერილი მთავრდებოდა სიტყვებით – **"თუ თქვენი ჩამოსვლა ყოვლად შეუძლებელია, იმ შემთხვევაში, თქვენი მოადგილე გამოაგზავნეთ".**

იმავე წლის 11 ღვინობისთვეს კავკასიის ახლადდანიშნული მეფისნაცვალ ვორონცოვი ჩამოვიდა და ავტოკეფალიის საკითხზე დეპუტაციას შეხვდა. მეფისნაცვალს სურდა თავიდანვე დაემკვიდრებინა სამართლიანი ხელისუფალის იმიჯი.

## პირველი გადასახლება

გადასახლება მძიმე სასჯელია.

სინოდის გადაწყვეტილებით არქიმანდრიტი ამბროსი ნოვეჩერკასკის მახლობლად **„უსტმედვედიცას"** სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად განამწესეს.

რკინიგზიდან მოშორებული, მძიმე პირობების მქონე ალაგი თითქმის ხელფეხს უკრავდა, აქტიურ, ინიციატივიან მღვდელმსახურს. რადგან მოსწავლეებთან ურთიერთობის საკმაოდ გამოცდილება რომ ჰქონდა ეს საოცრად გამოადგა. უმჯობესი იყო ენერგია და გამოცდილება ქართველი ახალგაზრდების წვრთნაში დაეხარჯა, მაგრამ ამ ეტაპზე ეს არ ხერხდებოდა.

ბედს დაემორჩილა და შორეულ გზას გაუდგა.

უსტმედვედიცა დაბის ტიპის დასახლება აღმოჩნდა. სასულიერო სასწავლებელი მართლმადიდებლური მონასტრის ბაზაზე იყო დაარსებული.

ახალ ზედამხედველს ოროთახიანი საცხოვრებელი დაახვედრეს. საკმაოდ კეთილმოწყობილი.

ზედამხედველს ევალებოდა თვალყური ედევნებინა გაკვეთილების მსვლელობისთვის, იმისთვის, რომ დასვენების დროს დერეფანში და კლასებში სიწყნარე და წესრიგი ყოფილიყო. დაინტერესებულიყო მოსწავლეთა მეცადინეობით, იკვლევდა მასწავლებლებისა და მოსწავლეებს შორის ინციდენტს. ესწრებოდა ლოცვებს, სადილს და ასე შემდეგ.

სადილის შემდეგ ხუთ საათამდე მოსწავლეები თავისუფლები იყვნენ, შეეძლოთ წასვლა, სადაც სურდათ, მაგრამ ზუსტად ხუთ საათზე ზარი ირეკებოდა და ყველანი გაკვეთილებზე უნდა გამოცხადებულიყვნენ. ხდებოდა მათი შემოწმება. ვინც დაიგვიანებდა მათ პასუხს სთხოვდნენ.

არიქმანდრიტ ბესარიონს გაკვეთილების ჩატარების უფლება არ ჰქონდა, მაგრამ არც მოდუნებისა და ყურადღების შესუსტება შეეძლო. თავისუფალი დრო პრაქტიკულად არ რჩებოდა. და თუ ასეთი ექნებოდა ლოცვასა და წიგნები კითხვაში ხარჯავდა.

ახალი გარემოს შეჩვევამ და სასწავლებლის კოლექტივთან დაახლოებამ გარკვეული დრო მოინდომა. რექტორი დეკანოზი იყო. ამაყი ვინმე. დერეფანში იშვიათად გამოდიოდა. მასწავლებლებისაგან შორს ეჭირა თავი. სასწავლებლის ინსპექტორისა და ზედამხედველს ყოველდღე მოიხმობდა და მკაცრ დარიგებებს აძლევდა.

როცა გაიგო, რომ ამბროსი უკვე გამოცდილი ღვთისმსახური და პედაგოგი იყო, მის მიმართ კეთილად განეწყო. მოსწონდა რომ ზედამხედველი თავისუფლად მსჯელობდა როგორც სასწავლოაღმზრდელობით პროცესზე, ასვე საეკლესიო და რუსეთის კულტურულ ცხოვრებაზე. გააჩნდა სადი ანალიზის უნარი. უპირატესობას მოსწავლეთა ინდივიდუალური მიდგომას ანიჭებდა.

ამბროსი ამ სასწავლებელში პირველი ქართველი აღმოჩნდა. ამიტომ მისდამი განსაკუთრებული დამოკიდებულებას ავლენდნენ. რექტორი საქართველოში ნამყოფი არ იყო, კავკასიაზე მხოლოდ წაკითხულით და მონათხრობით მსჯელობდა, ამიტომ ქართველ ბერთან საუბარი იზიდავდა, მით უფრო გრიბოედოვის ცხოვრებასა და ლიტერატურულ მემკვიდრეობას აფასებდა. იცოდა მისი მეუღლის, ნინოს სიყვარულის ისტორია. ისიც, რომ მიმზიდველია აზიური ბაზარი, აქლემების ქარავანი, დახლებზე დახვავებული საქონელი.

ზამთარი მკაცრი დადგა.

ცივი და უხვთოვლიანი.

თეთრად გადაიპენტა ხე-ბუჩქები, სახლები, მინდორ-ველები.

იტყვიან ზამთრის მოკლე დღები გარბიანო. ამბროსისთვის ეს ნუგეშისმომცემი ვერ იყო. მართლაც გარბოდა მოკლე დღეები, მაგრამ მას გრძელი და ძალიან ცივი ღამეები მოყვებოდა. თუ დღე საკმაოდ იხარჯებოდა, თუმცა არა იმდენად, რომ ბალიშზე თავისდადებისთანავე ჩასძინებოდა.

ლოცვები, უფალზე და სამშობლოზე მოუშორებელი ფიქრი. აი, მისი ძირითადი საზრუნავი.

**ბორის დავითაია,**

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

# კოლხეთი - კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი



იბერიადა იწყება კოლხეთით, კოლხეთშია ქართული და მსოფლიო ცივილიზაციის სათავე.
პროფ. *ლევან სანიკიძე*
"...დღეს მეცნიერების მიერ დადგენილი ყველა ხანა, ქვის ხანის გარდა, შექმნილი ყოფილა ბანანური ენის მატარებლის ხალხის ნამოღვაწარის საფუძველზე." – წერს ბ. *სოფია.*

**"...დღეს მეცნიერების მიერ დადგენილი ყველა ხანა, ქვის ხანის გარდა, შექმნილი ყოფილა ბანანური ენის მატარებლის ხალხის ნამოღვაწარის საფუძველზე."** – წერს ბ. სოფია.

ამერიკელი უფოლოგების აზრით, კაცობრიობამ **„ცხოვრება ისწავლა"** ძველი შუმერებისაგან, რომლებიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 5500 წლის წინ ცხოვრობდნენ. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ მათ თიხის ფირფიტებზე ყველაფერი წერია ჩვენი წარმოშობის შესახებ და ყველაფერზე ამომწურავ ცნობებს ფლობდნენ. ამერიკელი მეცნიერთა აზრით შუმერთა ნახატებში ჩანს ობიექტი, რომელიც უცხოპლანეტელთა ხომალდია და, ეს უცხოპლანეტელები მართავდნენ შუმერებს.

ამ ნახატ-ასოებისგან გაირკვა, რომ შუმერებს თურმე ყველაფერი **„აუნაკის"** კულტურისგან ისწავლეს და მთელ მსოფლიოს გაუზიარეს. **„ანუ ნაკი"** ციდან დაშვებულს ნიშნავს და სწორედ ქალაქ ერედუში ციდან დაეშვა პირველი სამეფო ხელისუფლება.

სწორედ იმ პერიოდში 5500 წლის წინ და უფრო ადრეც, – წერს ბ.სოფია, – აღნიშნულ ტერიტორიებზე მეგრულ-ლაზურ (ქართულ) ენაზე მოლაპარაკე ხალხები ცხოვრობდნენ. ამას ბევრი სხვა მეცნიერიც ამტკიცებს. სწორედ უძველეს ქალაქ ურისთან ახლოს მდებარეობს მსოფლიოს უძველესი ძეგლი, მთვარის ღმერთის ნანას (მეგრელთა ღმერთი) ტაძარი, რომელიც აგებულია ჩვენს წელთაღრიცხვამდე ოცი საუკუნით ადრე.

უკანასკნელ პერიოდში ცნობილმა უცხოელმა მეცნიერებმა (ასევე ცნობილია ინტერნეტით) გამოაქვეყნეს მასალები სათაურით: **„უცნობი ქართველური ენა და მესოპოტამიაში ქართული დინასტიის მმართველობის 600 წლისთავი"**. ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი იური მოსენკისი წერს: **„ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში ცნობილია კასიტების (კოსების, კისების) ტომი. ამ ტომის სახელწოდებას ნიკო მარი უკავშირებდა ქართულს – კაცი, მეგრულ-ჭანურ კასი, ბასკურ კისონ (წესით კიზონ) „კაცი"-სთან, აქ შეიძლება დაემატოს კიდევ სიტყვა კისონ ძველი აკვიგანიური წარწერებიდანაც (გასკონია)."**

კასიტური ენიდან დარჩა სულ ასამდე სიტყვა მაგრამ შედარება ქართველურთან და ბასკურთან გვაძლევს მნიშვნელოვან შედეგებს. ი. მოსენკისი ასკვნის: **„შეიძლება გარკვევით ვივარაუდოთ, რომ კასიტური ენა კიდევ ერთი უძველესი ენაა ქართველური ოჯახისა. მის მატარებელთა დინასტია მართავდა ბაბილონს XVIII საუკუნის შუაწლებიდან XII საუკუნის შუაწლებამდე ძველი წელთაღრიცხვით."**

აქედან და სხვა მრავალი მასალიდან, წყაროებიდან გამომდინარე, კეთდება უტყუარი ლოგიკური დასკვნა: ისევე როგორც სხვა გარკვეული ტერიტორიები, მესოპოტამია, ბაბილონი, ოთხი ათასი და უფრო დიდი ხნით ადრე კოლხურად იმართებოდა და მმართველობა ხდებოდა კოლხურ ენაზე.

ასევე მსოფლიოს მკვლევარებმა, არქეოლოგებმა, უკანასკნელ პერიოდში მოახდინეს (აგრეთვე ინტერნეტით) მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის აღმოჩენები. აქ, აღსანიშნავია ალექსანდრე ვოლკოვის ნაშრომი **„ჭიპლარის მთის სამლოცველოს გამოცანები"**.

1995 წელს თურქეთის სამხრეთ აღმოსავლეთით, გიობეკლი-ტეპეს მიდამოებში დაიწყო მსოფლიოში უძველესიძეგლების მშენებლობა. სამლოცველოები აგებული იყო ნეოლითის ეპოქაში. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ მონადირეები და **„ველურები ველურებს"** შორის – აგებდნენ ტაძრებს. განსაკუთრებით წარმოუდგენელია იქ აღმოჩენილი ძველებური სიმბოლოები, რომლებიც ძალიან გვანან დამწერლობას. მაგრამ მეცნიერები გაკვირვებულნი არიან, როგორ შეიძლებოდა 11 ათასი წლის წინ დამწერლობა ყოფილიყო?!

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სამლოცველო ტაძარი არქეოლოგებისათვის შენახული იყო იდეალურ მდგომარეობაში.

გიობეკლი-ტეპე ეს არის 15 მეტრამდე სიმაღლისა და დაახლოებით 300 მ. დიამეტრის შიშველი ბორცვი, რომელიც მდებარეობს თურქეთის სამხრეთ აღმოსავლეთით ტიგროსისა და ევფრატის სათავეებში. გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული (ხელმძღვანელი კლაუს შმიდტი) ექსპედიციის მონაწილეები გათხრებს შეუდგნენ 1995 წ. და აი პირველი მოულოდნელობა – ნიადაგის თხელი ფენის ქვეშ იმალებოდა ქვის საუკუნე. გათხრების დაწყებისთანავე არქეოლოგებმა აღმოაჩინეს კედლები და კირქვის T-სებრი სვეტები. მათი ზედაპირი შემკობილი იყო რელიეფებით, რომლებზეც გამოსახული იყვნენ ცხოველები. იქ შეიქმნა ქვის საუკუნის **„მთელი ზოოპარკი"**. იმ ეპოქაში მსგავსი სილამაზისა და დახვეწილობის არაფერი არსებულა. ძეგლები მიეკუთვნებოდნენ ნეოლითის ადრეულ პერიოდს – ჩვ.წ. აღმდე დაახლოებით X ათასწლეულს. მაგრამ არქეოლოგიური მონაპოვრები მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. გათხარეს ოთხი წრიული ნაგებობა, რომელთა კედლების გასწვრივ და ცენტრში აღმართული იყო თითქმის 4 ათეული მონოლითური სვეტი, რომელიც იწონიდა 20 ტ-მდე.

როგორც მკვლევარები აღნიშნავენ ყველაზე მსხვილი – ცენტრალური მონოლითები, მოგვაგონებენ სტოუნჰენჯის ქვის ფილებს – მაგრამ ისინი 6 ათასი წლით ხნიერია.

მეცნიერების შეფასებით, მიწაშია ჩამარხული კიდევ ორი ასეული ქვის სვეტი (ერთნახევარი ათეული ნაგებობა), ალბათ, ასევე შემკობილი რელიეფებით. მათ შორის შეიძლება აღმოჩნდეს უფრო შთამბეჭდავი ზომების ლოდები. ასე, მაგალითად, ქვის სამტეხლოში ნაპოვნია დაუმთავრებელი მონოლითი 7 მეტრის სიმაღლისა და წონით 50 ტ.

როგორც არქეოლოგები ვარაუდობდნენ, აქ იყო ნეოლითის ეპოქის მსხვილი სამლოცველო, რომელიც მეცნიერებს აიძულებს ხელახლა გადაწერონ ადრეული ისტორიის მნიშვნელოვანი თავები. ჯერ აქამდე, არასოდეს მეცნიერებს არ უპოვიათ იმ ეპოქაში აღმართული სამლოცველოები, მაშინ, როცა ჩვენმა წინაპრებმა არ იცოდნენ არც მიწათმოქმედება და არც მესაქონლეობა, ითვლება რომ ნაგებობების დახვეწილი არქიტექტურა წარმოიშვა გაცილებით გვიან, როცა ადამიანმა დაიწყო გადასვლა ბინადრულ ცხოვრებაზე, – წერს ა. ვოლკოვი.

გიობეკლი-ტეპეში გაკეთებული აღმოჩენები ადასტურებენ, რომ ამ ტერიტორიებზე ადამიანები უკვე თანდათან გადადიოდნენ ბინადრულ ცხოვრებაზე, ალბათ, ისეთი საცხოვრებელი ადგილების შერჩევით, სადაც ღმერთები იყვნენ მეგობრულები, წყალობდნენ მათ.

კლაუს შმიდტის აზრით, ათასობით წლის შემდეგ წარმოიქმნება ნამდვილი სახელმწიფო, სადაც მმართველი იქნება მეფე, რომელიც თავს გამოაცხადებს ღმერთად. ასეთი არქიტექტურული კომპლექსის მშენებლობა, მიუთითებს ა.ვოლკოვი, აგრეთვე გვიჩვენებდა, რომ საზოგადოებაში მოხდა შრომის გადანაწილება. ნაგებობების განსაკუთრებულმა ანალიზმა დაარწმუნა მეცნიერები, რომ აქ მუშაობდნენ გამოცდილი ქვის მთლელები და კალატოზები – ადამიანები, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე დაკავებული იყვნენ ერთი და იგივე სამუშაოთი.

**„მხოლოდ ნადირობით,** – კ. შმიდტის აზრით – **ამდენი ადამიანი ვერ გამოიკვებებოდა." ადგილობრივ მაცხოვრებლებს უხდებოდათ, ალბათ, საკვები მცენარეების დამუშავება და დაჭერილი ცხოველების შენახვა – ასე იქმნებოდა სოფლის მეურნეობა.**

**მათ ალბათ მოუხდათ თავისი ცხოვრების წესის შეცვლა და საკვების შეგროვებიდან მის მოყვანაზე გადასვლა. დროთა განმავლობაში ასეთივე „ველურებმა" ანატოლიაში დააარსეს პლანეტის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი – ჩატალგუიუკ".**

გეომეტრიული და ცხოველების ფიგურები უფრო მეტია, ვიდრე ორნამენტი. შესაძლებელია მათი გრაფიკული კომბინაციების უკან იმალება სიტყვები და ფრაზები. განსაჯეთ თავად: უზარმაზარი სვეტები, და მათზე გაკეთებულია სხვადასხვა ნიშნები: H, შემობრუნებული 90 გრადუსით, ოვალით, წრე, ჰორიზონტალური და ვერტიკალური. ჩვენი აზრით, უამრავი უტყუარი წყაროებით, აღნიშნულ ეპოქაში ან უახლოეს ახლო პერიოდში, კოლხებს ჰქონდა მსოფლიოში პირველი სახელმწიფოებრივი გაერთიანება, და ისინი დაწინაურებული რომ არ ყოფილიყვნენ, კარგად ორგანიზებული გაერთიანება არ ჰქონოდათ, ასეთ გრანდიოზულ სამლოცველო-ტაძრებს ვერ გააშენებდნენ (სხვა ხალხებს იმ ეპოქაში, ასეთი მშენებლობის წარმოება არ შეეძლოთ).

მთვარე, ჰორიზონტალური თამასა, მათ გვერდით – ძალიან ძველი სტილიზებული **„ალეფები"**: ნიშნები, რომლებშიც შეიცნობა ხარის თავები, მელიებისა და ცხვრების, დაგრაგნილი გველის, ობობის ფიგურები, – აღნიშნავს კ. შმიდტი.

აი ერთ-ერთი ფრაზის მაგალითი, რომელიც შედგენილია მსგავსი პიკტოგრამიდან. 33-ე სვეტზე ნიშნები აგებულია ჯაჭვურად: აქ ორჯერ გვხვდება დაგრაგნილი გველის, ობობისა და პატარა ცხვრის გარემოცვაში. **„ეს მოხატულობაზე მეტია,** – მიიჩნევს კ. შმიდტი. – **ეტყობა წარწერა შეიცავს მხოლოდ იმ ხალხისათვის გასაგებ რაღაც გზავნილს".**

როგორც ჩანს საქმე გვაქვს ინფორმაციის კოდირების უძველეს სისტემასთან. მეცნიერები ერიდებიან საუბარს დამწერლობის შესახებ, რადგანაც ეს ამსხვრევს ადამიანური კულტურის ჩამოყალიბების შესახებ დამკვიდრებულ წარმოდგენებს და მეტყველებს მხოლოდ იმაზე, რომ **„გიობეკლი-ტეპეს მშენებლები შეტყობინების შესადგენად და სხვა ადამიანებისთვის გადასაცემად სარგებლობდნენ რთული სიმბოლიკით"** (კ.შმიდტი). ამ სიტყვებიდანაც კარგად ჩანს, რომ დამწერლობასთან გვაქვს საქმე.

**„თუმცა საეჭვოა, რომ უახლოეს მომავალში საიმედოდ იქნას განმარტებული გიობეკლი-ტეპეს სიმბოლიკა",** – აღიარებს გერმანელი არქეოლოგი.

2006 წელს გამოცემული წიგნი **„ისინი აშენებდნენ პირველ ტაძრებს"**, ავტორმა შეძლო. **„მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ ადამიანები, რომლებიც ცხოვრობდნენ გიობეკლიტეპეში ფლობდნენ მრავალფეროვანი ლექსიკის დიდ მარაგს, ეს, აშკარად მიგვანიშნებს კოლხური დამწერლობის ნიმუშებზე, რომლის მსგავსი 4 ათასი წლის წინანდელი „კოლხური ოქროდამწერლობა" გაშიფრა გია კვაშილავამ. ეს ახალი ისტორიული აღმოჩენა 11 ათასი წლის წინანდელი, უთუოდ, კოლხური დამწერლობა, ახალი კვაშილავების გამშიფვრელ ხელებს ელოდება, რაც აძლევდა მათ ისეთი შეტყობინების შედგენის შესაძლებლობას, რომელიც, როგორც ჩანს, სცილდებოდა შემდგომში დამკვიდრებულ წარმოდგენებს."** – ამბობს ა. ვოლკოვი.

გიობეკლი-ტეპე ჭეშმარიტად განსაკუთრებული ადგილია. აქ ნეოლითის ხანის ადამიანმა პირველად გამოამჟღავნა თავისი ნიჭის მთელი სიძლიერე. აქ 11 ათასი წლის წინ გახდა ცხადი, რომ ადამიანი უაღრესად ნიჭიერია და მისი ტალანტები განსხვავებულ სფეროებში ვლინდება (ა. ავოლკოვი).

ახ.წ. აღ-მდე 9600-8800წ.წ. აღნიშნული ტერიტორიების ახლოს არსებობს დასახლებები: ნევალი-ჩორი, კაიონიუ, ხალან-ჩემი, ჯერფ-ელ-ახმარ, ტელკვარამელი და ჩეიკჰასან. ზოგიერთი დასახლებაში გათხრებისას ნაპოვნია გიოკბელი-ტეპეში გამოყენებული ნიშნების გამოსახულებები: მინიატურული კურდღელი (ან მელა?) და გველები ქვაზე და სხვ.

სამი ათასი წლის შემდეგ, ახ.წ.აღ-მდე 6500 წლისათვის საბი-აბიადეს და სხვა დასახლების მაცხოვრებლები ლუქავდნენ თავიანთ განძსა და სურსათ-სანოვაგეს ბეჭდებით, რომლებზეც გამოსახული იყო ასო „M" მსგავსი სამი ზიგზაგისებურ ხაზით. კლაუს შმიდტის აზრით ეს სიმბოლო – ობობის თავისებური სტილიზებური გამოსახულება, ჩვენთვის ცნობილია გიობეკლი-ტეპედან. გვხვდება სხვა სამახსოვრო სიმბოლოც: მრავალფეხა, გველი, ხარი, ტახი. **„მე ვიტყოდი, პირველი, რაც გავიფიქრე: ამ ბეჭედზე ჩვენ კვლავ ვხედავთ კ. შმიდტმა კარგად იცის, რომ აღნიშნული წარწერის გაშიფვრა-წაკითხვა ურთულესი საქმეა, მაგრამ კარგად ხედავს, რომ დამწერლობასთან გვაქვს საქმე. ისიც უნდა ვთქვათ, რომ უძველესი კოლხეთის სამფლობელო იყო, არამარტო აღნიშნული და მიმდებარე ადგილები, არამედ დღევანდელი თურქეთის მთელი ტერიტორია და ამდენად კოლხეთის ტერიტორიაზე კოლხები ცხოვრობდნენ და რა თქმა უნდა კოლხურ ენაზე ლაპარაკობდნენ და წერდნენ. ისიც ცნობილია, რომ კოლხებს დამწერლობა წარღვნამდელი ეპოქამდე ჰქონდათ".** გიობეკლი-ტეპეს იკონოგრაფია აღიარა შმიდტმა – წერს ა. ვოლკოვი (აქ გარკვევით ჩანს, რომ კ. შმიდტი დამწერლობაზე ლაპარაკობს – კ.შ.).

როგორც ჰაროლდ ჰაუპტმანი, გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტიდან, გერმანული ჟურნალის Bild der Wissenshaft ფურცლებზე წერს: **„მე ვფიქრობ, რომ გიობეკლი-ტეპეში უკვე მაშინ ფორმირებული იყო წარმოდგენები, რომელთაც შემდგომში ასახვა ჰპოვეს შუმერულ კულტურაში. ცხადია, შუმერული კულტურის წინა პერიოდის კულტურა მეგრულ-ლაზური კულტურა იყო".**

ქვის საუკუნის ადამიანები ამბობს ა.ვოლკოვი, – არ იყვნენ ბუნების უძლური მონები. მათ ისწავლეს მისი დარტყმების ატანა, დაპირისპირება. მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანმა დაიწყო მიწის დამუშავება, იგი კვლავ გახდა ბუნების მონა, მისი კლიმატური კაპრიზების მძევალი.

*(გაგრძელება იქნება)*

## ნაციონალები აღარ მალავენ, რომ ხელისუფლებაში უვადოდ დარჩენისთვის იბრძვიან

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის 18 ოქტომბერს თბილისს აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე უილიამ ბერნსი ეწვია, რომელმაც სახელისუფლო და ოპოზიციურ წრეებში რიგი შეხვედრები გამართა. ბერნსმა საქართველოს ხელისუფლების მისამართით მნიშვნელოვანი გზავნილები გააჟღერა. ერთ-ერთ განცხადებაში მან აღნიშნა, რომ **„სამართლიანი არჩევნების შედეგი 2013 წელს უნდა იყოს ხელისუფლების დემოკრატიული გადაცემა".**

ბერნსის ამ განცხადებაზე კომენტარი ჟურნალისტებთან საუბრისას საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი მინაშვილმა გააკეთა, რომელმაც აღნიშნა, რომ ხელისუფლების **„გადაცემა"** ხელისუფლების იმავე პოლიტიკური ჯგუფისა და იმავე ადამიანებისთვის გადაცემას არ გამორიცხავს.

**„არჩევნების შემდეგ, როგორც წესი, ხელისუფლება ხელისუფლებას გადაეცემა, არჩევნების შემდეგ მოდის ახალი ხელისუფლება. თუმცა ეს არ გამორიცხავს, რომ ხელისუფლება იგივე პოლიტიკურ ჯგუფს და იგივე ადამიანებს გადაეცეს. აშშ არის დემოკრატიული სახელმწიფო და ის პატივს სცემს პარტნიორ სახელმწიფოებს და მათი ხალხის არჩევანს, ამიტომ თუ ბერნსის განცხადება ისე იყო გაგებული, როგორც რეკომენდაცია, რომ ხელისუფლება 2013 წელს სხვა პოლიტიკურ ჯგუფს უნდა გადაეცეს, მინდა, გითხრათ, რომ აშშ თავს უფლებას არ მისცემდა, რომ მისი პარტნიორი ქვეყნისთვის მსგავსი რეკომენდაცია მიეცა",** – განაცხადა მინაშვილმა.

ხელისუფლების ბოლოდროინდელი ქმედებებისა და განცხადებების შემდეგ მინაშვილის ეს განცხადება, რომელშიც საკმაოდ დიდია წყურვილი ხელისუფლებაში მესამე ვადით ან უვადოდ დარჩენისა, საზოგადოებას, ალბათ, არც გაჰკვირვებია. მას შემდეგ, რაც ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში ადგილის დამკვიდრებას ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი ცდილობს, რომელიც თავის დროზე **„უხვად"** ასაჩუქრებდა ხელისუფლებას, **„ნაცელიტა"** განსაკუთრებით გააქტიურდა და ეს გააქტიურება რომ მხოლოდ სამართლებრივ ჩარჩოებში არ თავსდება, ყველასთვის ნათელია. კიდევ ერთხელ აშკარად იკვეთება მმართველი გუნდის სამოქმედო სტრატეგია ბიზნესმენებისთვის ფულის გამოძალვის საკითხში – **„ან ნებითა შენითა, ან ძალითა ჩემითა!"** თუმცა ეს სტრატეგია მხოლოდ ამ საკითხში არ იჩენს თავს – კარგა ხანია, ის **„ფართოდ გამოიყენება"** არჩევნებშიც და მინაშვილის ბოლო განცხადებამ ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა. მინაშვილმა ამ სიტყვებით ამომრჩეველს პირდაპირ უთხრა, რომ მმართველი პარტია არჩევნებში თუ ვერ გაიმარჯვებს, გააყალბებს მას და ხელისუფლებაში მესამე ვადითაც მოვა. თუმცა, როგორც ხშირად ამბობენ ხოლმე, ქართველები ხომ ყველაფრის ღირსები ვართ. განსაკუთრებით კი, ის ქართველები, რომლებიც არჩევნების დღეს საარჩევნო უბნებთან ბორდიურებზე ჩამომსხდარნი **„ნაციონალების"** მხარდამჭერების გამოცხადებას აკონტროლებენ და ერთ დღეში სოლიდურ ხელფასსაც იღებენ. როცა **„ზამთარი კარზე მოადგებათ"** და ის სოლიდური ხელფასი შემოეფცქვნებათ, პრეზიდენტის ლანძღვით იჯერებენ გულს, შემდეგ კი მომავალ არჩევნებზე ისევ ჩამოსხდებიან ბორდიურზე და ხელკეტიანი ზედამხედველის კალთის ქვეშ ნაციონალების **„ამომრჩევლების"** უბნებზე გამოცხადებისთვის იზრუნებენ.

**საქინფორმი**

# ინფორმაცია

## რასმუსენის მორიგი ვიზიტი საქართველოში

ნატოს ოფიციალურმა ვებგვერდმა ჩრდილოატლანტიკური საბჭოსა და გენერალური მდივნის – ანდერს ფოგ რასმუსენის, საქართველოში ვიზიტის ოფიციალური პროგრამა გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც, მიმდინარე წლის 9-10 ნოემბერს დელეგაციის ვიზიტი საქართველოს ხელისუფლების მოწვევით შედგება.

რასმუსენი 9 ნოემბერს თბილისში ნატო-საქართველოს კომისიის სხდომას უხელმძღვანელებს, რომელშიც საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური მიიღებს მონაწილეობას. 10 ნოემბერს გენერალური მდივანი და ნატოს ქვეყნების ელჩები პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძესა და პარლამენტარებს, ასევე, საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძეს შეხვდებიან. დაგეგმილია ღონისძიებებიც, რომლებშიც ელჩები ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად მიიღებენ მონაწილეობას.

10 ნოემბერს კი, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ნატოს მუდმივ წარმომადგენლებსა და რასმუსენს ბათუმში შეხვდება. გენერალური მდივანი ორმხრივ შეხვედრებს გამართავს პრეზიდენტთან, პრემიერსა და საგარეო საქმეთა მინისტრთან.

# ინფორმაცია

ნატოს გენერალური მდივანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სიტყვითაც გამოვა და ავღანეთში ქართული ჯარის სამსახურის შესახებ ისაუბრებს. მოკლედ, ისაუბრებს ყველაფერზე, მაგრამ არა ნატოში საქართველოს შესვლაზე, რადგან ამაზე სერიოზულად ნატოს არცერთი წევრი ქვეყანა (აღარც საქართველოს ხელისუფლება) დიდი ხანია საერთოდ აღარ საუბრობს.

## თემურ იაკობაშვილი: სამოქალაქო საზოგადოება დღეს უფრო სუსტია, ვიდრე იგი რევოლუციამდე იყო

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება დღეს უფრო სუსტია, ვიდრე იგი „ვარდების რევოლუციამდე“ იყო. ამის შესახებ განცხადება ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს ელჩმა თემურ იაკობაშვილმა გააკეთა.

თემურ იაკობაშვილმა ჰოპკინსის უნივერსიტეტში რევოლუციებისა და მათი ტრანსფორმაციული ძალის შესახებ მოხსენება წაიკითხა.

იაკობაშვილმა მსოფლიოში მომხდარი რევოლუციური ძვრები, მათი გამაერთიანებელი მუხტი და სამომავლო ტრანსფორმაციის შესაძლებლობები საქართველოს 2003 წლის

# ინფორმაცია

„ვარდების რევოლუციის“ მაგალითზე განიხილა. ელჩმა აღნიშნა, რომ კონტექსტი, რომელიც რევოლუციებს მუხტს აძლევს, ყველგან ერთნაირია, თუმცა ყველა მათგანი კონკრეტული პრობლემატიკითა და განვითარების შესაძლებლობებით ხასიათდება.

იაკობაშვილის განცხადებით, ქართული რევოლუციის უპირველესი მიღწევა იყო უმოქმედო სახელმწიფოს ფუნქციონირებად ქვეყნად გარდაქმნა, ქვეყანაში მოქმედი ინსტიტუტები კი საქართველოს პოსტრევოლუციური მთავრობის ყველაზე დიდ მონაპოვრად დაასახელა. თუმცა, სახეზე (უფრო სწორად – მოღრეცილ ყბაზე) ეტყობოდა რომ “ნაციონალებს”, რომელთა მთავარ იარაღს ყოვლთვის სიცრუე წარმოადგენდა, დღეს უკვე ეს იარაღიც დაუბლაგვდათ და რაღაც საშინელების მოლოდინში თავადაც არ უწყიან, რომ მათი მტკიცებები სისულელედ და განერვიულებული ხალხის პანიკად წარმოჩინდება!

სხვაგვარად, იაკობაანთ (ყობოიაანთ) ბიჭი ხომ ნამდვილად აღარ შეუდგებოდა იმის მტკიცებას, რომ უმოქმედო სახელმწიფოს ფუნქციონირებად ქვეყნად გარდაქმნა ნიშნავს იმას, რომ საქართველო საბოლოოდ ჩამოყალიბდა ელიტარული კორუფციის პოლიგონად, სადაც მაძღარი მხოლოდ სააკაშვილის ოჯახის წევრები და მისი გარემოცვაა, დანარჩენი მოსახლეობა კი შიმშილობს!

# ინფორმაცია

## ისრაელის საელჩოს წერილობითი მიმართვა კალმახელიძისა და ტუღუშისადმი

ისრაელის საელჩომ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრსა და სახალხო დამცველს წერილებით მიმართა.

ისრაელის ელჩმა საქართველოში იცხაკ გერბერგმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ წერილები შეეხება საპატიმროებში კანონისა და კანონიერების ყოველი წესის დარღვევით მყოფი ისრაელის მოქალაქე ბიზნესმენების – რონი ფუქსისა და ზეევ ფრენკელის უფლებების დარღვევას. ელჩის თქმით, ისრაელის **„საკონსულო ყველაფერს გააკეთებს, რათა მსგავსი ფაქტები აღმოიფხვრას და აღარ განმეორდეს“**.

რონი ფუქსი და ზეევ ფრენკელი სრულიად გაუგებარ და დაუდასტურებელ სასჯელს იხდიან **„საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილისთვის ქრთამის შეთავაზების“** ბრალდებით, რასაც თავად ბიზნესმენები კატეგორიულად უარყოფენ. მათ მიმართ საპატიმროებში არასათანადო და დამამცირებელი მოპყრობის შესახებ რამდენჯერმე განაცხადა ფუქსისა და ფრენკელის ქართველმა ადვოკატმა არჩილ კბილაშვილმა.

# რინოს კვარაცხელია

წალენჯიხის რაიონმა ბევრი ნიჭიერი და ქვეყნისათვის სასიქადულო მამულიშვილი გამოზარდა. ლეო ქიაჩელი, ნიკოლოზ შენგელაია, ტერენტი გრანელი, ეგნატე ფიფია, კალისტრატე სალია... რომელი ერთი ჩამოვთვალო. ამ სახელოვან ადამიანთა არასრულ ჩამონათვალში თამამად შეიძლება ღირსეულად მოვიხსენიოთ პოეტი და მწიგნობარი, წალენჯიხის კოლორიტი, ჭეშმარიტი კოლხი ადამიანის განსახიერება, ბატონი რინოს კვარაცხელია.

ერთხელ მაინც თუ შეხვედრიხართ ამ მირონცხებულ კაცს, არასოდეს დაგავიწყდებათ მასთან გატარებული წუთები და საათები. მისი თვალებიდან ნათელი ასხივებს, მისი გულიდან სითბო იღვრება და წინასწარ თუ არ იცით, ვერ შეამჩნევთ თუ რაოდენ ტრაგიკული ბედის კაცია იგი. სტუმარს არასდროს მოახვევს თავზე საკუთარ უსაზღვრო ტკივილებს, რაც შავ ზღვაში ორი ვაჟკაცის ერთდროულად დაღუპვის საშინელებით არის გამოწვეული.

ის ცხოვრობს საკუთარ ტკივილთან ერთად, ცხოვრობს ქრისტიანი კაცის ცხოვრებით, პოეზიის სიყვარულით, სამშობლოს სიყვარულით, მეგობრებისა და იმ ორი ვაჟკაცის სიყვარულით, რომლებიც მამაზეციერმა მარადიულ სასუფეველში აიყვანა.

მკითხველი საზოგადოება იცნობს მის შესანიშნავ პოეტურ კრებულებს. რინოსი არც აკვნის ენას ივიწყებს და წერს მეგრულადაც. მისი სურვილია ძველმეგრული, ლაკადური სიტყვები არ დაივიწყოს მომავალმა თაობამ და ამით არ გაღარიბდეს ზოგადქართული სიტყვათა მარაგი.

რინოს კვარაცხელიას ყოველი ახალი პოეტური ქმნილების გამოჩენა ძალზე საინტერესოა მკითხველი საზოგადოებისათვის.

გიორგი სიჭინავა

## გრანელის ძეგლი

*მოქანდაკე უშანგი ქადაგიშვილისადმი*

თუ ყოველივე ხდება განგებით,
გრანელს იღბალი მართლაც ჰქონია,–
დრო ახლოვდება მისი გაგების,-
ზურგის ქარს ისე დაუქროლია...

ვინც ლექსად ენთო და ცად ელტვოდა,
იდუმალ წყვეტდა ლექსების კონას,
ვინც ბნელ ქუჩებში ეხეტებოდა
და სულს ანთებდა ჭიაკოკონად...

არ შორდებოდა ჭმუნვა და ურვა,
ჭვრეტდა საწუთროს ფიქრში დაღლილი
და უმეტესად მშიერს და მწყურვალს
ზამთრის უყეფდა ყინვა ძაღლივით...

მისჩერებოდა ცას ნაღვლიანი,
ქანცგაწყვეტილი ღამეთა თევით,–
გამოჩნდა კაცი ხელმადლიანი
და ანგელოზის შეასხა ფრთები...

ბოლოსდაბოლოს ხომ გატყდა ნავსი,
მისდამი სწრაფვა არც თუ განელდა,–
აწ და მარადის უკვდავებაში
ადგილი თვისი ჰპოვა გრანელმა.

გზა დაულოცა ისე გამჩენმა,–
დასრულდა ჟამი მიეთ-მოეთის;
კურთხეულია მისი მარჯვენა,
ვინც ქვას ჩაუდგა სული პოეტის...

თუმცა სულიდან დაძრული ცრემლი
ისე ცხარეა,– ქვასაც კი ალბობს,–
ასე მგონია, გრანელის ძეგლიც
ცისკენ ნავარდით აფრენას ლამობს.

## დიდება გრანელს

**პოეტის სული ფრთაასხმული
ისე ნეტარებს,–
მე ვეუბნები პოეზიის
ჭეშმარიტ გამგებს,–
პოეტთა შორის უპოეტესს
და უსპეტაკესს,–
დიდება გრანელს!**

**ზღვარი არ ჰქონდა ზოგიერთთა
უნამუსობას,–
გიჟს უწოდებდნენ, მათხოვარს და
პირდაუბანელს,
მედროვენი და არაკაცნი
ვერასდიდებით ვინც ვერ შეწვდნენ
მუხლამდე გრანელს.**

**რომ გზა სავალი ზესკნელისკენ
გადაეღობათ,–
შავი ღრუბლები ეტრატივით
მის თავზე გრაგნეს,–
სიწმინდემ მაინც პოეტისა
გზა გაიკვლია,–
ვუმღეროთ გრანელს!**

**სევდის კუნძულზე მარტვილივით
მარტო სახლობდა,
ლექსი სულივით დაჰყვებოდა
დრო-ჟამით ნაგვემს,–
ანგელოზივით ცად ამაღლდა
და გაცისკროვნდა,–
დიდება გრანელს!**

რინოს კვარაცხელია.
2010 წ. 10 ოქტომბერი
წალენჯიხა

## აშშ-ში საქართველოს საპატიო კონსულს ივანიშვილის გამო უფლებამოსილება შეუწყვიტეს



– აშშ-ში საქართველოს საპატიო კონსულ ლაშა დარბაიძეს პოლიტიკური შეხედულებების გამო უფლებამოსილება შეუწყვიტეს.

როგორც თავად დარბაიძე აცხადებს, მიმდინარე წლის 24 ოქტომბერს აშშ-ში საქართველოს ხელისუფლების დავალებით მას შეხვდა პირი, რომელმაც საკონსულოს საიტზე განთავსებული ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის ფოტოების წაშლა მოსთხოვა. **„ფოტოებზეაშშ-ის ელჩ ჯონ ბასისა და ბიძინა ივანიშვილის შეხვედრა იყო ასახული. მე შევეწინააღმდეგე და უარი ვთქვი ფოტოების ამოღებაზე, რის შემდეგაც ერთ დღეში უფლებამოსილება შემიწყვიტეს. როდესაც ვიკითხე, რატომ უნდა ამომეღო ფოტო, მიპასუხეს, რომ ჩვენ ვსარგებლობთ დიდი პოპულარობით ქართულ დიასპორაში და ჩვენი ინტერესი ამ პიროვნების მიმართ ძალიან ცუდად იმოქმედებდა ხალხზე და გარკვეულ ბიძგს მისცემდა“,** – განაცხადა დარბაიძემ.

დარბაიძის თანამდებობიდან გათავისუფლების ფაქტი ტრადიციულ ბრიფინგზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძემაც დაადასტურა. მისი თქმით, დარბაიძე არ ასრულებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და არ აკმაყოფილებდა იმ მოთხოვნებს, რომელთაც საპატიო კონსული უნდა ასრულებდეს. **„საგარეო საქმეთა სამინისტრო ახორციელებს პერიოდულ მონიტორინგს როგორც დიპლომატებზე, ისე საპატიო კონსულებზე, თუ რამდენად ჯეროვნად ახორციელებს ესა თუ ის პირი საკუთარ მოვალეობას და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს. ამ შემთხვევაშიც განხილვის შედეგად იქნა მიღებული გადაწყვეტილება. სხვა კონსულებიც იმავე ბედს გაიზიარებენ, თუ პირობები დაკმაყოფილებული არ იქნება“,** – განაცხადა კალანდაძემ.

დარბაიძის შემთხვევაში რომ აშკარად სახელისუფლებო თაღლითობასთან გვაქვს საქმე, ფაქტია. საქართველოს მოქალაქეობა მას ძველი რიცხვით – 2011 წლია 4 ოქტომბერს შეუწყდა, კონსულის უფლებამოსილება კი 25 ოქტომბერს შეუჩერეს. ალბათ იმიტომ, რომ ვითომ შემდეგ შეუწყდა მოქალაქეობა ბიძინა ივანიშვილს. ფაქტია, რომ საქართველოს სომხურმა ნაციონალურმა ხელისუფლებამ ჩვენი თანამოქალაქეების დასჯის სრულიად ახალი ფორმა შემოიღო – მოქალაქეობის შეწყვეტა. ჯერჯერობით გასდით ეს თავხედობა, მაგრამ, უეჭველია, რომ მალე მოეღება ბოლო **“ნაციონალებისა”** და მათი ნეტარი ბელადის პარპაშს.

ჯერ კიდევ არ იციან უბადრუკმა **“ნაციონალებმა”**, რომ ყველას ვერ გაუუქმებენ საქართველოს მოქალაქეობას, ყველას ვერ მოხსნიან და ყველას ვერ დაიჭერენ.

ასე რომ, თქვე საწყალო ნაციონალებო, ხომ ხედავთ, ყავლი გაგდით, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ!

დროზე უშველეთ თავს, **“ბუა”** მოდის!

## თურქეთიდან კიდევ 25 ქართველი გამოაძევეს

როგორც ცნობილია, გასულ კვირას თურქმა სამართალდამცველებმა 150 არალეგალი ქართველი სპეციალური რეიდის შედეგად დააკავეს. საპასპორტო რეჟიმისა და სხვა დარღვევების გამო, თურქეთიდან მათი დეპორტაცია ეტაპობრივად ხორციელდება.

მომდევნო დღეებში კი ცნობილი გახდა, რომ თურქეთიდან კიდევ საქართველოს 25 მოქალაქე გამოაძევეს. საქართველოს მოქალაქეები, რომელთა შორის უმეტესობა ქალია (სამწუხაროდ, არც თუ სასიკეთო საქმეებში შემჩნეული), სამშობლოში სპეციალური ავტობუსით ჩამოიყვანეს. თურქული მედიის ინფორმაციით, დეპორტირებულების გარდა ადგილობრივმა სამართალდამცველებმა ტრაბზონში ქართველი დედა-შვილიც დააკავეს, რომელთაც ხულიგნობა და ძარცვა ბრალდებათ.

დედა-შვილი ბაზრებზე გამყიდველებს ძვირფასეულობას მოტყუებით სძალავდა. საქართველოს მოქალაქეები ფაქტზე დააკავეს. ამასთან, ჩხრეკისას მათ მიერ მოპარული ფულადი თანხა და ნივთებიც ამოიღეს.

საქინფორმი



## სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# ვიქტორ სანეევი

**(გთავაზობთ წერილს (ნაწყვეტებს) ბატონ არჩილ გოგელიას წიგნიდან "ასეთია სპორტული ცხოვრება")**

სტადიონის მოედანი ჰგავდა ჭრელ ხალიჩას, რომელსაც მუქი სარტყელივით შემორტყმოდა სარბენი ბილიკები. დაბლა, გახუნებულ მინდორზე მარტო ვარჯიშობდა მაღალ-მაღალი სპორტსმენი. იგი ხან ზამბარასავით დაიჭიმებოდა, ხან ისე მოეშვებოდა, რომ გიკვირდა, სისუსტისაგან მუხლები რატომ არ ეკეცებაო. იგი ხან დარბოდა, ხან ისეთი ნელი ნაბიჯებით დადიოდა, თითქოს ხეივანში სეირნობსო, ხან... მაშინ მიხვდებოდი, რომ ჩვეულებრივი სპორტსმენი არ უნდა ყოფილიყო. თანაც, ამის გამოცნობას განსაკუთრებით მახვილი თვალი და გამჭრიახობა როდი სჭირდებოდა. სტადიონის ყველაზე მაღალი წერტილიდანაც ჩანდა, რომ მას ვარჯიშის პროცესი სიამოვნებას ანიჭებდა. მოჩვენებითი ქაოსურობის მიუხედავად (ეს – დილეტანტის თვალში) თავად ვარჯიშს გეგმაზომიერება, წესრიგი და მიზანსწრაფვა გამოარჩევდა.

ვარჯიშის პროცესი... სპორტსმენი ალბათ, მარტო შეჯიბრების დროს არ უნდა ნახო, ვარჯიშის დროს უნდა ეწვიო. მაშინ თითქოს ყველაფერი უფრო გასაგები და ნათელი ხდება, თორემ დიდ შეჯიბრებებში ყურადღება გეფანტება, აჟიოტაჟის წუთებში ბევრი რამ გამოგეპარება...

...მოვარჯიშე სპორტსმენში გამოვიცანი ვიქტორ სანეევი და უეცრად გამახსენდა ყველაზე დაძაბული სპორტული ბრძოლები, ყველაზე... მე მეჩვენებოდა, რომ ვიქტორ სანეევი არ ვარჯიშობდა, იგი იდგა სახტომი ორმოს პირისპირ, სტარტის სწორთან, და ემზადებოდა მსოფლიოში ყველაზე გრძელი, ყველაზე ლამაზი და ყველაზე დინამიკური სამი ნახტომის შესასრულებლად. იგი გარინდებული იდგა, როგორც მეზღვაური გრიგალის მოლოდინში, როგორც შთაგონებით აღსავსე პოეტი... რამდენი ასეთი გრიგალი უნახავს ვიქტორ სანეევს, რამდენი **"ლექსი"** დაუწერია და მერე არაქათგამოცლილი, სხვებს რომ არ დაენახათ, ხმაურიანი სტადიონის უჩინარ კუნჭულში ჩამომჯდარა.

საკვირველია, მაგრამ ვიქტორ სანეევს ჟურნალისტები ყურადღებით არ ანებივრებენ, არ აწუხებენ, **"გულს არ უწყალებენ"**. იმდენად იშვიათად აწუხებენ, რომ ზოგჯერ ეს სასიამოვნოც აღარ არის. კიდევ უფრო საოცარია, რომ მასალები, ნარკვევები ამ უდიდესი სპორტსმენის შესახებ, მისი ინტერვიუები მეტწილად **"იმპორტულია"**, უცხოეთიდან მოგვდის და მერე ჩვენს პერიოდულ პრესაში ჩნდება.

ვიქტორ სანეევისგან მოითხოვენ უმაღლეს შედეგებს, მხოლოდ და მხოლოდ ოქროს მედალს, ოლიმპიური თამაშები იქნება ეს თუ ევროპის პირველობა, საერთაშორისო ტურნირი თუ სპარტაკიადა. მხოლოდ პირველი ადგილი... მრავალ შეჯიბრებაში მინახავს და კიდევ უფრო ბევრჯერ წამიკითხავს თუ მსმენია მის შესახებ.

იგი დაღლილი ჩანდა, მაგრამ საუბარზე სიამოვნებით დამთანხმდა.

– თქვენი ყოფილი რეკორდი... – ვეკითხები.

– 17 მეტრი და 44 სანტიმეტრი. ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ამ შედეგით მეხიკოში შემიძლია 18 მეტრის ზღვართან **"გავფრინდე"**. ბუნებრივია, ვუმატებ იმ უპირატესობას, რომელსაც მხტომელს მეხიკოს პირობებში გამოსვლა აძლევს. თუმცა, ყოველივე ეს მხოლოდ ვარაუდია. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, როგორ წარიმართება ჩემი და ბრაზილიელი ოლივეირას ორთაბრძოლა მონრეალის სტადიონზე, სადაც ერთნაირ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდით. თუმცა, არც იქაა გამორიცხული მოულოდნელობა.

ჩვენ ვიცნობთ ვიქტორ სანეევს – ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს (ეს წერილი 1975 წელსაა დაწერილი, ზუსტად ერთი წლის შემდეგ კი, სანეევი მესამედ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი, ხოლო 1980 წელს გამართულ მოსკოვის ოლიმპიურა თამაშებზე, რომელიც არ იქნა აღიარებული მსოფლიო საზოგადოების მიერ, საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ავღანეთში შეჭრის გამო, სანეევმა, სამწუხაროდ, მხოლოდ მეორე ადგილი აიღო და ვერცხლის მედალს დასჯერდა), ევროპის ჩემპიონატის ექვსგზის ტრიუმფატორს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში ათგზის გამარჯვებულს. ვიცით, რომ დღემდე თქვენ გეკუთვნით საქართველოს რეკორდი სიგრძეზე ხტომაში – 7 მეტრი და 90 სანტიმეტრი...

– უკეთესი იქნება, აქ წერტილი დავსვათ. ლაპარაკი ტურნირებსა და ჩემპიონატებზე, სადაც მე გამიმარჯვია, ორივეს ბევრ დროს წაგვართმევს. მინდა დავასწრო თქვენს კითხვას და გიპასუხოთ: არც ჟოაო ოლივეირასი (იმ პერიოდში სანეევის ყველაზე სერიოზული მეტოქე გახლდათ) და არც რომელიმე სხვა მეტოქისა არ მეშინია. ოლიმპიური ოქროს მედალი შეჯიბრებაში გამოსვლამდე არც უწინ მდებია ჯიბეში. ოლივეირას რეკორდმა შესაძლოა კარგი საქმეც გამიკეთოს. მას ამძიმებს საკუთარი მიღწევის ტვირთი, მე კი, ყოფილ რეკორდსმენს, კარგა ხანია არ მქონია ასეთი სასიამოვნო გამაღიზიანებელი ფაქტორი. თანაც, იმედია, მე მცირე ხნით უკანა პლანზე გადავინაცვლებ ჩემი მთავარი მეტოქეებისათვის. ასევე იყო მიუნჰენის ოლიმპიადის წინ: – ორიოდე წელიწადს ჩრდილში ვიდექი; სპეციალისტების აზრით, ჩემი დრო წასული იყო, შედეგების გაუმჯობესებას ველარ შევძლებდი. მე კი ოლიმპიადა იოლად მოვიგე. რა მოხდება მონრეალში (სადაც სანეევი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა), არავინ იცის. ჩემდათავად კი იმას ვიტყვი, რომ არც ერთ შეჯიბრებაში საგანგებოდ არ მიფიქრია მსოფლიო რეკორდის დამყარებაზე. ჩემი მიზანი გამარჯვებაა.

1975 წელი.

ერთი ხანობა ვიფიქრე, მოდი, ვიქტორ სანეევზე 1975 წელს დასტამბულ წერილს გადავაკეთებ და შევავსებ მისი შემდგომი წარმატებებით-მეთქი. მაგრამ განზრახვაზე ხელი ამაღებინა საოცარი წინასწარმეტყველების უნარმა, რომელიც ვიქტორმა იმ საუბრის დღეს გამოიჩინა. მან წინასწარ გამოიცნო მოსკოვის ოლიმპიადის მისასვლელი გზა. და რაც მთავარია, დაამტკიცა თავისი მოსაზრება, რომ მთავარია გამარჯვება და არა რეკორდების დევნა. ასე იყო მონრეალის ოლიმპიადაზე. ასე იყო, თუ გნებავთ, მოსკოვის თამაშებზე. კიდევ ერთი მიზეზის გამო არ გადავაკეთე წერილი: თუმცა სანეევმა მას შემდეგ არა ერთი დიდებული გამარჯვება იზეიმა, მის სპორტულ და მოქალაქეობრივ კრედოს სახეცვლილება არ განუცდია. მისი უპირველესი მიზანი პირველიდან ბოლო ნახტომამდე, ანუ მთელი სპორტული ბიოგრაფიის მანძილზე იყო უცვლელი: მხოლოდ გამარჯვება...



## იუმორი

– ზულეიხა, სულეიმანმა დარეკა, დღეს სტუმრები მყავს, არ მცალია და ჩემს მაგივრად აიფეთქოსო თავი!

* * *

სომეხი მიდის ცალი ფეხსაცმლით. შეხვდა მეზობელი:

– რა მოგივიდა, ფეხსაცმელი დაკარგე?

– არა, ვიპოვე!

* * *

ბუზი თავის შვილთან ერთად მელოტ თავზე სეირნობს:

– შვილო, შენხელა რომ ვიყავი, აქ უღრანი ტყე იყო!

* * *

ცოლ-ქმარი ზოოპარკში შევიდა. ქალმა პირველად ნახა ბეჰემოთი და შეშინდა:

– ვაიმე, დედა!

ქმარი მიუბრუნდა:

– იცანი, არა, დედაშენი!

* * *

– რა არის დისციპლინა?

– ეს არის ხელოვნება, როცა ადამიანს შეუძლია თავის შეფზე სულელად გამოიყურებოდეს.

* * *

ოსმა სამზარეულოში შპალერის გაკვრა გადაწყვიტა, მეზობელთან ჩავიდა, რომელმაც ეს-ესაა გააკრა შპალერი და ჰკითხა – რამდენი შპალერი იყიდეო.

– თექვსმეტი, – უპასუხა მეზობელმა.

ოსმა იყიდა 16 შპალერი, გააკრა, მაგრამ ხუთი რულონი დარჩა.

მეზობელს უსაყვედურა: – 16 ცალი ვიყიდე და ხუთი დამრჩაო.

– ნუ ნერვიულობ, – უთხრა მეზობელმა, – მეც 16 რულონი ვიყიდე და ხუთი მომრჩა!

## მორიგი სკანდალი ზუგდიდის საპყრობილეში – პატიმარი ცემის შედეგად გარდაიცვალა

ზუგდიდის მეოთხე საპყრობილეში ცემის შედეგად მიყენებული ტრავმებით 42 წლის პატიმარი მურმან კალანდია გარდაიცვალა. მას სხეულზე მრავლობითი დაჟეჟილობები აღენიშნება, ჩამტვრეული აქვს ცხვირი, შუბლი, მკლავი და ზურგი – ჩალურჯებული, ხელზე კი ანთებული სიგარეტით მიყენებული დამწვრობა აღენიშნება.

გარდაცვლილი პატიმრის დედის – ჟუნა კალანდიას, თქმით, მის შვილს უმოწყალოდ სცემეს, შემდეგ, ცუდად რომ გახდა, თბილისის ერთ-ერთი ციხის საავადმყოფოში გადაყვანა გადაწყვიტეს და გზაში – ქუთაისში გარდაიცვალა.

ოჯახს უთხრეს, რომ პატიმარი ქსნის კოლონიაში გადაჰყავდათ, გეგუთის ციხეში სხვა პატიმრების ასაყვანად რომ შეიარეს, სწორედ მაშინ გახდა კალანდია ცუდად, მანქანიდან გადმოვიდა, დაეცა და მოკვდა. ტრავმები გარდაცვლილმა სწორედ დაცემის დროს მიიღო. ამას ოჯახი არ ეთანხმება და ამბობს, რომ ერთდროულად დაცემისგან ტრავმების მიღება ზურგზე, სახის არეში და მკლავზე შეუძლებელია.

აღსანიშნავია, რომ კალანდიას ოჯახზე ზეწოლა მიმდინარეობს – მურმან კალანდიას უმცროსი ძმა, რომელიც სასჯელს ქსნის კოლონიაში იხდის, ძმის გარდაცვალებიდან მეორე დღეს ოჯახს უკავშირდება და დედას გაჩუმებას სთხოვს, დასძენს, რომ მისი ძმა ბუნებრივი სიკვდილით მოკვდა და აჯობებს, ოჯახის წევრები ჟურნალისტებს მოერიდონ.

გარდაცვლილ პატიმარს ექსპერტიზა უკვე ჩაუტარდა, თუმცა ოჯახი სახელმწიფო ექსპერტიზას არ ენდობა და საქმეში დამოუკიდებელი ექსპერტის ჩართვას ითხოვს.

მურმან კალანდიას სასჯელის ვადა, რომელსაც ქურდობისთვის იხდიდა, 2012 წლის აპრილში ეწურებოდა.



საქინფორმი

## ზუგდიდის საკრებულოს ერთი დეპუტატით ნაკლები ჰყავს

ზუგდიდის 41-მანდატიან საკრებულოს 1 წევრი გამოაკლდა. საკრებულოს წევრი, სოფელ ინგირის მაჟორიტარი დეპუტატი ალექსანდრე ბაჩილავა გულის შეტევით გარდაიცვალა. ბაჩილავა **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის"** წევრი და ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის განვითარებისა და სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების საკითხთა კომისიის წევრი იყო.

საარჩევნო კოდექსის 126-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, შუალედური არჩევნები საკრებულოს მაჟორიტარული წესით არჩეული მინიმუმ 5 წევრისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში დგება. ზუგდიდის საკრებულოში კი მსგავსი შემთხვევა არ არის.

ალექსანდრე ბაჩილავა საკრებულოში პროპორციული სიით არჩეული დეპუტატი რომ ყოფილიყო, მას სიითი შემადგენლობის მომდევნო კანდიდატი ჩაანაცვლებდა.

**ჩვენ კი ვუსამძიმრებთ გარდაცვლილის ოჯახის წევრებს და ვიზიარებთ მათ მწუხარებას!**



## ხობის გამგებელი დააკავეს

კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი იგორ ტყებუჩავა ტენდერებში გამოვლენილი დარღვევების გამო დააკავეს. ამჟამად ბრალდებული თბილისში დასაკითხავადაა გადაყვანილი.

კონკრეტულად რის გამო დააკავეს გამგებელი, მისი ორივე მოადგილისთვის უცნობია. გიორგი გაწერელია და რალა ჩემია აცხადებენ, რომ დაკავების შესახებ არანაირი დეტალები არ იციან. მათი თქმით, „იგორ ტყებუჩავა კარგი გამგებელი იყო და აზრად არ მოსდით, რატომ უნდა მომხდარიყო მისი დაკავება".

ხობის პოლიციაში დაკავების მიზეზებზე არ საუბრობენ და აცხადებენ, რომ ყველაფერს გამოძიება დაადგენს.

შეგახსენებთ, რომ იგორ ტყებუჩავა ხობის გამგებლად 2009 წელს დაინიშნა. ის მიმდინარე წლის 28 ოქტომბერს გვიან ღამით დააკავეს.

როცა ამერიკის შერთებულ შტატებში საპატიო კონსულს ათავისუფლებენ თანამდებობიდან ბიძინა ივანიშვილისადმი სიმპათიების გამოხატვის გამო, რა გასაკვირია, რომ ხობში გამგებლი დაიჭირონ!

მაგრამ, როგორც არაერთგზის გვითქვამს, ყველას ვერ მოხსნიან და ვერ დააპატიმრებენ!

არ შეშინდეთ, ძმებო, მალე დადგება ამათი აღსასრული და ციხეებში დაიკავებენ თქვენს ადგილს!

საქინფორმი

ISSN 1987-8966 ილორი
9771987896009
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული
სარეგ. №01018002930
234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, თემურ ქორიძე, თენგიზ ქუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ანზორ შონია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე
WWW.saqinform.ge